



F 8-227

2

F 8.227  
2



პ. გ. თვალაუბოლი

გევანახეობის  
განვითარების  
პრეპარატივები  
სამხრეთ კავკავი

თბილისი 1960

პ. გ. თვალიშვილი

მეცნახეობის განვითარების  
 კენტრალური სამსახური მსეთში

1982. 2. 27.  
 წ.



სამსახური მსეთში სახალხო გამოცემობა

სტალინი 1960

## შ ე ს ა გ ა ლ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრი-  
 ლობაშ ახალი ფურცელი გადაშალა კომუნისტური საზოგა-  
 დოების იშენებისათვის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძო-  
 ლის ისტორიაში და ჩვენი ქვეყნის მშრომელები შეაირალა  
 დიადი პროგრამით.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად შეიდწლი-  
 ანი გეგმით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მებალეობისა  
 და მევენახეობის განვითარებას. გათვალისწინებულია რომ  
 1965 წლისათვის ხილისა და კენქროვანების წარმოება გაი-  
 ზირდოს არა ნაკლებ 2-ჯერ და ყურძნისა — 4-ჯერ.

დიდია მშრომელთა მოთხოვნილება სხვადასხვა სახის  
 ხილზე და ყურძენზე. მოთხოვნილება ბევრად სჭირდობს სა-  
 დღეისოდ არსებულ რესურსებს და ამიტომაა, რომ საჭირო  
 ხდება უახლოეს წლებში მივალწიოთ ამ ძვირფასი პროდუქ-  
 ტების წარმოების მაქსიმალურ გაფართოებას.

ამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარი დახმარება უნდა გა-  
 ეწიოს კოლმეურნეობებს ადგილობრივი კლიმატური და ნია-  
 დაგობრივი პირობების მოხერხებულად გამოყენებისათვის.  
 ამავე მიზანს ემსახურება მოწინავე კოლმეურნეობებისა და  
 საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებათა ფართოდ დანერ-  
 გვა, რაც საუკეთესო საშუალებაა მოსავლიანობის გადიდე-  
 ბის არსებული რეზერვების სრულყოფილად გამოყენებისა-  
 თვის.

კოლმეურნეობების ეკონომიკის მნიშვნელოვნად განძტევი-  
 ცების საქმეში მეხილეობასთან ერთად დიდ როლს ასრუ-  
 ლებს მევენახეობაც, რომელსაც ჩვენს პირობებში საქმაოდ  
 დიდი პერსპექტივები აქვს და როგორც სოფლის მეურნეობის  
 ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, ჯეროვან ყურადღებას იმ-  
 სახურებს.

როცა ლაპარაკია მევენახეობის განვითარების პერსპექ-  
 ტივებზე არ შეიძლება მხედველობაში არ ვიქონიოთ, რომ  
 კვების მხრივ ვაზი შედარებით ნაკლებად მომთხოვნი და გვა-  
 ლვის ამტანი მცენარეა. რომ იგი იძლევა მრავალი სახის  
 პროდუქტებს (ყურძნი, ყურძნის უალკოჰოლო წვენი, ღვი-  
 ნო, კონიაკი, ყურძნის წვენის კონცენტრატი, ჩურჩხელა, თა-  
 თარა და სხვა).

ყურძნი არ წარმოადგენს ფუფუნების საგანს და შიჩნე-  
 ულია როგორც მაღალი ხარისხის დიეტური პროდუქტი. მის  
 შემადგენლობაში შედის 18-25 პროცენტი შაქარი (გლუკოზა  
 და ფრუქტოზა). გარდა ამისა, იგი შეიცავს აკრეთვე 5-8  
 პროცენტ სიმჟავეებს (ღვინის სიმჟავე, ვაშლის სიმჟავე, ჭარ-  
 ვის სიმჟავე და სხვა), 0,4 — 0,8 პროცენტ მინერალურ ნივ-  
 თიერებებს, 70 — 80 პროცენტ წყალს და სხვა.

ყურძნი საუკეთესო სამჟურნალო პროდუქტია მიჩ-  
 ნეული ფილტვების ტუბერკულოზით, ბრონქიტით, ნევრო-  
 ზით, კუჭისა და თირკმელების ზოგიერთ სნეულებებით შეპ-  
 ყრობილი ავადმყოფებისათვის; კარგი საშუალებაა აკრეთვე-  
 მადის აღდგენისა და მოქანულობის განსაკურნალ.

ცნობილია ისიც, რომ ადამიანის არსებობისათვის აუცი-  
 ლებელ საჭიროებას წარმოადგენს სითბოს ენერგია. რასაც  
 ორგანიზმი ორგანული საკვებისაგან იღებს; საკვებ ნივთა-  
 ერებათა კვებითი ღირებულება კი განისაზღვრება სითბოს  
 •მ ენერგიით, რაც საკვების მონელების დროს გამოიყოფა.

უურძენი თავისი ქიმიური შემადგენლობის თავისებურებრი  
გამო დიდი რაოდენობით იძლევა თბიერებას; ერთი კილომეტრზე  
გრამი ყურძენი 900-მდე კალორიას იძლევა, მაშინ, როცა,  
ვაშლი იძლევა მხოლოდ 400, მსხალი 500, კარტოფილი 650  
და მოუხდელი რა 700 კალორიას.

ყურძენი საუკეთესო საკვებადაა მიჩნეული აგრეთვე იმი-  
ტომ, რომ იგი შეიცავს შეტად ძვირფას ვიტამინ „ც“-ს.

ყურძნისაგან მზადდება საყოველთაოდ ცნობილი სხვადა-  
სხვა სახის ღვინოები. ღვინის მათრობელა თვისებები სრუ-  
ლიადაც არ იძლევა იმის საბაბს, რომ იგი არ ჩავთვალოთ  
უძვირფასეს პროდუქტად. სრულასაკოვანი ადამიანის ორგა-  
ნიზმისათვის ღვინის ნორმალური მიღება არ წარმოადგენს  
რაიმე საზიანოს, პირიქით, ხელს უწყობს მის ცხოველმყო-  
ფელობას: აწესრიგებს საჭმლის წესიერ მონელებას, ახალი-  
სებს და ენერგიას მატებს ორგანიზმს, ხელს უწყობს გულის  
მუშაობას.

ყოველივე ეს ცხადჰყოფს, რომ იქ სადაც ყურძნის მა-  
ლალხარისხოვანი და კარგი მოსავლის მიღება შეიძლება მი-  
ზანშეწონილია ვენახების მასიურად გაშენება, საჭიროა ყვე-  
ლა ღონისძიებების გატარება ამ უძვირფასესი კულტურის  
მტკიცედ დანერგვისათვის.

სამხრეთ ოსეთის კლიმატური და ნიადაგობრივი პირო-  
ბები მევენახეობის ფართოდ განვითარების დიდ შესაძლებ-  
ლობებს იძლევიან. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და  
სასოფლო სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობების გამ-  
გეობებთან ერთად დიდ მუშაობას ეწევიან ყურძნის წარმო-  
ების მნიშვნელოვნად გადიდებისათვის. სერიოზული მუშა-  
ობა მიმდინარეობს ამ კულტურის მთიან ზონაში რაც შეი-  
ძლება ფართოდ დანერგვისათვის, მთის მოსახლეობის ყურ-  
ძნით მომარაგების საჭმის გადაჭარით გაუმჯობესებისათვის.



ამ მცირე შრომის მიზანი და ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კოლმეურნეობებსა და სოფლად მცხოვრებ მოსამსახურეებს მოკლედ განემარტოს სამხრეთ ოსეთში მევენახეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, ვა-ზის კულტურის წარმოების დაზღვი არსებული ნაკლოვანებანი და მათი გამოსწორების ღონისძიებანი.

---

## მეცნიერების განვითარების პროექტივები სამხრეთ ოსეთში

სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა უნიკარი დროიდან მისაღებს მეცნიერებისა და მისი მნიშვნელობა ყოველთვის დიდი იყო, განსაკუთრებით, ოლქის დაბალი ზონის მცხოვრებთა თვის. სოფლების: სვერის, რუსთავის და ბიურის ტერიტორიაზე წარმოებული შემთხვევითი გათხრების დროს აღმოჩენილი დიდი მოცულობის ქვევრები მოწმობენ იმას, რომ ოლქში ვაჭის კულტურის გავრცელება ისეთ დასახლებულ პუნქტებამდეც კი აღწევდა, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 1000 მეტრს აღემატება.

ადგილობრივ მოსახლეობას ადრევე შეუნიშნავს ამ ძვირფასი კულტურის კეთილშობილური თვისებები და მაღალ მოსავლიანობა, რის გამოც მან იგი შეიყვარა და მრავალი საჟუნის მანძილზე გაწეული დაუღალავი შრომით, ხელს უწყობდა მის ფართოდ გავრცელებას. დღემდე შემორჩენილი ისტორიული ნაშთები და გადმოცემები ცხადყოფენ, რომ ვენახებით დიდი ფართობი ყოფილა დაკავებული სოფელ გუჯაბაურიდან სვერამდე და არგვიციდან ვანათამდე ლიახვის ხეობაში. სოფელ აქმაჭიდან ალევამდე ქსნის ხეობაში, სონის ხეობაში ფრთხილი ყორინისამდე და ოქონიდან ძალინამდე ფრთხის ხეობაში. ფართოდ მისდევდნენ მეცნიერების აგრეთვე, გრომიდან ბიურამდე დასახლებული გლეხობა მეჭუდა ხეობაში.

  
ქველთაგანვე ფართოდ იყო დანერგილი მევენახეობა /  
დაბა ცხინვალის (დღევანდელი სტალინირი) ორგვლივანი კულტურული  
ყოველთვის საუკეთესო ხარისხის ღვინოებს აყენებდნენ,  
რაც დიდი რაოდენობით გაპქონდათ თბილისის, ქუთაისის და  
რუსეთის სხვადასხვა ქალაქებშიც გასაყიდად.

XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვა-  
ხუშტი ბატონიშვილი აკვიშერს რა საქართველოს მევენახე-  
ობას, იქვე დასძენს, რომ „... ნიქოზის ჩრდილოთ, დიდის —  
ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქრცხილვანი კეთილ-  
ჰაოვანი გარემოს გაღმა აღმოსავლეთი ქრცხილვანისა წალ-  
კოტოვანი ვენახოვანი“, შემდეგ კი განაგრძობს, რომ „გორი-  
დან სვერამდე არის ლიახვის იმიერ და ამიერ დაბნები ხილი-  
ან ვენახოვანი არამედ არც ღვინო თხელი და მომჟაო სასმელად  
მშვენი“.

არსებობს გადმოცემები იმის შესახებ, რომ თამარაშენ-  
ში მცხოვრები ვასილ მაჩაბელი გასული საუკუნის 80-იან  
წლებში ცხინვალის, თამარაშენის, ხეითისა და გუჯაბაურის  
გლეხობისაგან ყურძნის შესყიდვით დიდი რაოდენობით ღვი-  
ნოებს ამზადებდა თბილისისა და ქუთაისის ღვინის და კონია-  
კის ქარხნებისათვის. ამის ცოცხალ მოწმედ დღემდე შემორჩე-  
ნილია იგივე მაჩაბელის ვებერთელა მარანი თავისი საწნახე-  
ლებით, რომლის ქვევრები 10.000-ზე მეტ ვედრო ღვინოს  
იტევს.

„ცნობილია ი. ბაგრატიონ-მუხრანელის წარმოება, რომე-  
ლიც სოფლების: მუხრანის, დილომისა და თამარაშენის მა-  
მულების ყურძნიდან ევროპული ტიპის ღვინოებსა და შამ-  
პანურს აყენებდა. იგი 12 სხვადასხვა მარკის ღვინოებს ამ-  
ზადებდა (ამასთან 2 მარკის შამპანურს), რომელთაც სრუ-  
ლიად რუსეთის 1882 წლის გამოფენაზე ჯილდოდ „სახელ-  
მწიფოს ღერბი“ მიიღეს, პარიზის 1890 წლის სასოფლო  
სამეურნეო გამოფენაზე კი ერთი ოქროსა და 2 ვერცხლის

მედალი“ (ი. რცხილაძე — „საქართველოს მევენახეობა და  
მელინეობა“ — 1956 წ. თბ. გვ. 13).



საქართველოს  
მინისტრის  
მისამართი

XIX საუკუნის ოთხოციან წლებში საქართველოს მე-  
ვენახეობას მოედო ვაზის კულტურის საშინელი მავნე-  
ბელი ფილოქსერა, რომელიც პირველად ჩრდილოეთ ამე-  
რიკიდან გავრცელდა და შავი ჭირივით მოედო ძველი  
რუსეთის იმპერიის სამხრეთ რაიონებს. სწრაფად გავრ-  
ცელდა რა ვენახებში, ფილოქსერა პირველსავე წლებში  
მთლიანად ანადგურებდა ნარგაობას. ამავე დროს, თუ გავიხ-  
სენებთ იმასაც, თუ როგორი „მზრუნველობით“ ეკიდებოდა  
მეფის მთავრობა სოფლის მეურნეობას, ადგილი მისახვედ-  
რია ის, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა მაშინ მევე-  
ნახეობაც. მრავალი გადასახადებით, ისედაც წელში გატე-  
ხილი და ეკონომიურად შევიწროებული გლეხობა, უკიდუ-  
რეს მდგომარეობაში ჩავარდა. ყოველივე ამას ზედ დაერთო  
მენშევიკთა ბატონობა 1917 — 1921 წლებში, რომლებიც  
მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, რომ რაც შეიძლება მეტად გა-  
ეჩალებინათ ხალხთა ეროვნული შუღლი და ძმათა შორის  
მხეცური სისხლის ღვრა. სამხრეთ ოსეთის მევენახეობა აშ  
პერიოდში სრულ განადგურებამდე მივიდა და იშვიათად თუ  
ნახვდა ვინმე ადგილობრივ ქველთაგანვე სახელმოხვეჭილ  
ვაზის ჯიშებით გაშენებულ ვენახს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გლეხობა, რომელიც  
ზედავდა, რომ ფილოქსერის საწინააღმდეგო ლონისძიებებზე  
არავინ ზრუნავდა, იძულებული შეიქნა ხელი მიეყო ფილო-  
ქსერაგამძლე სხვადასხვა სახის ამერიკული ჰიბრიდების გა-  
შენებისათვის, რომელნიც მართალია ფილოქსერას უძლებენ  
და მოვლა დამუშავების დიდი მომთხოვნი არ არიან, მაგრამ  
მისი ნაყოფი უაღრესად მდარე ხარისხისაა, მისგან მიღებუ-  
ლი ღვინო მოკლებულია იმ კეთილშობილურ თვისებებს,  
რომელიც უდაოდ გააჩნია ადგილობრივ კულტურულ ჯი-  
შებს. ასეთი ჰიბრიდები დღესაც დიდი რაოდენობით გვხვდე-



ბა განსაკუთრებით კოლმეურნე გლეხობისა და სოფლის „შემოტყოფა“  
შა-მოსამსახურეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში პრეცენტობა  
ბულ საკარმიდამო ნაკვეთებზე „ქიშნურის“, „დირბულის“,  
„აბისურის“, „ლომინალურისა“ და სხვა ადგილობრივი სა-  
ხელწოდებებით. ხალხის მიერ მათ სახელები შერქმული  
აქვს იმ სოფლების სახელწოდებების მიხედვით, სადაც ისი-  
ნი საქართველოში შემოტანისას პირველად გავრცელდნენ.  
ყველა მათგანს კი ოსურად „ჯიბრიტას“ ეძახიან.


უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმდროინდელ პროგრესულ  
ადამიანებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ფილოქსერის გავ-  
რცელების უდიდესი საშიშროება. მართლაც კავკასიის სა-  
სოფლო-სამეურნეო საზოგადოება, შემდეგ კი კავკასიის სა-  
ფილოქსერო კომიტეტი სერიოზულ მუშაობას ეწეოდა. ვა-  
ზის დავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის დარგში,  
კერძოდ ფილოქსერასთან ბრძოლის დარგში. უკვე იმ დროს  
ფილოქსერასთან ბრძოლის ყველაზე რადიკალურ ღონისძი-  
ებად მიჩნეული იყო ვენახების განახლება ფილოქსერაგამ-  
ძლე ამერიკული ვაზის საძირებელ ადგილობრივი ჭიშების ვა-  
ზის დამყნობით. ამ ღონისძიებამ, შეიძლება ითქვას, სრული  
განადგურებისაგან იხსნა დაკნინების გზაზე დამდგარი მევე-  
ნახეობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მშრომელ გლეხობას  
საშუალება მიეცა მოეკიდა ხელი კულტურული მევენახეო-  
ბის ნამდვილი აღორძინებისათვის, რაც განსაკუთრებით  
თვალსაჩინო გახდა კოლექტივიზაციის წლებში.

გარდა იმისა, რომ გლეხობას ერთხელ და სამუდამოდ  
მიეცა საშუალება მიწის თავისუფლად დამუშავებისა, ვენა-  
ხების აღდგენის გადაუდებელი ღონისძიებების განხორციე-  
ლების დაჩქარების მიზნით, კოლმეურნეობებს დიდი რაოდე-  
ნობით მიეცათ გრძელვადიანი სესხი. ფეხი მოიკიდა სანერ-  
ნობისა გეურნეობამაც. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა  
ჰქონდა მევენახეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარე-

ბისათვის. სამომხმარებლო დარგიდან იგი უფრო განვითარებული და მაღალ საქონლიან სამრეწველო დარგად გადამდინარება ექვი.

განსაკუთრებით სამარტილო ომის შინა წლებში, დიდი და ძალამ ლიახვისა და ქსნის ხეობის იმ ფართობებში, რომელიც აღმართებოდა ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი უკავია, ჭარია-გაშენდა ვენახები ფილოქსერის გამძლე ვაზის სა-იმპერიე დამყნობილი სუფრისა და შამპანური ღვინოების მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ადგილობრივი ჯიშებით. ომის წლებში, ისევე როგორც მეურნეობის სხვა



დარგებს, მევენახეობის განვითარებასაც საგრძნობლად შემაღლა ხელი და მისი ფართობები თითქმის აღარ გაზრდია ამ პერიოდში კოლმეურნეობების ყურადღება ძირითადად იქით იყო მიმართული, რომ დაუმუშავებლობით არ დასუსტებულიყო ვაზი და რაც შეიძლება მეტად გაზრდილიყო მოსავლიანობა.

იმის გამო, რომ მამაკაცთა საგრძნობი ნაწილი ფრთხოების მიყოფებოდა, ვენახების დამუშავებას ძირითადად კოლმეურნე ქალები აწარმოებდნენ, რომლებიც თავიანთი შვალების, ქმრებისა და ძმების ნაცვლად მჩრუნველობით დასტრიალებდნენ თავს საკოლმეურნეო ვენახებს და მოვლაპატრიონობას არ აკლებდნენ.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული ღონისძიებების შესაბამისად ოლქის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ყურადღება მევენახეობისადმი, საგრძნობლად იზრდება ვენახის ფართობები და უმჯობესდება მისი დამუშავების ხარისხი.

1960 წლის 1 იანვრისათვის სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში ვენახებს ეკავა 716,8 ჰექტარი ფართობი, კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე და სხვადასხვა მეურნეობებში 370 ჰექტარი. სულ 1086,8 ჰექტარი.

ოლქის ოთხი რაიონის 126 კოლმეურნეობიდან, ჯერჯერობით, ვენახები გააჩნიათ მხოლოდ 69 კოლმეურნეობას. რაიონების მიხედვით საკოლმეურნეო ვენახების არსებული ფართობები ნაწილდება შემდეგნაირად: სტალინირის რაიონში — 279,5 ჰექტარი, ზნაურის რაიონში — 258, ლენინგრადის რაიონში — 176,8 და მაღალმთიან ჯავის რაიონში 2,5 ჰექტარი.

სტალინირის რაიონში ვენახები ძირითადად გვხვდება შდინარეების დიდი და პატარა ლიახვის მარჯვენა და მარცხენა მხარეების იმ ნაწილში, რომლებიც ჩრდილოეთიდან უშუალოდ ეკვრის გორის რაიონის სოფლებს. ამ კულტურას

შირითადად მისდევენ სოფლების კეხვის, აჩაბეთის, მარჯვენა  
 რაშნის, ძარწემის, ქემერტის, ხეითის, ხეთაგუროვის, არგვი-  
 ცის, ერედვის, ვანათის, დმენისის, ქსუისისა და სხვა კოლ-  
 მეურნეობებში. აღნიშნულ კოლმეურნეობებში საერთო ფუ-  
 ლადი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ამ დარგიდან:  
 ფებულობენ, ამასთან ერთად თითოეულ მათგანში ვენახი-  
 თითქმის ყოველწლიურად ახალ-ახალ ფართობებს იყვებს.

ზნაურის რაიონში ვენახები განლაგებულია წორბისიდან  
 და ძალინიდან მიმდინარე ფრონეს გაყოლებით; ყურძნის  
 კარგი მოსავალი მოჰყავთ სოფლების: არქნეთის, ნულის, ავ-  
 ნევის, მუგუთის, ველების, თერეგვნის, თილვის. ზნაურის,  
 სუნისისა და ოქონის კოლმეურნეობებს.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მევენა-  
 ხეობა ლენინგრძის რაიონის ქსნის ხეობაში, იკოთის, წირ-  
 ქლის, ბოლის, ყანჩავეთის, ლენინგრძისა და ახალდაბის  
 კოლმეურნეობებში, სადაც ყოველთვის უხვად ლებულობენ  
 მაღალი ხარისხის სუფრისა და შამპანური ღვინის მასალის.  
 კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე, ვენახის გაშენება წინაგრისა  
 ორჭოსნისა და მათ მეზობელ კოლმეურნეობებში. ჯავის რა-  
 იონში კი მევენახეობას ჯერ-ჯერობით, მხოლოდ საჩხერის  
 რაიონის მოსაზღვრე სოფელ ქარძმანის კოლმეურნეობის  
 მოსახლეობა მისდევს.



1960 წლის პირველი იანვრისათვის ოლქის საზოგადო და სამუშაოების განვითარების ფართობები შემდეგ სურათს იძლევა:

### სტალინირის რაიონში

1.	სოფ. ერედვის	კოლმეურნეობაში	28,2	ჰექტარი
2.	" არგვიცის	"	20,5	"
3.	" ქსუისის	"	16,5	"
4.	" დმენისის	"	13	"
5.	" დისევის	"	9,5	"
6.	" ქერეს	"	10	"
7.	" ხელჩუის	"	0,5	"
8.	" არცევის	"	18	"
9.	" ოტრევის	"	8	"
10.	" ვალითიკაუს	"	5	"
11.	" ივრეთის	"	0,5	"
12.	" გრომის	"	5	"
13.	" ხეითის	"	15,0	"
14.	" ქემერტის	"	18,5	"
15.	" ჭეხვის	"	22	"
16.	" კვერნეთის	"	3,5	"
17.	" ღოდოთის	"	1,0	"
18.	" ვანათის	"	6	"
19.	" სარაბუკის	"	13,7	"
20.	" ხეთაგუროვის	"	20	"
21.	" აჩაბეთის	"	17,3	"
22.	" ძარწემის	"	12,5	"
23.	" რუსთავის	"	0,5	"
24.	" ხოდის	"	7,8	"

სულ რაიონში 279,5 ჰექტარი.

## ზნაურის რაიონში

1.	სოფ. ბევმარის	კოლ-ბაში	17	პექტარი
2.	" წორბისის	"	8	"
3.	" ყორნისის	"	4	"
4.	" თერეგვანის	"	10	"
5.	" ძაღინის	"	4	"
6.	" მალდის	"	6	"
7.	" ოჭორის	"	1	"
8.	" ძვილეთის	"	19	"
9.	" წნელისის	"	3	"
10.	" ველების	"	39	"
11.	" ქვათეთრის	"	1,6	"
12.	" ნულის	"	13	"
13.	" ავნევის	"	26	"
14.	" მუგუთის	"	14	"
15.	" ფრინევის	"	6	"
16.	" არკნეთის	"	7	"
17.	" ბალთის	"	3	"
18.	" ქალეთის	"	8	"
19.	" მეტეხის	"	1	"
20.	" იონჩის	"	6	"
21.	" სხლითის	"	2	"
22.	" ოქონის	"	6	"
23.	" ზნაურის	"	10	"
24.	" სუნისის	"	10	"
25.	" თილვის	"	18	"
26.	" განტანის	"	18	"

### ლენინგრადის რაიონში

1.	სოფ. ლენინგრადის კოლ-ბაში	55	პექტარი.
2.	" ბოლის	10,2	"
3.	" ახმაგის	6	"
4.	" ახალდაბის	9,5	"
5.	" ყანჩავეთის	17,8	"
6.	" წირქოლის	19,4	"
7.	" საძიგურის	1	"
8.	" ბაგების	1	"
9.	" წუბენის	0,25	"
10.	" იქოთის	6,4	"
11.	" ორჭოსნის	20,4	"
12.	" წინაგარის	48	"
13.	" ალევის	0,4	"
14.	" ძუკათყაუს	7,4	"
15.	" სარბიელის	1,25	"
16.	" აბრევის	14,0	"
17.	" წირის	0,5	"

სულ რაიონში 176,8 პექტარი.

### ჭავის რაიონში

1. სოფ. ჭარმანის კოლ-ბაში 2,0 პექტარი

2. სოფ. ჭავის კოლ-ბაში 0,5 პექტარი

სულ რაიონში 2,5 პექტარი

1. თამარაშნის საბჭოთა მეურნეობაში 18 პექტარი

2. სტალინირის ხეხილსანერგეში 3 პექტარი

სულ ოლქში 737,8 პექტარი.

იძინათების, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ მევენახეობას  
შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე, პირველ ტერიტორია  
ში საჭიროა ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენს ოლქის ტერიტორია  
რელიეფის აგებულებისა და ჰავის თავისებურებათა  
თვალსაზრისით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ძირითადად საშუალო და მაღალმომავალი მხარეა. იგი მდებარეობს თერგის, მტკვრის შუა დინების მარცხენა შემდინარეთა და რიონის მარცხენა შემდინარეთა სათავეების მიჯნაზე.

ოლქს მთლიანად ბუნებრივი საზღვარი ჩრდილო და აღმართავლეთ მხარეზე აქვს. მის ჩრდილო საზღვარს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი წარმოადგენს. აღაიხოხიდან, რომელიც მამისონის გადასავლელის მახლობლად მდებარეობს, დაახლოებით ნეფისკალოს მთებამდე. აღმოსავლეთით სამხრეთ ოსეთს ქსნისა და არავის შორის გავიძლული ლომისალევის ქედი ესაზღვრება. მისი სამხრეთი მხარე კი შიდა ქართლის ბარის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ამ მხარეზე საზღვარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შეიმართება და ჰკვეთს ქსნის, ლიახვისა და ფრონის ხეობების ქვემო წელს.

დასავლეთის საზღვარი მერიდიანულად ეშვება იდაიხოს ქედიდან და გადაპირეთს გლოლის წყლის, ლარულის, ჯოჯორის, ყვირილის და ძირულის სათავეებს. ოლქის ტერიტორია სულ 3800 კვ კილომეტრს შეადგენს, რომლის 41,9 პროცენტი ტყითაა დაფარული, 8,3 პროცენტს ყოველწლიურად იყავებენ მარცვლეული კულტურები, 18,1 პროცენტს საძოვრები და სათიბები, 0,6 პროცენტს კარტოფილი და ბოსტნეული, 0,9 პროცენტს მრავალწლიანი ნარგავები და 30,2 პროცენტს გზები. მდინარეთა გაშლილი კალაპოტები და გამოუსადევარი მიწები.

დიდი ლიახვის სათავის ტოტები გამომდინარეობენ დალეთის ქედის ყინვარებიდან და შეიმართებიან ვიწრო ხე-



ვებში. ეს ხევები იკრიბებიან სოფ. ხანიკათიყაუსთან. მე  
ერთების შემდეგ, დიდი ლიახვის ხევი ვრცელდება პლატფორმაზე  
ლეთით სოფ. როკამდე, ხევი აქაც ვიწროა და შემოკრულია  
ციცაბო კლდეებით, შემდეგ მარჯვენა მხრიდან ხევს ავიწრო-  
ვებენ ბრუტსაბძელას მთის კალთები, სადაც ლიახვის ხევი  
იხრება სამხრეთისაკენ, ერთი მხრით, ჯვისა და მეორე  
მხრით, გუდისის მთებით შევიწროვებული ხევი განაგრძობს  
მსვლელობას ჯერ სამხრეთის და შემდეგ კი სამხრეთ დასავ-  
ლეთის მიმართულებით. აქ მოსვლამდე ლიახვი ანგრევს გარ-  
დიგარდმო გაწოლილ მთის ჯიშთა შრებს, მათი გაგრძელე-  
ბის დასასრულს ხევი იხრება პატარა მანძილზე დასავლეთი-  
საკენ და იწყებს გაგანივრებას. თანდათან მისი გვერდებიც  
ჰკარგავენ თავიანთ ზეაწოლილ მდგომარეობას და სიმკაც-  
რეს, ხეობის ძირში ჩნდება ტერასები ზედ შეფენილი სოფ-  
ლებით. ფაშის შეერთებამდე ხევი არღვევს კიდევ ზალდის  
ქედს. რომლის გაგრძელება ებმის ჯვის ქედს ლიახვის მარ-  
ჯვენა მხარეზე რაროს მთასთან. შემდეგ ქედი იხრება სამხ-  
რეთ აღმოსავლეთისაკენ და მიემართება ბილურთასა და  
ზალდას ქედთა შორის ვათი გაყოლებით. სოფ. კენკოთან ლდა-  
ხვი გამოდის სივიწროვიდან და ხევი იწყებს შესამჩნევ გა-  
ფართოვებას. სტალინიზაცია, ხეობა თავდება, რის შემდეგაც  
უკვე თვალშინ გვეშლება ბარაქიანი და ბუნებრივი სიმშვე-  
ნიერით უხვად შემკული ქართლის ვაკე.

პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელი სოფ. აწრისხევამდე  
მოქცეულია ერთ მხრით, გუდისის მთისა და მისი განტორე-  
ბის და, მეორე მხრით ხარულის ქედებს შორის.

აწრისხევიდან ხეობა იხრება და მიემართება დასავლეთი-  
საკენ სოფ. ვანათამდე. ხეობა შესამჩნევად იხრება სამხრე-  
თისაკენ და საგრძნობლადაც ფართოვდება. პატარა ლიახვის  
ხეობა დმენისზე გავლით უერთდება ქართლის ვაკეს.

ქსნის ზემო ხეობა ნეფისკალოს ამაღლების სამხრეთ ნა-  
წილში მდებარეობს. ეს აღგილი წარმოადგენს გამოქვაბულს



რომელსაც გარს აკვრია თიხოვან-ფილაქნებიანი თხემები უკრაინული  
მთის ამ ჯიშების სიღაბლისა და ჩამორეცხვის გამო გამოქვებულია  
პულის ძირი მოფენილია კლდის ნამტვრევებით და ნაშალით,  
ამ გამოქვებულზე აღმართულია აქა იქ პატარ-პატარა ქე-  
დები, რომელთა შორის მოქცეულია მრავალი ტბა, ქსნის  
სათავის ნაკადი, რომელიც ყელის ტბაში ჩადის. ამ უკანას-  
კრელიდან გამოსული ქსნის სათავის ტოტი და აგრეთვე მი-  
სი სხვა პატარა ტოტებიც არღვევენ არხის ქედს. რომელიც  
სამხრეთით საზღვრავს ნეფისკალის ამაღლებას. შემდეგ  
მდინარე ქსანი იყაფავს გზას უაშრის ხეობაში. ზემო წელში  
ქსნის ხეობა მეტად ეიშრო და ღრმა ხევს წარმოადგენს, თუ  
სოფ. იკოთამდე ქსნის ხეობას ტიპიური ხევის ხასიათი აქვს,  
აქედან იგი შესამჩნევად ფართოვდება და მის ზედაპირზე  
სოფ. ქსოვრისამდე ტერასისებრი სივრცეებია გაჩენილი.

ზნაურის რაიონში სოფ. წორბისიდან ვენევამდე ფრონის  
წყლის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილია ფართე  
ტერასები და დაახლოვებით ასეთივე ბუნებრივი ტერასებია  
თვით ზნაურის ქედებს შორისაც.

საქართველოს მეცნიერობის ძირითად რაიონებთან შე-  
დარებით, სამხრეთოსეთში ამ დარგის ფართოდ განვითარე-  
ბა უფრო შეზღუდულია. რადგან იმ ქედებისა და მათი შტო-  
ების გავლენით, რომლებითაც ღრმად არის დასერილი ოლ-  
ქის ტერიტორია, კლიმატური პირობები აშკარა სიმკაცრით  
ხასიათდება. ამიტომ ვაზის კულტურის წარმოება შესაძლებ-  
ლიდ იქნა მიჩნეული ქსნის, მეჭუდის, დიდი და პატარა ლია-  
ხების და ზნაურის რაიონის ფრონის მყუდრო, გარკვეული  
სიმაღლისა და დაქანების მქონე ტერასებზე.

აღნიშნული ხეობების ქვედა ნაწილში ყველაზე ცივი თვე  
იანვარია და უკანასკნელი 5-6 წლის დაკვირვების მიხედვით  
მისი საშუალო ტემპერატურა 2-დან 80-მდე ეცემა, ყველაზე  
ობილი თვეები ივლისი და აგვისტოა. რომელთა მაქსიმალუ-  
რი ტემპერატურა ხშირად 20-სს აღემატება. საერთო წლი-



ური ტემპერატურა კი 9—11°-მდე მერყეობს. მინიმალური ტემპერატურა 25°-მდე აღწევს, თუმცა ზოგიერთ კატეგორიაში ლის შემთხვევებში იგი 25°-საც სავრძნობლად აღემატება. ვინაიდან აյ ზამთრის ტემპერატურის სავრძნობლად დაცუმა ხშირი მოვლენაა, ზოგიერთ მყუდრო დაგილების გარდა, ვა-ზის ზამთრობით მიწაში დამარხვა საჭირო ღონისძიებად არის მიჩნეული.

ზნაურის რაიონში სავეგეტაციო პერიოდს აქტიური ტემპერატურის (10°-ის ზევით) გამი უკანასკენელი წლების მონაცემებით 2952-დან 2968-მდე მერყეობს, დიდი და პატარა ლიანგვის ხეობებში იგი 3162-მდე აღწევს და ქსნის ხეობაში ლენინგორთან აღნიშნულია 3270—3273-შდე. თუ მხედველობაში მივიღებთ, იმას რომ ვაზს კვირტების გაშლისა და შეგეტაციის დამთავრების შესაბამისი ტემპერატურა დაახლოვებით 10° უნდა აღემატებოდეს, სავეგეტაციო პერიოდი ოლქის თითქმის ყველა ხეობების ქვედა ნაწილში 168 დღემდე გრძელდება.

ოლქში არსებული ხეობების ის მასივები, საღაც ვენახებია გავრცელებული, მეტწილად მოქცეულია საკმაოდ შემაღლებულ დაგილებსა და მთებს შორის და სეთი მდებარეობა ხელს უწყობს ტემპერატურული ინვერსიის წარმოქმნას, რის შედეგად ტემპერატურა მკეთრად ეცემა, რაც ზოგჯერ ვენახებს ნაწილობრივად აზიანებს. ტემპერატურის ასეთი მერყეობის შედეგად გაზაფხულობით სიცივეების შემორჩენება და დილის პატარა ყინვები აპრილის ბოლომდე გრძელდება.

საშუალო უყინვო დღეების რაოდენობა 220-ს აღემატება. შემოდგომის ყინვები ხშირ შემთხვევაში ნოემბრის პირველი რიცხვებიდან იწყება. გაზაფხულის ყინვები კი უმეტესად აპრილის 5-10-დე აღინიშნება, თუმცა მოგვიანებითი ყინვები ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევებში მოსალოდნელია იგრეთვე აპრილის ბოლო რიცხვებამდეც. ამიტომ ვაზის დაზი-



ანების თვეიდან ასაცილებლად საჭირო ხდება წინასტანციალური აგროტექნიკური ღონისძიებების დაგეგმვა.

პატის შეფარდებითი სინოტივე 66-დან (აგვისტო) 80%-მდე (დეკემბერი) მერყეობს და საშუალოდ ზაფხულის თვეებში 68%-ს უდრის ზამთრის თვეებში კი 79%-მდე აღწევს.

ჩათელ დღეთა რიცხვი 85-მდე აღწევს, რაც ძირითადად ივლის-აგვისტო-სექტემბერზე მოდის. საშუალო მონაცემების მიხედვით ნალექების რაოდენობა პატარა ლიახვის ხეთბაში ქსუსთან 507 მილიმეტრს უდრის, დიდი ლიახვის ხეთბაში — თამარაშენში 493-ს და ზნაურის რაიონში, ძვილეთში 478 მილიმეტრს. ჯავის რაიონის ტერიტორიაზე ნალექების წლიური რაოდენობა 522 მილიმეტრს აჭარბებს. აღნიშნულია წლები მინიმალური ნალექებით 343 მმ. და მაქსიმალური ნალექებით 616 მმ. ნალექების მეტი რაოდენობა მაის-ივნისზე მოდის (150 მმ.), ყველაზე ნაკლები კი დეკემბერ-იანვარზე (4 მმ.) და ივლის-აგვისტოზე (43 მმ.), თოვლი უმთავრესად ნოემბრის დასასრულიდან მოდის და გრძელდება მარტის დამლევამდე. თოვლიან დღეთა რიცხვი საშუალოდ ჯავის რაიონში სოფ. ჯავასთან უდრის 25, სტალინიში—18, ლენინგრადში და ზნაურში—21. სეტყვიანობას უფრო მაის-ივნისში აქვს ადგილი. სერიოზული ზარალის მომტანი სეტყვა, რესპუბლიკის მევენახეობის სხვა რაიონებთან შედარებით, აქ გაცილებით უფრო იშვიათია.

ოლქის ტერიტორიაზე ძირითადად გაბატონებულია, აღმოსავლეთის ანუ ქვენა ქარები და დასავლეთის ანუ ზენაქარები. აღმოსავლეთის ქარები უფრო მშრალი და ძლიერია, ხშირად ქარიშხალის ხასიათი აქვს და ისინი ნიადაგის გამოგვალვის იწვევენ. დასავლეთის ქარები შედარებით ტენიანია.

მრავალი წლის დაკვირვების შედეგად, არსებული მეტაოროლოგიური მონაცემების თანახმად, ოლქის დაბლობ ნა-



წილ-ზი საშუალოდ წლის განმავლობაში მხოლოდ უქარო დღე მოდის. ქარიანი დღეები უმთავრესად აგვისტოს თვეშია, ნაკლებ ქარიანი კი დეკემბერში.

ამრიგად, სამხრეთ ოსეთის პავის პირობების შეფასებისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ საშუალო წლიური ნალე-  
ქების სასარგებლო მოქმედება საგრძნობლად მცირდება ზა-  
ფხულის ხშირი გვალვებითა და ქარებით. წლის განმავლო-  
ბაში ნალექების არა თანაბარი განაწილება და სავეგეტაციო  
პერიოდში მისი სიმცირე, ვენახების მორწყვის საჭიროებას  
იწვევს. ამიტომ, იქ სადაც ვენახები სარწყავ ნაკვეთებზეა  
გაშენებული ზაფხულის განმავლობაში 2—3-ჯერ უნდა მო-  
ირწყას. უკანასკნელ წლებში დაგროვილი გამოცდილებით  
კარგ შედეგებს იძლევა ზამთრის მორწყვაც.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვენახების ურწყავი მიწის ფართობზე გაშენებით, ყველთვის ყურძნის გვირე მოსავალს მივიღებთ. ოლქის, თითქმის ყველა რაიო-  
ნის კოლმეურნეობებში არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სავენახ ადგილის სწორად შერჩევისას და ვენახის მოვ-  
ლა-დამუშავების მაღალი აგროტექნიკის განხორციელებით  
საქმიანდ მაღალი მოსავალი მიიღება. ამას აშეარაც ადა-  
ტურებს სოფლების—წირქორის, ყანჩავეთის, ბოლის, ლე-  
ნინგორის, ძარწემის, ქემერტის და ავნევის კოლმეურნეო-  
ბებში არსებული ურწყავი ვენახების უხვი. მოსავლიანობა.

მიწის ის ფართობები, რომლებიც თავის კლიმატური უა-  
ნიადაგობრივი პირობებით ვენახების გაშენების საშუალე-  
ბას იძლევა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გეომორფოლოგიუ-  
რად მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთისაკენ მიმართულ  
შტოებზე მდებარე ფერდობებს წარმოადგენენ. მისი ტერი-  
ტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის გეოლოგიურ შენებაზე  
დიდი გავლენა მოუხდენია მდინარეების მიერ გამოწვეულ  
მთის ქანების ნგრევის შედეგად ჩამოტანილ ფენებს. მათი მე-  
ქანიკური შემადგენლობა მრავალფეროვანია, რაც დიდას

აოის დამოკიდებული დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა უნივერსიტეტისა  
საცა მდინარეთა ხეობების ზედა ნაწილში არსებული მთის  
ქანების შედგენილობაზე, რომლებიც განუწყვეტლივ მოქმე-  
დებენ ნიადაგის წარმოქმნის პროცესებზე.

მდინარეების ნალექები ფარავენ კირქვებს და ქვაქვი-  
შებს, რაც მკაფიოდ ჩანს ლიახვისა და ფრონის გასწვრივ  
არსებულ ფლატეებზე. ამგვარად, ოლქის ნიადაგების უმე-  
ტესი ნაწილი ალუვიალური და წაბლა ტიპისანი არიან, რომ-  
ლებიც თავისი სისქის, მექანიკური შედგენილობისა და  
ხირხატიანობის მიხედვით, სხვადასხვაგვარია. მეტწილად  
დაბლობი ადგილებისათვის დამახსიათებელია ალუვიალური  
ნიადაგები, რომლებიც ფიზიკური აგებულობის მიხედვით  
შეძიმე თიხნარ მონაცერისფერო ნიადაგებს წარმოადგენენ. ამ  
ნიადაგებს ახასიათებს თიხის ფიზიკური რაოდენობა 68 % -  
მდე, კარბონატობა 19 % -მდე; ღრმა ფენებში კარბო-  
ნატობა 51,5 პროცენტუამდე აღწევს. ჰუმუსის რაო-  
დენობა მერყეობს 1,4 % -დან 3,6 % -მდე. მცირე  
დაქანების ფერდობები ძირითადად ხასიათდება წაბ-  
ლა ნიადაგებთ, დაახლოვებით იმავე უმუსიანობით, თა-  
ნის საშუალო რაოდენობითა და ზოგიერთ ადგილას საგრძ-  
ნობი კარბონატობით.

უმეტესი ნაწილი ამ ნიადაგებისა და სარწყავი ან ურწყა-  
ვი. 60—80 სანტიმეტრზე მეტი სილრმის, ალაგ-ალაგ მუქი  
ყომრალი, სუსტ ხირხატიანი ნიადაგებია. სეთი ნიადაგები  
გვხდება უმთავრესად დიდი და პატარა ლიახვის ხეობის  
ქვედა ნაწილში, ტირიფონის ველზე განლაგებული ლენინ-  
გორის რაიონის დაბალი ზონის სოფლების მიჯნაზე მეჭუ-  
დისა და ქსნის ხეობებში, ფრონეს გაყოლებით ზნაურის რა-  
იონის თერევნის, ძალინის, თიღვისა და სხვა სოფლების ტე-  
რიტორიაზე.

ნიადაგების მცირე ნაწილი ალაგ-ალაგ საშუალოდ  
30—50 სანტიმეტრის სილრმისას წარმოადგენენ; მექანიკური  
შემადგენლობით ისინი თიხნარებია და ზედაპირიდანვე

ხასიათდება კირიანობით, ჰუმუსისა და საკვები ელქურებულების არასაკმაო შემცველობით. \*ასეთი ნიადაგები ძირითადად გვხვდება ზნაურის რაიონის სოფ. ძვილეთის, ქვათეთის, ველების, იონჩისა და ვახტანის კოლმეურნეობების ტერიტორიაზე. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ ჩამოთვლილი კოლმეურნეობების ნიადაგების მნიშვნელოვანი ნაწილი რელიეფურად ტალღისებური მდებარეობით ხასიათდება და თავისი კომპოზიციით, ნიადაგის სილრმითა და შედგენილობით ვაზის კულტურის წარმოების კარგ შესაძლებლობებს იძლევა.

ამრიგად, სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში უკეთესი ღირსების ნიადაგებს შედარებით ღრმა ალუვიალური, მძიმე თიხნარი და ქვეთიხნარი ნიადაგები წარმოადგენენ, რომლებიც საჭიროებენ საკვები ელქურებით, განსაკუთრებით აზოტით უზრუნველყოფას აღვილობრივი და მინერალური სასუქების გამოყენებით.

როგორც ზემო ნათვამიდან ჩანს, ოლქის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე კლიმატური, რელიეფური და ნიადაგობრივი პირობები იმდენად შეესაბამებიან ვაზის კულტურის განვითარებისათვის საჭირო მოთხოვნებს, რომ იგი თავისუფლად ვითარდება, როგორც საჩწყავ, ასევე ურწყავ ნიადაგებზე და, წესიერი კულტივირების პირობებში, მისი ფესვთა სისტემა უხვად ჰქვებავს მცენარეს ალუვიალური წარმოშობის თიხნარი ნიადაგებიდან. ვაზი, როგორც სითბოს მოყვარული მცენარე, უხვად ღებულობს მზის სითბოს სამხრეთისა და სამხრეთ დასავლეთის მიმართულების დაქანებულ ფერდობებზე. ამიტომა, რომ ყურძენი თავისუფლად აღწევს საჭირო რაოდენობის შაქრიანობას, უმეტეს შემთხვევაში კი თუ როგორი დაგვიანებით ტარდება, შაქრიანობა იმდენად იზრდება, რომ შამპანური ღვინის დასამზადებლად მისი გამოყენება შეუძლებელი ხდება. მისგან აყენებენ საუკეთესო ხარისხის სუფრის ღვინოებს (ცნობილია,

რომ შამპანური ღვინის დასაყენებლად მოკრეფილი ყურძნები შეაქტიურია არ უნდა აღემატებოდეს 18—20%).

ფრიად საყურადღებოა ის, რომ სამტრესტის მიერ სამხრეთ რეგიონში დამზადებული ყურძნისაგან მიღებული შამპანური და სუფრის ღვინის მასალა ყოველთვის მაღალ შეფასებას დებულობს და, რთველის დროულად და ორგანიზებულად ჩატარებისას, კოლმეურნეობები საკმაოდ დიდ ფულად შემოსავალს დებულობენ.

\* \* \*

ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებებისაგან ვენახების მასიურად განადგურებამდე, დღევანდელ სამხრეთ რეგიონის აკტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ყურძნის სამოცამდე ქართლის ჯიში ყოფილა გავრცელებული, ჩვენამდე კი მხოლოდ ზოგმა მათგანმა მოაღწია. რომელთაგან უფრო მეტად თეთრი ჯიშები სჭირდობენ. სადღეისოდ, ყველაზე უფრო გავრცელებულია შემდეგი ჯიშები:

გორული მწვანე. ყველაზე გავრცელებული თეთრყურძნიანი საღვინე ჯიშია. საკმაოდ ღონივრად იზრდება გრძელი მუხლთშორისებით, დამახასიათებელია მისი ფართე და ნაკვთული ფოთლები, მოგრძო და საკმაოდ მსხვილი განიერი კონსისებური ფორმის მტევნი, მარცვალი, საშუალო სიმსხოსია, შედარებით თხელ კანიანი, მაგრამ საკმაოდ მკვრივი. მზის მხარეზე მტევნის მარცვლები სიმწიფისას ზოგჯერ შესამჩნევად ყვითლდება. ოლქის პირობებში იგი მეტად მაღალ მოსხვლიანია და მისი ყურძნენიც დიდ გამოსავლიანია. ღვინო საკმაო სიმაგრისაა. ნაკლებად ავადლება, წლების განმავლობაში კარგად ინახება და საუკეთესო ბუქეტით ხასიათდება. კარგ მასალას იძლევა შამპანური ღვინისათვის და, თუ სრული სიმწიფისას მოიკრიფა, მაღალი ხარისხის სუფრის ღვინო დგება, რომელსაც თან სდევს სასიამოვნო გემო.



ძეელად იგი ყოველთვის სუფრის ღვინოდ მუშავდებოდა და ვინაიდან უკანასკნელ წლებში მან სახელი გაითქვა. ორგორც შამპანური ღვინის კარგმა ნედლეულმა, კოლმეურნებები ახლა შედარებით აღრე ჰქონებენ მას და აბარებენ 18—20%-იანი შაქრიანობით.

ჩინური. მეტწილად საკოლმეურნეო უნახებშია გავრცელებული (ნაკლებად კი პირადი სარგებლობის ნაკვეთებში), უმთავრესად გვივდება ზნაურის რაიონის სოფ. ნულის. სტალინირის რაიონის სოფ. ძარწემისა და ხეითის, ლენინგრადის რაიონის სოფ. ბოლის, ახმაგისა და წინაგრის კოლმეურნეობებში. ჩინურიდან მაღალხარისხოვანი შამპანური და სუფრის თეთრი ღვინოები მიიღება, გამოიყენება აგრეთვე როგორც სუფრის ჯიში. ახასიათებს საკმაოდ ღონიერი ზრდა საშუალო სიგრძის მუხლთშორისებით, ფოთოლი შედარებით მომცრო აქვს, მტევანი გრძელი, ცილინდრული ფორმისა და საშუალო სიმკვრივის, კლერტი—დამახასიათებელი მომწვანო ჩალის ფერით, მარცვალი საშუალო სიმსხოსა და მრგვალი, შესამჩნევად დაფითქული, წვენს ზომიერი შაქრიანობა და სიმუავიანობა ახასიათებს; უნვმსხმოიარე და კარგი გამოსავლიანი ჯიშია.

შავკაპიტო. მაღალხარისხოვანი ადგილობრივი ყურძნის შავი ჯიშია. ახასიათებს ძლიერი ზრდა ყავისფერი მოწითალო რქითა და საშუალო სიგრძის მუხლთშორისებით. წტევანი გრძელი კონუსისებრი, მარცვალი ოვალისებრი ფორმის, საშუალოზე იღნავ მომცრო სიღილით, საკმაოდ დაფითქული. კანი სიმწიფისას წითელ პიგმენტებს გამოკითხს. წვენი კი თეთრია. შავკაპიტო, როგორც მაღალკეთილშობილური თვისებების მქონე სუფრის ღვინის ჯიში, დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში და, ვთიქრობთ, რომ თვისი თვისებებით არაფრით არ ჩამოუვარდება შამპანური ღვინის დასამზადებლად ამჟამად მიჩნეულ ჯიშებს.

თავკაპერი. ოლქის ვენახებში საგრძნობლად გაგრი-

ლებული ჯიშია. მისგან მზადდება როგორც მაღალზარი უკრაინული კიბელი იმპერიაში. ახასიათებს ძლიერი ზრდა და მაღალ მოსაცლიანობა. ჯვარედინი განაყოფიერების მომთხოვნი ჯაშია და ადგილობრივი ჯიშებიდან მის საუკეთესო დამატებითი ანგარიშით ითვლება. ამიტომ მისი გაშენება სასურველია რქაწითელთან ერთად. მტევანი საშუალო სიმსხოს იქვს, ხშირად, ფრთიანი, რომელიც ნახევრამდე ჩამოსდევს მტევანს. კარგად დამტვერვისას იგი საკმაოდ კუმშია. მარცვალი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო, ფერად მუქი ლურჯი და საკმაოდ წვნიანი. კანი შესამჩნევად უხეში იქვს. ოლქის პირობებში შედარებით უფრო ავადდება ჭრაქით და ნაკლებად ნაცრით.

ვ ყ ა პ ა თეთრი ყურძნიანი სალვინე ჯიშია. ახასიათებს საშუალო სიძლიერის ზრდა, მტევანი მოგრძო, საშუალო სიმკვრივის, მარცვალი საშუალო სიმსხოსი იქვს და შედარებით თხელკანიანია. წვენი თხელი აქვს და მაღალი შაქრიანობით ხასიათდება. საკმაოდ უხევოსაულიანი ჯიშია. შედარებით ყინვის გამძლეა, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ოლქის სხვადასხვა პირობებში ჯიშთა შერჩევისას.

ა ლ ი გ ო ტ ე. ამ ჯიშის გაზი საშუალო ზრდისაა, ახასიათებს მომცრო და მომრგვალო მთლიანი ფოთოლი, მტევანი საშუალოზე მომცრო, ცილინდრული მოყვანილობისაა და საკმაოდ კუმში. მარცვალი მომცრო, მომრგვალო, მომწერი ფერისაა, სრული სიმწიფის დროს იგი მოყვითალო ოქროს ფერია. კანი თხელი იქვს, საკმაოდ წყლიანი და უხევოსაულიანია, შედარებით აღრე მწიფდება. ლიახვისა და ქსნის ხეობებში ალიგოტე მაღალხარისხოვან. ნაზსა და ამავე დროს საკმაოდ სხეულიან ლვინოს იძლევა. სადღეისოდ თავისი უხევი მსხმიარობითა და მაღალხარისხოვანი საშამპანურე ნედლეულით, გორულ მწვანესთან ერთად ოლქის კოლმეურნე-



ობების დიდ ყურადღებას იმსახურებს. ძალზედ უხვი გრაფიკულიანობის გამო ვაზი მალე ბერდება რის გამოც ამ სიცადუმშემთვევა ზედმეტად დატვირთვა დაუშვებლად უნდა მივიჩნიოთ.

ბუდე წური. ეს ჯიში ოლქის მევენახეობის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში გვხვდება. ვაზი საკმაოდ ლონიერი ზრდისაა, რქა შედარებით წვრილი იცის საშუალო სიდირის ფოთლებით, მტევანი მომსხო კონუსისებრია, ბარაქიანი. ზემოთ დასახელებულ ჯიშებთან შედარებით ყველაზე უფრო აღრე მწიფდება (სექტემბრის შუა რიცხვებში), მარცვალი საშუალოზე მომცრო, მოგრძო და მომწვანო ფერისა, მზის მხარეს ოდნავ შეყვითლებული; ღვინოს შედარებით დაბალი ხარისხისას იძლევა და იგი მეტწილად საჭმელად იხმარება. როგორც ადრეული ყურძნის ჯიში. სამხრეთ ოსეთის პირობებისათვის ადრე მოწევის გამო საკმაოდ საყურადღებო ჯიშია. ნაცრით ადვილად ავადდება, ყინვა გამძლეობა საკმაო აქვს.

გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის საკოლმეურნეო და ინდივიდუალური სარგებლობის საკარმილამო ნაკვეთებზე გავრცელებულია, საბატონე (გლდანური), დანახარული, ანდრიული, რქაწითელი და სხვა საღვინე და სუფრის ჯიშები. ყველა ზემოთ დასახელებული ჯიშები, მრავალი საუკუნის მანძილზე მტკიცედ დამკვიდრდნენ და შეეგუენ ადგილობრივ პირობებს, რის გამოც საჭიროა მხოლოდ მათი გაშენება და ამ ჯიშებით გენახის ფართობების შემდგომი გადიდება. ალიგოტემ კი, რომელიც ჩვენში გასულ საუკუნეში სატრანგეთოდან იქნა შემოტანილი, იმდენად ივარგა, რომ აქ იგი, როგორც ამას პროფ. ს. ჩოლოყაშვილიც აღნიშნავდა გაცილებით უკეთესი ხარისხის პროდუქტის იძლევა, ვიდრე მის სამშობლო—საფრანგეთში (ბურგუნდიაში). დახასია-

თებული ჯიშების სამეურნეო ნიშანთვისებათა გაცემის დროის განვითარებით, რომ სამხრეთ ოსეთის პირობებში ვაზის უმ-  
თავრეს საღვინე ჯიშთა დიდი ხვედრი უნდა მოხმარდეს შამ-  
პანური ღვინოების წარმოების გადიდების, რაც იმას გვი-  
ფარნახებს, რომ ვენახები მასიურად ვაშენოთ ვაზის იმ შე-  
ძოშმებული ჯიშებით, რომლებიც მაღალხარისხოვან შამპა-  
ნურ მასალას იძლევიან. ჯავის რაიონში, კი რომლის დაბალი  
ზონის კოლმეურნეობები ზღვის დონიდან 100-დან 1.200 მე-  
ტრიმდე არიან განლაგებული, — სოფელ გუფთის, მსხლები-  
სა და ჯავის კოლმეურნეობების სახით, საქარმიდამო ნაკვეთებ-  
ზე კულტივირებული ვაზის განსაზღვრული ძირთა არსებული  
მდგრამარეობა აშკარად ცხადყოფს, რომ აქ გორული  
მწვანის, ჩინურისა და სხვა ქართული ჯიშებით ვენახე-  
ბის ვაშენების აშკარა შესაძლებლობანი არსებობს და არა-  
ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის გამართლება, რომ  
აღნიშნულ კოლმეურნეობათა გამგეობები და სოფლის მე-  
ურნეობის სპეციალისტები ამ საქმეს ჯერ კიდევ გაუტბიან.

საყურადღებო ისიც, რომ მეზობელი თიანეთის რაიონის  
სოფ. ჭურჭელაურებში ზღვის დონიდან 1330 მეტრის სი-  
მაღლეზე „პინოსა“ და „ჩინურის“ ჯიშით აგროტექნიკის პ-  
იცათურელის ინიციატივით ვაშენებული ვენახი ცუდად არ  
გრძნობს თავს. და კარგ მოსავალსაც იძლევა. ეს კი იმას  
მოწმობს, რომ ჯავის რაიონის დაბალი ზონის კოლმეურნეო-  
ბებშიც უეპვილად უნდა მოვკიდოთ ხელი ამ კულტურის  
გაშენებას (მიუხედავად იმისა, დასჭირდება იქ ზამთრის პე-  
რიოდში მიწით დაფარვა თუ არა) გარდა ამისა ადგილობ-  
რივი მოხმარების მიზნით საჭიროა ჯავის საკურორტო ზონა-  
ში ვაშენდეს ისეთი აღრეული ჯიშები, როგორიცაა: შასლა  
თეთრი, შასლა ვარდისფერი, შასლა მუსკატი, პინო შავი,  
თეთრი მუსკატი, შარდონე და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ოლქის მევენახეობის განვითა-  
 რების დღევანდელი დონე ჯერ კიდევ ნაწილობრივადაც ვერ  
 აქმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.  
 ამ დარგს თავისი მაღალშემოსავლიანობით კოლმეურნეო-  
 ბების ეკონომიკაში მეხილეობასთან ერთად ფრიად საპატიო  
 ადგილი უკავია. ლენინგრძის რაიონის სოფ. ბოლის, ახალ-  
 დაბის, ყანჩიავეთის, წირქოლისა, სტალინირის რაიონის სო-  
 ფელ აჩაბეთის, კეხვის, ქემერტის, ხეითის, არგვიცისა და ერედვის, ზნაურის რაიონის სოფ. ავნევისა და ნულის კოლ-  
 მეურნეობები ყოველწლიურად ფულადი შემოსავლის მნიშ-  
 ვნელოვან ნაწილს მევენახეობიდან ღებულობენ. როდესაც  
 ამ კოლმეურნეობებში ლაპარაკია იმაზე თუ როგორი პირი  
 უჩანს მოსავლიანობას, პირველ რიგში ისინი მსჯელობენ  
 იმაზე თუ როგორ დაიზამთრა ვაზმა, რა პირობებში დაი-  
 ყავილა და როგორ ვითარდება ყურძნის მტევნები, რო-  
 გორ დაიცვეს მისი დაზიანება ჭრაქისა და ნაცრისაგან, გვალ-  
 ვის ან ხშირი წვიმებისაგან. თუ სამხრეთ ოსეთის კოლმეურ-  
 ნეობები, რესპუბლიკის მდგრინავე კოლმეურნეობებს ჯერ კი-  
 დევ ცერ შესჭიბრებიან სიმინდისა და შაქრის ჭარხლის მო-  
 სავლიანობით, სამაგიეროდ, ბევრი მათგანი ხშირად იმაყობს  
 თვისი მაღალხარისხოვანი ხილისა და ყურძნის. მოსავლით,  
 სუფრისა და შამბანურის ტიპის ლვინოებს შესანიშნავ სამე-  
 ურნეო და სამომხმარებლო ლირსებით. თავისი კეთილშობი-  
 ლური თვისებებით არაერთხელ უსახელებიათ თავი აქაური  
 გორული მწვანის, ჩინურისა და შავკაპიტოს მასალით დაყე-  
 ნებულ ღვინოებს, როგორც ადგილობრივ ისევე თბილისა,  
 და მოსკოვში მოწყობილ გამოფენებსა და დეგუსტაციებზე.

სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნის-  
 ტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრკ-ის მი-

  
ნისტროთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილებამ სოლუ-  
ლის მეურნეობის დაგეგმვის ორსებული წესების შეცვალებულება  
შესახებ გამოხმაურება პპოვა ოლქის კოლმეურნეობებში და  
დიდი შესაძლებლობანი გამოავლინა მევენახეობის შემდგო-  
მი განვითარებისათვის. დაგეგმვის ორსებული წესის თანახ-  
მად თითოეულ კოლმეურნეობას ახლა უკვე შეუძლია მაქსი-  
მალურად განვითაროს ის დარგები, რომლებიც ადგილობ-  
რივ პირობებში ყველაზე მისაწვდომი და რენტაბელურია.  
ოლქის კოლმეურნეობათა დიდმა ნაწილმა უკვე გადაწყვიტა,  
რომ უახლოეს წლებში მეხილეობასთან ერთად მაქსიმალუ-  
რად განვითარონ მევენახეობა და მათ ძირითადად შეუცვა-  
ლონ მიმართულება აქამდე არსებულ საკუთარ, დაბალშემო-  
საცლიან მეურნეობებს. 1965 წლისათვის კოლმეურნეო-  
ბებში კვანაბის ფართობი 1070 ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს  
და მნიშვნელოვნად გადიდეს ორსებული კვენახების მსხმოი-  
არობა. სამხრეთ ოსეთში იმ დარგის მნიშვნელოვანი გან-  
ვითარებით კოლმეურნეობების დიდი ჩრდილი ერთხელ და  
სამუდაოდ დააღწევს თავს საკუთარი ეკონომიკის ჩამორჩე-  
ნილობას.

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ ოლქის თანამედროვე მევენახე-  
ობას სოფლის მეურნეობაში საქმაოდ დიდი ხვედრითი წო-  
ნა აქვს, მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებთან  
შედარებით არსებული კვენახების ფართობი იმდენად მცი-  
რება. რომ საჭირო რაოდენობით მისი გაფართოება კარგ ცო-  
დნასა და დაკვირვებას მოითხოვს. ისევე, როგორც საერ-  
თოდ, სამხრეთ ოსეთშიც მევენახეობის სწორად განვითარე-  
ბისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის რაციონალურ  
გაადგილებას. მევენახეობა განვითარებული უნდა იქნეს იმ  
ამოცანიდან გამომდინარე, რომ კვენახით სხვა სასოფლო სა-  
მეურნეო კულტურების შეცვლამ საგრძნობლად გაზარდოს

კოლმეურნეობის შემოსავლიანობა და განამტკიცოს გადოებრივი მეურნეობის ეკონომიკა.



საქართველოს

მინისტრის

განვითარების მასშტაბისა და მიღებული პროდუქციის ხვედრითი წონის მიხედვით სამხრეთ ოცენის კოლმეურნეობებში მევენახეობა გვხვდება, როგორც წამყვანი დარგი საკუთრივ, ან მეხილეობასთან ერთად და როგორც დამხმარედარგი. მევენახეობა, როგორც წამყვანი დარგი შეიძლება მიწნეულ იქნეს სტალინიზის რაიონის სოფ. ძარწემის, ქემერიის, ერევის, ლენინგრადის რაიონის სოფ. წირქოლის, ბოლის, წინაგრისა და სხვა კოლმეურნეობებში. ე. ი. იქ სადაც ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ყურძნის მოსავლიდან არის მიღებული. მევენახეობა წარმოდგენილია როგორც დამხმარედარგი ზნაურის რაიონის ქვათეთრის, ძვილეთის, ველების, სტალინიზის რაიონის დისევის, არცევის კოლმეურნეობებში და სხვა.

როგორც ნარგაობის ტიპები ოლქის ვენახები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1. საკარმიდამო ნარგაობა და 2. სამრეწველო ან ნახევრად სამრეწველო ნარგაობა კოლმეურნეობებში. ნარგაობის ისეთი ტიპები, როგორც პროფ. ი. ლ. ჯაში განმარტავს ძირითადად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: წარმოების მასშტაბით, ტერიტორიის ორგანიზაციით, ვენახის ნარგაობის გაშენების წესით და ფართობის ათვისების ხასიათით, ნარგაობის მიმართულებით—ჯიშების ასორტიმენტით, საქონლიანობის დონით, აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემით, მექანიზაციის დონით, შრომის ორგანიზაციითა და ნაყოფიერებით, მიღებული პროდუქციის თვითღირებულებითა და სხვა მაჩვენებლებით.

საკარმიდამო ნარგაობას მეტწილად არ ახასიათებს რაიმე გარკვეული მიმართულება ჯიშთა ასორტიმენტით. ვენახის გაშენებისას ვაზი ირგვება ნაკვეთის მფლობელის სურვილისამებრ. მაგალითად, ლიაჭვისა და ფრონის ხეობებში საკარმიდამო ვენახების 80-90% გაშენებულია ფილოჭერისა და



სოკოვან დაავადებათა გავრცელების დროს შემოტანილი ჟურნალები ჰქონდა და ისიც დარგვის წესის დაცვის გარეშე. პილატიონით

ქსნის ხეობაზე — ლენინგრადის რაიონში კი საკარმიდამო ვენახები თითქმის მთლიანად გაშენებულია ქართლში გავრცელებული კულტურული ჭიშებით (ჩინური, გორული მწვანე, ალიგორე და სხვა). ოჯახის პირადი ადგილობრივი მოთხოვნილების დაქმაყოფილების მიზნით ნარგაობა ნაწილობრივ ხერვნებადაც გვხვდება.

საკარმიდამო ვენახების გაშენების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაშიაც გამოიხატება, რომ არ არის დაცული ფართობების ათვისების რაიმე გარკვეული წესი, ხშირად ისინი განლაგებულია უსისტემოდ, პატარ-პატარა ნაკვეთების სახით; მათი საქონლიანობა დაბალია მოსავლიანობა კი შეტაც მცირე, ვინაიდან საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებანი არადამაქმაყოფილებლად ტარდება. იმის ვამო, რომ არ სწარმოებს გაწეული დანახარჯების აღრიცხვა, ძალიან ძნელია და ხშირად შეუძლებელიდაა მიღებული პროდუქციის თვით-ლირებულების დადგენა.

სამხრეთ არსებული საკოლმეურნეო ვენახების უმრავლესობა შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც სამრეწველო და ნახევრად სამრეწველო ტიპის ან დანიშნულების ნარგაობად, რომლებიც შედარებით უფრო მოზრდილ ფართობებზე არიან გაშენებული და რაც მთავარია მათი მასივები უფრო კომპაქტურად არიან გაადგილებულნი, რაც უოველ-თვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს რაციონალური მეურნეობის ორგანიზაციისათვის. ამ შემთხვევაში ფართო შესაძლებლობა არსებობს ჭიშების გარკვეული ასორტიმენტის დადგენისათვის, ვენახის მთელი ფართობი იყოფა ძირითად საწარმოო ერთეულებად (კვარტალი ან თარგი) და იქმნება შესაძლებლობა მათი მთლიანად გამოყენებისა. გარდა ამისა სამრეწველო და ჩხევრად სამრეწველო დანიშნულების ნარგავთა გაშენებისას კოლმეურნეობებში ყოველთვის



უნდა გაითვალისწინონ ტემპერატურა და ნალექების ტემპერატურა ნობა, მათი განაწილება წლის განმავლობაში და ყოველწლიურა ამის შემდეგ სწორად განისაზღვრება კვების მოცულობა, მისი რეგულირებისათვის საჭირო ცველა ღონისძიება.

მუშა-ხელის ეკონომიისა და პროდუქციის თვითლირებულების შემცირების საჭიროება თავისთვავად გვიყარნახებს, რომ ამგვარი ტიპის ცენახების გაშენებისას აუცილებლად გავითვალისწინოთ მექანიზაციის გამოყენება, შრომის ორგანიზაციის რაციონალურად მოწყობა, ჯიშებისა და საძირეთა მიზანშეწონილი შერჩევა. კოლმეურნეობებში უნდა ახსოვდეთ, რომ მეცნახეობაში აგროტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიური ღონისძიებების სისტემის გატარება უნდა უზრუნველყოფდეს: მზის განათების მიზანშეწონილ გამოყენებას, ყინვაგამძლეობას, ნარგავის საექსპლოატაციო პრიორიტეტების გახანგრძლივებას, ცენახის რაციონალურად მოვლის შესაძლებლობებს და დანაკარგების მინიმუმადე დაყვანას. ყოველივე ამით კი კოლმეურნეობა უნდა აღწევდეს ყურძნის მაღალხარისხოვან, უხვ, მყარ მოსავლიანობას, რაზედაც ბევრად არის დამოკიდებული სამრეწველო ცენახის ბაზაზე მეურნეობის რენტაბელობა.

როცა ლაპარაკია ოლქის მეცნახეობრის ნარგავთა ტიპებზე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ აქაურ პირობებში ცველაზე გავრცელებულ ტიპს სამრეწველო მეცნახეობა წარმოადგენს, ამიტომ იგი ძირითადი დასაყრდენია სამხრეთ ოსეთში შამპანური ღვინის წარმოების მაქსიმალურად გაფართოვებისათვის.

ოლქის მრავალფეროვანი რელიეფის, კლიმატური და ნიადაგობრივი პირობების თავისებურებანი გვაიძულებენ თითოეულ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ სავენახე აღვილის შერჩევას. ამ ღონისძიების გატარებისას მოვალენი ვართ გვახსოვდეს, რომ შერ-



ჩეულ ადგილზე გაშენებულმა ვენახმა 60 წელზე მეტ ხალხურობა  
იარსებოს და ამ ხნის განმავლობაში მისგან საზოგადოებრივ  
მეურნეობისთვის სათანადო სარგებლობასაც მოველით. ამი-  
ტომ სავენახე ადგილების შერჩევა და მისი ტერიტორიის  
ორგანიზაცია უოველთვის უნდა ხდებოდეს მევენახეობის  
განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

მიუხედავად ამისა არსებობს ბევრი ფაქტი ამ ღონის-  
ძიებებისადმი უპასუხისმგებლო დამკიდებულებისა, რის  
შედეგადაც ვენახები შენდება შემთხვევით გამოყოფილ მი-  
წის ფართობებზე საჭირო წინაპირობების გათვალისწინების  
გარეშე. ცნობილია, რომ ისეთ მთავრორიან რაიონში როგო-  
რიც არის ჩვენი ოლქი, ვენახები უნდა შენდებოდეს ფერდობ  
და შემაღლებულ ადგილებზე, რომლებიც მზის სხივებისადმი  
უკეთ განშეყობის გამო სითბოს მეტ რაოდენობას ღებულო-  
ბენ ვიდრე მათ ქვემოთ მდებარე ვაკე ადგილები. ნაკვეთი-  
სადმი მოთხოვნილება კიდევ იმითაა დასაბუთებული, რომ  
ზამთრობით ფერდობებიდან ჩამონადენი ჰამონადენი ჰა-  
ვები დაბალ და ჩავარდნილ ადგილებში გროვდება, რაც  
ზოგჯერ შესამჩნევად მოქმედობს ვენახებზე. ამის საილუს-  
ტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ სოფლების—დმენისისა და  
ქსუისის კოლმეურნეობებში ამჟამად არსებული ვენახების  
მაგალითი. ამ კოლმეურნეობებს თავიანთ ტერიტორიაზე გა-  
აჩნიათ სამხრეთის მიმართულებით მცირედ დაქანებული  
ქვეთიხნარი ხირხატიანი ნიადაგები, რომლებიც თავისი ექს-  
პლოატაციითა და ნიადაგის თვისებებით სრულიად შეესაბა-  
მებიან ვენახის გასაშენებლად საჭირო მოთხოვნილებებს. მი-  
უხედავად ამისა ამ კოლმეურნეობებს ვენახები გაუშენებიათ  
მათი ტერიტორიის ყველაზე დაბალ ადგილებში, რის შედე-  
გადაც ზამთრობით მთებიდან ჩამონადენი ჰავრის ციცი მასა  
ხშირად ვაზის რქას საგრძნობლად აჩიანებს. ამით კი შესამ-  
ჩნევად მცირდება ყურძნის მოსავალი. გარდა ამისა ყინვების  
ძლიერი მოქმედებით ვაზის მნიშვნელოვანი ნაწილი მთლია-  
ნად იღუპება და საჭირო ხდება მისი ხელახლად შევსება.



ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ზნაურის კოლექცია  
სოფ. ნულის, თიღვის, ოქონის და სხვა კოლმეურნებშემცირებული

ახალი ვენახების გაშენების საჭირო წინა პირობას ავ-  
რეთვე ისიც. წარმოადგენს, რომ ნაკვეთის შერჩევა ხდებო-  
დეს სამხრეთ ან სამხრეთ დასავლეთ მიმართულებით, რაც  
ზოგჯერ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყურადღების გარეშე  
რჩება. სოფლის მეურნეობის რაიონულმა ინსპექციებმა და  
კოლმეურნეობებში მომუშავე სპეციალისტებმა აღარ უნდა  
დაუშვან მსგავსი შეცდომები. ისინი კოლმეურნეობათა გამ-  
გეობებთან ერთად წინასწარ უნდა სწავლობდნენ იმ ნაკვე-  
თების მდებარეობას და ნიადაგებს, სადაც ვენახების გაშენე-  
ბა აქვთ გათვალისწინებული.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაწესდეს, რომ ვენახები  
შედარებით ნაყოფიერ, ღრმა და სტრუქტურულ ნიადაგებზე  
შენდებოდეს.

სავენახე ადგილის სწორი შერჩევა დიდ გავლენას ახ-  
დენს ყურძნის მოსავლიანობაზე, ლვინის ხარისხზე და  
პროდუქციის წარმოებისათვის გასაწევ დანახარჯებზე.

ოლქის მევენახეობის ან მებაღე-მევენახეობის მიმარ-  
თულების თითქმის ყველა კოლმეურნეობა ამ დარგებთან  
ერთად შეიცავს მთელ რიგ სხვა დამხმარე დარგებსა და კულ-  
ტურებს, რომელთა გაადგილება და მოწყობა თავის კონკ-  
რეტულ გამოხატულებით უპირველეს ყოვლისა ტერიტორი-  
ულ ორგანიზაციაშია ასახული.

შიგასამეურნეო ტერიტორიის ორგანიზაცია უწინარეს  
ყოვლისა ითვალისწინებს სავენახე მიწის ფართობის დაყო-  
ფას პირველად საწარმოო ერთეულებად.

პირველად საწარმოო ერთეულებად ყოველთვის ვეული-  
სხმობთ სამ ჰექტარიან თარგებს, სიგანით 100 მეტრი და სა-  
გრძით 300 მეტრი. პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაგვანა-  
ხვა, რომ თარგის გაპიროვნება რგოლზედ კარგ შედეგს იძ-  
ლება.



კვარტალი კი რეკომენდირებულია, რომ განისაზღვრება უნდა შემთხვევაში იგი უნდა წარმოადგენდეს ბრიგადის სამოქმედო ობიექტს.

როგორც წესი თარგები და კვარტალები ყოველთვის უნდა იფარგლებოდეს გზებით ფერდობიან მიწის ფართობებზე, თარგებს შორის არსებული გზების სიგანის განსაზღვრისას შეგვიძლია 4 მეტრითაც დავკმაყოფილდეთ. კვარტლის ირგვლივ არსებული გზების სიგანე კი შეიძლება 7-8 მეტრამდეც აღწევდეს.

იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ საამისოდ საჭირო ფართობის გამოყოფა ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ ეს უკანასკნელი თავისი გადაადგილების მხრივ ემთხვეოდეს ქარსაცავ ტყის ზოლებს. სარწყავ ნაკვეთებში საჭიროა ამავე საგზაო ქსელსა და ქარსაცავ ზოლებს დაუკავშიროთ მელიორაციული ქსელი. რითაც მიღწეული იქნება ფართობის დაზოვეა.

უდაოა რომ კვარტალების საზღვრებზე გაადგილებული ქარსაცავი ტყის ზოლები შეძლებისდაგვარად პერპენდიკულარულად უნდა იქნას განწყობილი გაბატონებული ქარების მიმართ. ვაზის დაჩრდილვის თავიდან აცილების მიზნით ქარსაცავი ტყის ზოლები სასურველია გაშენდეს ვენახიდან 10-12 მეტრის დაშორებით. ეს ფართობი ამავე დროს გამოიყენება, როგორც გზებად, ასევე ტრაქტორების მოსაბრუნებლად.

ვენახის გასაშენებლად განკუთვნილი ტერიტორიის ორგანიზაცია ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს ვენახის გაშენებასა და თარგების გამოყოფას ისე, რომ ყველა პირობა შევუქმნათ მეურნეობას აგროტექნიკურ ლონისძიებათა კომპლექსის მაღალხარისხოვნად შესრულების, სამუშაოთა შესრულების მექანიზაციისა და ამის შედეგად შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად გადიდებისათვის.



ოლქის ვენახები რესპუბლიკის ძირითად მეცნიერებლების  
რაიონებთან შედარებით მცირე ფართობებზეა გაშენებული  
და მათი გაშენების წინ ტერიტორიის ორგანიზაციის გეგმა  
არასოდეს არავის შეუდგენია. ამჟამად, როგორც ზემოდ იყო  
აღნიშნული, ყველა იმ კოლმეურნეობაში, სადაც კი ვენახე-  
ბის გაშენების შესაძლებლობანი არსებობს, ამ კულტურის  
წარმოება მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს. ბევრ კოლ-  
მეურნეობაში ვაზის გაშენებას ახლად იშევებენ და ბევრგან  
კი პერსპექტიული გეგმის თანახმად არსებული ვენახები სა-  
გრძნობლად უნდა გაფართოვდნენ.

ორივე შემთხვევაში საჭიროა, რომ წინასწარ დგებოდეს  
ტერიტორიის ორგანიზაციის გეგმა, სადაც გათვალისწინებუ-  
ლი უნდა იქნეს ამ კულტურის შემდგომი განვითარების პერს-  
პექტივები.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში მომუშავე ახალგაზრდა სპე-  
ციალისტებმა, ადვილი შესაძლებელია გამოუცდელობის გა-  
მო ვერ შესძლონ ვენახის ტერიტორიის ორგანიზაციის გეგ-  
მის შედგენა ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიების გათვა-  
ლისწინებით; ამიტომ მათ დახმარებისათვის უნდა მიმართონ  
მეზობელ კოლმეურნეობაში ან სოფლის მეურნეობის ინს-  
პექტიაში მომუშავე გამოცდილ სპეციალისტებს. სამწუხა-  
როდ ასე არ მოიქცნენ თავის დროზე, მაგალითად, სტალინი-  
რის რაიონის სოფ. კეხვისა და ხეთაგუროვის კოლმეურნეო-  
ბებში არსებული ვენახების გაშენებისას, რამაც ის გამოი-  
წვია, რომ ამ კოლმეურნეობების გამგეობები რაიონის ხელ-  
მძღვანელი ორგანოებისაგან არსებული ნარგაობის ამოღე-  
ბისა და გადარგვის ნებართვას მოითხოვენ.

მევენახეობის თანამედროვე აგროტექნიკა გვავალებს,  
რომ ვენახების გასაშენებლად გამოყოფილი ნაკვეთი წინას-  
წარ გაიწმინდოს ხეების, ჯაგების, ძირკვებისა და მსხვილ-  
ქვებისაგან, რის შემდეგ, ვენახის გაშენებისა და მისი შემდ-  
გომი მოვლა დამუშავების გაადვილების მიზნით. იგი უნდა  
გადასწორდეს სათანადო მექანიზმების გამოყენებით. სამ-



წუხაროდ ზოგიერთი კოლმეურნეობა ამ სამუშაოს არ გვიცის რებს და ნაკვეთებს პირდაპირ პლანტაჟად ამუშავებს. ამ ონისძებების გატარების გარეშე გაშენებულია ვენახები მაგალითად ლენინგორის რაიონის სოფ. წინაგრის, ძუკათკაუს, ორჭოსნის კოლმეურნეობებში. ამ კოლმეურნეობების მოსახლეობა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად ამ ცოტა ხნის წინათ შეუდგა ვაზის კულტურის წარმოებას და საჭირო იყო ამ საქმეში მათდამი აგრონომების ქმედითი დახმარება, რაც მათ დროულად არ მიუღიათ. საბოლოოდ ვენახები ძალზედ უსწორმასწორო ადგილზედ აღმოჩნდა, ეს კი ძალზე აძნელებს მის ხარისხოვნად მორწყვას და დამუშავებას. ამ შეცდომის გამოსწორება ნაწილობრივად შესაძლებელი ხდება ნიადაგის პლანტაჟად დამუშავების შედეგადაც, მაგრამ სამწუხაროდ ზოგჯერ ამ შესაძლებლობასაც არ იყენებენ და ვენახი კვლავ უხარისხოდ დამუშავებულ ნაკვეთში ირგვება.

როგორც წესი ოლქის პირობებში გასაშენებლად გამოკოფილი ნაკვეთების პლანტაჟის სილრმე არ უნდა იყოს 50 სანტიმეტრზე ნაკლები: ეს სამუშაო უნდა ტარდებოდეს 4-5 თვით ადრე ვაზის დარვდამდე. შეიძლება ითქვას, რომ ამ სამუშაოს შედარებით წარმატებით ატარებენ სტალინირის და ლენინგორის რაიონების კოლმეურნეობებში. ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებში კი, სადაც მევენახეობის სწრაფი განვითარება უკელაზე მეტ საჭიროებას წარმოადგენს ჯერ კიდევ ნაკლებათ აქვთ ათვისებული ეს უაღრესად საპასუხისმგებლო სამუშაო, რის გამოც მათ განკარგულებაში არსებული მექანიზმები ტექნიკური მიზეზებით ხშირად მწყობრიდან გამოდის. და უხეშად ირლევევა ნიადაგის დამუშავების აგროტექნიკური ვადები. ამიტომ არის, რომ რაიონისა და ოლქის ხელმძღვანელი ორგანოები უკანასკნელ წლებში ენერგიულ ზომებს ლებულობენ ამ სამუშაოთა შესრულების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.



სავენახე ნიადაგების პლანტაციად დამუშავების აგრძელებული შემთხვევების ნიური ვადების დაცვა და ვაზის დარგვამდე 20-25 დღით ადრე 25 სანტიმეტრის სილიმეტრები პლანტაციად დამუშავებული ნაკვეთების გადახვნა და დაფარულება ჩენენში ვენახების გაშენების ერთ-ერთი სერიოზული ღონისძიებათაგანია. ამ სამუშაოთა ხარისხიანად შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული ახალი ნარგავის შემდგომი ზრდა-განვითარება და მსხმოიარობა.

კოლმეურნეობებში ვენახების შედარებით დიდი ფართობები ისეთ ნაკვეთებზეა გაშენებული, რომლებიც საკმაოდ დაჭანებულ ფერდობებზე არიან განლაგებულნი და ტირიფონის, ვანათისა და კეხვის სარწყავი არხებით ირწყვიან. ზოგიერთ მათგანში კი, იმის გამო, რომ გაშენების წინ შესაბამისი სარწყავი ქსელი არ ყოფილა მოწყობილი, მეტწილად ნაკვეთები უხარისხოდ და საჭირო წესების დაცვის გარეშე ირწყვის, რასაც თან სდევს ნიადაგის გარეცხვა და ნაკვეთებში ხრამების გაჩენა. ეს საკითხი ნაწილობრივ მოგვარებულია ვანათის პრეზიდენტის გაყოლებით განლაგებულ კოლმეურნეობებში, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მოუგვარებელია ტირიფონისა და კეხვის არხების მომსახურების კოლმეურნეობებში (წინაგარის, ქუკათყაუს, ხეთაგუროვის და სხვა).

უახლოეს წლებში საკმაოდ მოზრდილ ფართობებზე გათვალისწინებულია ვენახების გაშენება, საღაც საჭიროა ვანახსაცავი ტყის ზოლების წინასწარ მოწყობა, რათა ნარგავი დაცული იქნას ქარებისა და ჰაერის ცივი დინების უარყოფითი ზემოქმედებისაგან. აგრეთვე ნიადაგის გამოშრობისაგან. ტყის ზოლები ხელს უწყობს ზამთრის ნალექების მეტი რაოდენობით დაგროვებას.

ჩვენს პირობებში ვენახსაცავ ტყის ზოლებს შორის მანილი არ უნდა აღემატებოდეს 300 მეტრს, თითოეული ზოლი 4-5 მწკრივიანი უნდა იყოს. დასარგავად გამოყენებული უნდა იქნეს როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვიანი სწრაფად მოზარდი მაღალ ტანიანი ხეები. ამ საქმეში კოლმეურნეობე-

პისაღმი დახმარების გაწევა დავალებული აქვს სატყეო მეცნიერებების ნეობებს.

გარდა ტყის ზოლებისა, ვენახების ირგვლივ საჭიროა გაშენდეს ცოცხალი ლობეები; რისთვისაც ოლქის პირობებში საუკეთესო მასალას წარმოადგენენ: გლედიჩია, კომში, ფშატი, სობურა და სხვა მცენარეები.

ხშირად ოლქის კოლმეურნეობებში ვენახების გაშენებისას რიგებს შორის სხვადასხვა მანძილებს ტოვებენ. ეს, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს. რადგან განსხვავებულ ნიადაგებზე და დამუშავების სხვადასხვა პირობებში მცენარეთა რიგებს შორის ერთნაირი მანძილის დატოვება ყოვლად გაუმართლებელია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვენახის დასამუშავებლად მექანიზმების გამოყენების საბაზით ზოგჯერ რიგშორისებს მეტისმეტად აღიდებენ. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცალკეული სპეციალისტების რჩევით რიგებს შორის 2,25 მეტრი და რიგებში ვაზებს შორის 1,5 მეტრი დატოვეს, ეჭვს გარეშეა, რომ რიგებს შორის ასეთი მანძილი მეტისმეტად გადიდებულია, რადგან ორმეტრიანი რიგშორისების დამუშავებაც ტრაქტორით აღვილად ხერხდება და ძირთა რაოდენობაც იმდენად აღარ-მცირდება. ისეთ მთაგორიან აღგილებში კი საღაც ტრაქტორის გამოყენება გაძნელებულია და ვენახის დამუშავება ხელით წარმოებს, ვაზის დარგვა მიზანშეწონილია კვადრატულად  $1,5 \times 1,5$  მეტრზე.

სავენახე ნაკვეთის დაგეგმვისას, როგორც წესი, ყოველთვის მხედველობაში ღებულობენ ნაკვეთის დაქანებას, ქარებისა და სარწყავი ქსელის მიმართულებას (თუ იგი სარწყავია). მათი მხედველობაში მიღება განსაკუთრებით საყურადღებოა სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებისათვის. რადგან ვენახები აქ მეტწილად ფერდობებზე შენდებიან და მათზე ქარებიც საგრძნობ ზეგავლენას ახდენენ.

როცა კოლმეურნეობებს ვურჩევთ, რომ სავენახე ნაკვეთის დაგეგმვისას რიგები მოეწყოს მისი დაქანების პერპენ-



დიკულარულად ან მისდამი რომელიმე კუთხით მხედველობაში  
ბაშია მიღებული, რომ ამგვარად დაგეგმილ ვენახში უნდამოხადა  
გის დამუშავება მოხდება დაქანების საწინააღმდეგო მიმარ-  
თულებით, რაც საკმაოდ ზოგადავს ნიადაგის გადარეცხვას  
და უფრო მოხერხებული ხდება სხვადასხვა სამუშაოთა ჩა-  
ტარება. რიგები შესაძლებლობის მიხედვით, განწყობილი  
უნდა იქნენ გაბატონებული ქარების გასწვრივ, რწყვის მო-  
ხერხებულად ჩატარების მიზნით, ისინი სარწყავი წყლის დი-  
ნებას უნდა შეესაბამებოდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვაზის სიცოცხლეში ყვე-  
ლაზე უფრო საპასუხისმგებლო მომენტი მისი დარგვაა. ვენა-  
ხის მომავალი სამეურნეო მაჩვენებლები და მისი წარმატე-  
ბანი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ხა-  
რისხობრივი მაჩვენებლებით ტარდება ვაზის დარგვა. უპირ-  
ველეს ყოვლისა, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს სარგავი მა-  
სალის ხარისხი.

თანამედროვე აგროწესების თანახმად, ვენახის გასაშენე-  
ბლად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ  
პირველი ხარისხის ვაზის ნამყენი. სამწუხაროდ, ცოტა არ  
არის შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობის მიერ შესყი-  
დული ან საკუთარ სანერგეში გამოყვანილი ნამყენის დიდი  
ნაწილი უხარისხოა და მიუხედავად ამისა იგი მაინც ირგვე-  
ბა. რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები ღანაშაულია. ასე მო-  
იქცნენ გასულ წლებში ზნაურის რაიონის სოფ. ბევრარის,  
ვახტანის, ძვილეთისა და ოქონის კოლმეურნეობების ხელ-  
მძღვანელები, რომლებმაც სავენახედ დამუშავებულ ნაკვე-  
თებში უხარისხო ნამყენი დარგეს, საიდანაც გაიხარა მხო-  
ლოდ ცალკეულმა ძირებმა. მსგავსი ფაქტები არავითარ შე-  
მთხვევაში არ უნდა დავუშვათ.

აგროწესების თანახმად, ვაზის დარგვა რეკომენდირებუ-  
ლია შემოდგომაზამთრის, თბილ ამინდებში, როცა ნიადაგი  
ჯერ კიდევ გაყინული არ არის და გაზაფხულზე არა უგვია-



ნეს 15 აპრილისა. ეს სამუშაო ძირითადად უნდა ტარტოვის გადამდგრმო ან საგაზაფხულო კულტურების თესვის პარალელურად. ზოგიერთ კოლმეურნეობაში დარგვის ვადები უხეშად ირღვევა, რაც ნამყენის გახარების პროცენტს გნიშვნელოვნად ამცირებს და საჭირო ხდება მომავალ წელს ნარგავის თითქმის ხელახლად აღდგენა. ეს რომ თავიდან იქნეს აცილებული, ჩვენმა კოლმეურნეობებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა თქვან უარი სხვადასხვა დარგების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მორიგეობით შესრულებაზე, რაც ხშირად უკანასკნელ რიგში შესრულებულ სამუშაოთა საშინელ გაუარესებას იწვევს; სამწუხაროდ ამგვარად ჯერ კიდევ ბევრ კოლმეურნეობაში მუშაობენ, რის გამოც მეტი დახმარება სჭირდებათ მათ შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების საქმეში.

შეუწყნარებლად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე ვენახის გაშენება ცუდად დამუშავებულ ნიადაგებზე, რასაც ოლქის კოლმეურნეობებში არც თუ ისე იშვიათად იქვს ადგალი. კიდევ უფრო მეტი დანაშაულია, ის რომ მიუხედავად დიდი შესაძლებლობებისა მეტწილად ვაზი ირგვება სხვადასხვა სილრმეზე, ორმოებში მისაყრელი მიწის სათანადო გაფხვიერებისა და ნაკელის შეტანის გარეშე; ყოველივე ეს დამლუპველად მოქმედებს ახალი ვენახის გაშენებაზე. სასტიკად უნდა ვიბრძოლოდ ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმისდამი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთისათვის.

ოლქის კოლმეურნეობების სინამდვილეში მეტად მტკიცნეულ საკითხს წარმოადგენს ახლად გაშენებული ვენახების მოვლა. დარგვის შემდეგ ახლად გაშენებულ ვენახს, გარდა მოწინავე კოლმეურნეობებისა, ხშირ შემთხვევაში იშვიათად თუ მიხედავენ. და თუ მიხედავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკვეთი ძალზე დასარევლიანდება ხშირად ივიწყებენ, რომ ახლად გაშენებული ვაზის შემდგომი ვანვითარების



ბედ-ილბალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ გორ დამუშავდა ვენახი გაშენების პირველ წლებში. აგრო-ტექნიკა კი გვავალებს, რომ რიგთაშორისები კულტივატორით ან ხელით ზერელედ 4 — 5-ჯერ მუშავდებოდეს 10 — 15 სან-ტიმეტრის სიღრმეზე და ნამყნის თავზე დაყრილი მიწის კოკოლები სისტემატურად ფხვიერდებოდეს, გვალვიან ამინ-დებში, თუ ნაკვეთი ურწყავია, ახალგაზრდა ვაზი მიზიდული წყლით უნდა ირწყვოდეს და სოკოვან ავადმყოფობათა წინა-აღმდეგ ერთ პროცენტიან ბორდოს სითხით 8 — 10-ჯერ იწამ-ლებოდეს, მეორე წელს შტამბის გამოსაყვანად და ყლორტის მექანიკური დაზიანებისაგან დასაცავად ვაზს ყოველმიზეზვა-რეშე სარი უნდა შეედგას და ზედ ნორჩი ყლორტები აირას. იქ სადაც ეს აუცილებელი სამუშაოები — შეუსრულებელი რჩება, ახალი ვენახების გაშენება ფორმალურ ხასიათს ღებუ-ლობს და სავენახედ გამოყოფილი ნაკვეთი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაუთესაობის გამო ფაქტიურად ცდება.

ყველა მევენახემ კარგად იცის, რომ ვაზი საყრდენის მო-ყვარული მცენარეა და ამ უკანასკნელით მისი უზრუნველ-ყოფის გარეშე ვენახიდან მოსავალს არ უნდა ველოდეთ. ამ ღონისძიებას ოღვის მოწინავე კოლმეურნეობებში სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდებიან და შედეგსაც კარგს ღებუ-ლობენ. მევენახეობის აქლად დამწყებ კოლმეურნეობებში კი ცოტა როდია შემთხვევები, როცა მსხმიარობაში შესუ-ლი ვაზიც კი წლების განმავლობაში უსაყრდენოთა მიტოვებული, და ზოგჯერ კი საჩს მაშინ უდგაძენ, როცა ვაზი უკვე მწვანე ნაწილებითაა შემოსილი.

საღლეისოთ ჩვენი საკოლმეურნეო ვენახების დაახლო-ვებით 70% შპალერულ სისტემაზეა გადაყვანილი, დანარჩე-ნი კი ყოველწლიურად სარჩე ასაკრავადაც გათვალისწინე-ბული. შპალერი ვაზის თორმირების საუკეთესო საშუალებაა. შისი ღირსება, სხვა საყოველთაოდ ცნობილ დადებით მხა-რეებთან ერთად, ისიც არის, რომ იგი აადვილებს მექანიზა-



ციის გამოყენებას მევენახეობაში. გარდა ამისა, ყოველწლიურად ურად კოლმეურნეობების მიერ სარის მასიურად დამზაღება ხომ ხელს უწყობს ტყეების განადგურებას.

შპალერი სარჩე გაცილებით იაფიც ჯდება. მასზე გაწეული დანახარჯები მთლიანად ანაზღაურდება უმოკლეს დროში ვენახის შპალერის სისტემაზე გადაყვანას ჩვენი კოლმეურნეობები ყოველწლიურად ეწევიან. ამ შემთხვევაში საჭიროა აღიკვეთოს აპრილისა და მაისის თვეებში მისი მოწყობა. ეს მუშაობა უნდა წარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ ვაზის მოსვენების პერიოდში კვირტების გაღვიძებამდე.

როგორც წესი, ვაზის ტანის ნაწილები საყრდენზე აკრული უნდა რჩებოდეს მხოლოდ სავეგეტაციო პერიოდში გაზაფხულიდან შემოდგომამდე, მიუხედავად ამისა ზოგიერთ კოლმეურნეობაში ზამთრობით ვაზს არ ათავისუფლებენ საყრდენიდან და მოკრეფის შემდეგ გაზაფხულამდე მას ხელუხლებლად ტოვებენ, რაც ძალზედ უარყოფითად მოქმედებს ვაზზე.

ვაზის შესაყელად ოლქის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში იყენებენ ტირიფის წნელს, კანაფს და რაფიას. ცუდ შედეგს არ იძლევა ამ დანიშნულებისათვის თელის ლაფანიც-

\* \* \*

იმ ღონისძეებათა შორის, რომლებიც ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას უზრუნველყოფენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვაზის სწორი გასხვლა-ფორმირება და დატვირთვა. ვაზის დატვირთვა დამოკიდებულია წყლისა და საკვების მარაგზე, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ვაზის ძლიერ ზრდას და მაღალ მოსავლიანობას.

ოლქის პირობებში ნორმალურად დატვირთული ვაზი რომელსაც წყლისა და საკვების საკმაო მარაგი აქვს, მაღალ მოსავალს იძლევა და, თუ ძლიერად დატვირთულ ვაზს კვების არადამაკმაყოფილებელი პირობები აქვს, ამ შემთხვევაში მისი მოსავალი პირიქით, ძალზედ მცირდება. მცირე



მოსავალს გლებულობთ აგრეთვე კარგი კვების პირობებით და შემდეგ თუ ვაზი სუსტად არის დატვირთული.

გასხვლა-ფორმირების წესების ზუსტად დაცვა აადვი-  
ლებს აგრეთვე ვენახის ნიადაგის დამუშავებას და ვაზის  
მოვლას, აწესრიგებს სანაყოფე და სამამულე რქების რაო-  
დენობას, რაც აუცილებლობას წარმოადგენს მიმღინარე  
წლის უხვი მოსავლისა და მომავალი წლისათვის ძლიერი ნა-  
ზარდის მისაღებად.

ვაზის გასხვლისას ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ  
რამდენად ძლიერად ან სუსტად მოზარდია იგი. როგორც  
ცნობილია, ვენახში თითქმის ყოველ ცალკე შემთხვევაში  
ადგილი აქვს ვაზის არა თანაბარ განვითარებას, რასაც ფესვ-  
თა სისტემის მეტნაკლები სიძლიერით განვითარება, კვების  
პირობების სხვადასხვაობა და სხვა მიზეზი იწვევენ.

ვაზის ახალგაზრდობაში გასხვლის ძრითადი ამოცანაა  
შევქმნათ ძლიერი მცენარე როგორც მიწის ზედა ასევე მი-  
წის ქვედა ნაზარდით ფესვთა სისტემით. ამავე ღროს ჭრი-  
ვცდილობდეთ არა ცალკეული ნაწილების, არამედ მთლია-  
ნად ძირის გაძლიერებას. ამ მიზნის მისაღწევად გასხვლის  
ღროს დასატოვებელ რქებს გარჩევთ არა მარტო ნაყოფის  
მიღების თვალსაზრისით, არამედ ნავარაუდევი ფორმის მი-  
ხედვითაც.

ოლქის რელიეფური და კლიმატური პირობების თავი-  
სებურება გვიკარნახებს, რომ ვაზის სრულ მოსავლიანობაში  
შესვლისას კონკრეტული პირობების შესაბამისად გასხვლა  
იქითვენ იყოს მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი და მა-  
ღალხარისხოვანი მოსავალი მოგვცეს. აქედან გამომდინარე,  
გასხვლის ძირითად ამოცანას შეადგენს ვაზის მოსავლიან  
სანაყოფე რქებით უზრუნველყოფა, დასახული ფორმის შე-  
ნარჩუნების და მომავალი წლისათვის სათანადოდ განვითა-  
რებული ფორმირებისათვის საჭირო ელემენტების გამო-  
ყვანა.



ვინაიდან ვაზის გასხვლა ერთ-ერთ ყველაზედ უფრო ჭრის ლიფიციური სამუშაოა, უკოდინარი და გამოუცდელი მუშაობრივი კების მიერ ამ სამუშაოს შესრულება დიდ დანაშაულად უნდა იქნეს მიჩნეული.

ოლქის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამ სამუშაოს შედარებით მცოდნე და გამოცდილი კოლმეურნეები აწარმოებენ და უმეტეს შემთხვევაში სასურველ შედეგსაც აღწევენ. ასე მაგალითად, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის კოლმეურნეობის მევენახეები საშა ბაციკაძე და ალექსი ტარიელაშვილი, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობაში დიმიტრი დურგლიშვილი და იასონ ჭილლაძე, ლენინგრძის რაიონის სოფელ წირქოლის კოლმეურნეობაში მიშა ტატუნაშვილი. ტატე ქესაური და მრავალი სხვები—საჯმის მცოდნე პრაქტიკოს მსხვლელებად ითვლებიან. ვაზის წესიერი გასხვლით ისინი ვაზის ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობას შორის სასურველ შეფარდებს ამყარებენ.

მაგრამ არიან ისეთი კოლმეურნეებიც, სადაც ვაზის სხვლას ისეთი პირები აწარმოებენ, რომლებიც ამ საქმეს ჯერ კიდევ სათანადოდ დერ დაეუფლებიან. ამ კოლმეურნეობებში უხეშად ირლევა სხვლის ძირითადი პრინციპები და იგი შესამჩნევად დაბლა სწევს მოსავლიანობას. ასეთების რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს ლენინგრძის რაიონიდან: სოფ. წინავრის, ძაუკათყაუს, ორჭოსნისა და აბრევის კოლმეურნეობები. სტალინირის რაიონიდან სოფ. ხეთაგუროვისა და არცევის, ზნაურის რაიონიდან სოფ. ველების, ძვილეთის, თერეგვნის, ძალინისა და სხვა კოლმეურნეობები.

აღნიშნულ კოლმეურნეობებში მსხვლელების მოუმზადებლობის არსებული ფაქტები აშეარად ლაპარაკობს იმაზე, რომ რაიონებში მომუშავე აგრონომები სუსტ დახმარებას უწევენ მათ.

უკანასკნელ წლებში მართალია რაიონებში ტარდება მოკლევალიანი სემინარები მევენახეობის დარგის ბრიგადი.



რებისათვის მაგრამ ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია და მიმართულებით საჭიროა მეტი დახმარების გაწევა აღგრძელებზე.

თანამედროვე აგროტექნიკა გვიყარნახებს, რომ ოლქის პირობებისათვის ვაზის სხვლა შეგვიძლია ვაწარმოოთ: 1. ქართული ფორმით ციგოზე დასაკავებლად. 2. ქართული ფორმით ცალმხრივ შპალერზე დასაკავებლად და 3. ქართული ფორმით ორმხრივ შპალერზე დასაკავებლად, სამივე შემთხვევაში ვაზი შეიძლება დავტვირთოთ როგორც ნაკლებად. ისე მეტად, მაგრამ ქართული ორმხრივი შპალერით ვაზის სხვლის თავისებურება შედარებით მეტი დატვირთვის საშუალებას ითვალისწინებს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ აზ უნდა გაგვიტაცოს ვაზის მომეტებულად დატვირთვამ. იმ შემთხვევაში, თუ ჩეენ სუსტად მოზარდ ვაზს ზედმეტად დავტვირთავთ, ვენახი უმოკლეს ხანში დაკარგავს თავის პოტენციურ მარაგს და მოსავალი შეიძლება სულაც აღარ შოგვცეს.

უკანასკნელ შლებში გვალვების შედევად და ვენახების არა-დამაკმაყოფილებელი დამუშავების გამო ზნაურის რაიონის სოფ. ვალების, ოქონის, სუნისისა და თერეგვნის კოლმეურნეობებში ვაზი იმდენად დასუსტებულ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მისი საგრძნობლივ დატვირთვა ნარგავზე უსათუოდ ცუდად იმოქმედებს. თუ ავილებთ სოფ. ვენევის, ძარწემის, ერელვის, ბოლისა და სხვა ზოგიერთი კოლმეურნეობისა და თამარაშინის საბჭოთა მეურნეობის მაგალითს, იქ ვაზს შედრებით უფრო ძლიერად ტვირთავენ და ეფექტიც დიდია. ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობებში ორმხრივი მოკლე კორდონის, აგრეთვე ორმხრივი ორსართულიანი შპალერის მოწყობა, სხვლის რაციონალურ ხერხების გამოყენების პირობებში ძირითადად კარგ შედევა მოგვცემს. ამ საკითხით ოლქის მევენახეთა დაინტერესება.

დროულია. საერთოდ მათ მოუხდებათ ბევრი იმუშაონ ზის დატვირთვა ფორმირების საკითხზე.

ჩვენი მსჯელობის საგანს არ შეადგენს განვიხილოთ ვაზის სხვლის წესები და მეთოდები მისი სხვადასხვა ფორმირების პირობებში, ეს დაწვრილებით არის აღწერილი მევენახეობის აგრძელებული. პოპულარულ და სასწავლო სახელმძღვანელოებში. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ოლქის მევენახეობის ბევრ კოლმეურნეობაში არ არის დაცული სხვლის დაწესებული პრინციპები და საერთოდ კოლმეურნეობებში მომუშავე აგროპერსონალი შპალერული სისტემის ვენახებში ნაკლებ ყურადღებას უთმობს ვაზის ფორმირების საკითხებს. ამოცანა კი მდგომარეობს იმაში, რომ აგროტექნიკის რაციონალური ხერხების გატარების პირობებში (ნიადაგის წესიერი დამუშავება, მორწყვა, სასუქების გამოყენება და სხვა). სადაც უკვე მიზანშეწონილია, ჩამოვაყალიბოთ ვაზის მაღალი დატვირთვის ფორმები.

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ხშირი იყო ვენახების დაზიანება ყინვებისაგან. ეს მოვლენა არც ისე იშვიათია ჩვენს პირობებში. ყინვები ვაზის ხშირად კვირტებს უზიანებს, ზოგჯერ კი განსაკუთრებით ერთწლიანი ნაზარდები, მთლიანად იყინება. ხშირად ყინვის ასეთ ზეგავლენას ადგილი აქვს ამაღლებულ ადგილებს შორის მოქცეულ ტაფობებში. ოლქის კოლმეურნეები კერ კიდევ ნაკლებად ფლობენ ყინვისაგან დაზიანებული ვაზის გასხვლის ხერხებს, კინვისაგან დაზიანებული ვაზი უნდა გაისხლას მისი დაზიანების სიძლიერის მიხედვით, საერთოდ კი კვირტების რამდენადაც მეტი რაოდენობაა დაზიანებული, ვაზი იმდენად მეტად უნდა დავტვირთოთ, რომ მოსავალი დიდი რაოდენობით არ შეგვიმირდეს. როდესაც ლაპარაკია სხვლის დროს ვაზის დატვირთვაზე, ძირითადად მხედველობაში გვაქვს სანაყოფები რქა, რაც შეეხება სამამულე რქებს, დაზიანების უმეტეს შემთხვევაში ვაზს ისინი არ ეტოვება, რადგა-

ნაც თავიანთი განვითარებით ნაკლებად საიმედონი სარან/ ურაველებელი  
მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს აგრეთვე ისუცულებულის  
ძლიერი დაზიანების გამო შტამპზე გადაჭრილ ვაზზე ნამყე-  
ნი აღილის ქვემოთ იმოსული ყლორტები მთლიანად უნდა  
შეეცალოს, მის ზევით კი გაფურჩქვნის დროს უნდა დარჩეს  
3-4 ყლორტი მომავალი წლის ფორმირებისათვის.

ზოგიერთ წლებში მევენახეობის დარგის მუშაյებისაგან  
ხშირად გაიგონებთ, რომ ზამთრის ყინუებისაგან ვაზის დაზი-  
ანების გამო ყურძნის მოსავალი არ მიუღიათ: ეს ბევრჯერ  
ასეც ხდება, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარ-  
კვეული აგროლონისძიებების ჩატარებით ძლიერად მოყინუ-  
ლი ვაზიდანაც შეგვიძლიან მივიღოთ მოსავლის ნაწილი მა-  
ინც.

ყლორტებზე ნამხრევების განვითარებამდე, დაახლოვე-  
ბით ყვავილობის დაწყების პერიოდში, საჭიროა მათი წვე-  
რების წაწყვეტა ზრდა დასრულებული ფოთლების ზევით  
მე-4 ან მე-5 მუხლთშუალების ზევით. თავების აღრე გადაჭ-  
რა იღლიის კვირტის განვითარებას იწვევს და ის საკვები, რო-  
მელიც ყლორტის ზრდას უნდა მოხმარებოდა მის ძლიერ  
განვითარებას ხმარდება, რაც მტევნის ჩასახვასა და შემდგომ  
განვითარებას იწვევს. ამის შემდეგ, როგორც კი გამოაშ-  
კარავდება ნაყოფიანი და უნაყოფო ნამხრევები, საჭირო  
მათი დანორმება.

უნდა გვახსოვდეს, ისიც რომ ნამხრევებიდან მოსავლი  
მიღება არც ისე ადვილია და, მიზანს რომ მივაღწიოთ, მოვ-  
ლის მკვეთრად გაუმჯობესებაა საჭირო; ფართოდ უნდა ჩა-  
ტარდეს ვაზის დამატებითი კვება 2—3-ჯერ, ნიაღავის ხში-  
რი გაფხვიერება, სარწყავ აღგილებში დამატებით მოჩწყვა,  
გაფურჩქვნა და ყველა ის ღონისძიებანი, რომლებიც მაქსი-  
მალურად გააძლიერებენ, როგორც ცალკეული ყლორტების.  
ასევე მთლიანად ვაზის ზრდა განვითარებას. ამ ღონისძიე-  
ბის გატარების კირგი პრაქტიკა გაჩნიათ სოფ. ერედვის ი. ბ.



სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ბევრჯერ გრძნობლად დაზიანებული ვენახიდან არც თუ ისე ცუდი ჰო-სავალი მიიღეს.

ზამთრის ყინვებისაგან ვენახის დაცვის ერთ-ერთი უველა-ზედ უფრო რადიკალურ საშუალებას წარმოადგენს ვაზის დამარხვა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ ჩვენი ოლქის დაბა-ლი ზონის ჩავარდნილ ტეფობებში არსებული ვენახების ნა-წილი ზოგიერთ წლებში საგრძნობლად ზიანდება. ასეთ კოლმეურნეობებში ვაზის დამარხვა უნდა იქნეს შემოლებუ-ლი და ამ სამუშაოს ისინი დაახლოვებით ნოემბრის პირველ რიცხვებიდან უნდა აწარმოებდნენ (დმენისი, ქსუისი, წინა-გარი, ძუკათყაუ, ყანჩავეთი, ნული და სხვა). ამ სამუშაოს ჩვენი კოლმეურნეები ნაკლებად იცნობენ და მათ იგი ძალი-ან რთულ საქმედ აქვთ წარმოლგენილი. კოლმეურნეობებში და რაიონებში მომუშავე აგრონომებმა პრაქტიკულად უნ-და აჩვენონ მათ ვაზის გადაწვენის ტექნიკა და 12-15 სმ. სი-ზაღლით გუთნის საშუალებით მიწის მიყრა, შემდეგ კი ხე-ლით მისი გასწორება.

ვაზის კულტურის წარმოებაში მნიშვნელოვან ღონის-ძიებას წარმოადგენს მწვანე ოპერაციები.

სამხრეთ ოსეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ მოწინავე კოლმეურ-ნეობას, მწვანე ოპერაციები მხოლოდ ნაწილობრივ ან სრუ-ლიად არ ტარდება, რაც აგროტექნიკის დაბალი დონის აშკარა მაჩვენებელია.

ჩვენი მეცნიერები უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ვა-ზის ყლორტების ძლიერი ზრდა-განვითარება, ნორმალური დაყვავილება და მტევნების უკეთესად ვანვითარება მწვანე ოპერაციების გარეშე ყოვლად შეუძლებელია. ამ ღონისძიე-ბას ფართო პროცეგანდა უნდა გაეწიოს ზამთრის პერიოდში მეცნიერების მუშავთა მოკლევადიანი კვალიფიკაციის ასა-მალებელ კურსებზე მეცადინეობისა და ზაფხულის პერი-



ოდში პრაქტიკული მუშაობის დროს მოწყობილ საუცხოველო  
რამოდენიმე სიტყვა ვენახის სიმეჩერის ლიკვიდაციის  
ლონისძიებების შესახებ. ოლქის კოლმეურნეობებში ვენა-  
ხების მოვლა-პატრონობის დიდ ნაკლოვანებად ის უნდა ჩა-  
ითვალოს, რომ ბევრი მათგანი ძალზედ მეჩერია, რაც სრუ-  
ლი და მყარი მოსავლის მიღების საშუალებას არ იძლევა.  
ლენინგრადის რაიონში სოფ. ძუკათყაუსა და ორჭოსნის, სტა-  
ლინირის რაიონში სოფ. ხეთაგუროვის, არცევისა და ქსუი-  
სის კოლმეურნეობებში ვენახები იმდენად მეჩერია, რომ  
კარგი დამუშავების პირობებშიც კი მოსავლიანობის გეგ-  
მებს ხშირად ნახევრადაც ვერ ასრულებენ. დანაკლისი ვა-  
ზების შევსება კი უმრავლეს მათგანში ჯერ კიდევ არადამა-  
კმაყოფილებლად მიმდინარეობს.

აგროტექნიკური წესების თანახმად, დანაკლისი ვაზების  
შევსება დასაშევებია. შერჩეული ნამყენის გამორგვით, გადა-  
წიდვნით და მხრის გაგრძელებით. თვითეულ მათგანის მი-  
ზანშეწონილობა განისაზღვრება ნარგავის ზრდა-განვითარე-  
ბის, ასაკისა და სიმეჩერის მიხედვით. სოფ. ერედვის, არგვი-  
ცის და ძარშემის კოლმეურნეობებში უფრო ხშირად საქმის  
გაადვილების მიზნით ლონიერი ვაზის ერთ-ერთი მხარის გაგრ-  
ძელებასა და იშვიათად კი გადაწიდვნის ხერხს მიმართავენ.

ახალგაზრდა ვენახებში დანაკლისი ვაზების შევსებას კი  
კარგად განვითარებული და შერჩეული ჯიშის ნამყენის  
გამორგვით აწარმოებენ. ამ კოლმეურნეობებში აღნიშნუ-  
ლი ხერხების გამოყენებით ვენახების მეჩერიანობა თითქ-  
მის ლიკვიდირებულია და კარგი მოვლა-დამუშავებით ყო-  
ველთვის მაღალ მოსავალსაც ღებულობენ. საჭიროა ამ ლო-  
ნისძიებების ფართოდ დანერგვა განსაკუთრებით ზნაურის  
რაიონის თითქმის ყველა და ლენინგრადის რაიონის ტირა-  
ფონის ველის გასწვრივ განლაგებულ კოლმეურნეობებში



ვაზის ზრდისა და მსხმოიარობისათვის საჭირო პიროვნეული გამოცემების შინაგანი დამუშავება, რის მთავარი მიზანისაც შეადგენს: 1. სარეველა ბალახებთან ბრძოლა, 2. ნიადაგში სინოტივის მეტი რაოდენობით დაგროვება და მისი შენარჩუნება, 3. ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებების გაუმჯობესება.

ნიადაგის დამუშავება, როგორც წესი ტარდება როგორც შემოდგომა-ზამთრის, ასევე გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზრდა-განვითარებისა და მსხმოიარობის მხრივ ოლქში არსებული ვენახების საგრძნობი ნაწილის არადამაყმაყოფილებელი მდგომარეობა ძირითად წლების განმავლობაში ნიადაგის სუსტი დამუშავებით აიხსნება. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში კოლმეურნეობათა გამგეობებს მიუძღვით ბრალი, რომლებიც ღროულად და ხარისხიანად არ უზრუნველყოფნენ სამუშაოთა შესრულებას, მაგრამ კიდევ უფრო მეტი დანაშაული ამ საქმეში ყოფილ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და მათ ხელმძღვანელობას მიუძღვის. წლების განმავლობაში მათს განკარგულებაში მყოფი ვენახის დასამუშავებელი მანქანა-იარაღები გამოყენებული იყო ძალზე ცუდად, ბევრი მათვანიც ხშირად უმოქმედოდაც იდგა. ამ მხრივ არც ახლა არის სახარბიელო მდგომარეობა. კოლმეურნეობებს სუსტად ეხმარებიან რაიონში მომუშავე ინჟინერ-მექანიზატორები და აგრონომები, რომლებიც მტს-ების მსგავსად განზედვანან მევენახეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვის საკითხებიდან.

როგორც ახალგაზრდა ასევე მსხმოიარე ვენახში ყოველწლიურად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საჭიროა ფართოდ შემოვილოთ მწკრივთა შორისების ხვნა 15-20 სმ. სი-

ჩილლებე და მწკრივების გამობარვა, გამოთოხნა ერთეულის  
რის მიყოლებით.

სინამდვილეში კი მწკრივთაშორისების ხენას მხოლოდ  
კოლმეურნეობათა ნაწილი აწარმოებს და ვენახების დიდი  
ნაწილი დაუმუშავებელი რჩება. გაზაფხულზედაც ეს სამუ-  
შაო ხშირად დაგვიანებითა და უხარისხოდ ტარდება. როც  
ვერ უზრუნველყოფს ნიადაგში სინოტივის საჭირო რაოდე-  
ნობით დაგროვებას და ნიადაგის თვისებების გაუმჯობესე-  
ბას. კაზი ძალზე ცუდად გრძნობს თავს, როცა ზოგიერთ  
კოლმეურნეობაში ნაცვლად 3-4 ჯერადი გამოთოხნისა მწკრი-  
ვებში ამ სამუშაოს მხოლოდ ერთხელ და ისიც დაგვიანე-  
ბით აწარმოებენ. 4-6 ჯერად კულტივაციას ხშირად სულაც  
არ ატარებენ, რის გამოც მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვა-  
ზი საგრძნობლად დაიჩიგრა და ვენახების მნიშვნელოვანი ნა-  
წილი მთლიანად განადგურდა (ოქონა, ისაკ-კაუ, სუნისი, ბე-  
ყმარი და სხვა).

ოლქის ბუნებრივი პირობები გვიკარნახებენ, რომ ვენა-  
ხები ბევრ კოლმეურნეობაში შეგვიძლია ურწყავ ნაკვეთებ-  
ზე გავაშენოთ (განსაკუთრებით ეს ეხება ზნაურისა და ლე-  
ნინგორის რაიონს), მაგრამ თუ ახლად გაშენებულ ვენახე-  
ბში ნიადაგის დამუშავების აგრძოტექნიკური დონე სათანადო  
სიმაღლეზე არ დავაყენეთ უნდა ვიცოდეთ, რომ იქ ვენახები  
ვერ იარსებებენ და ყოველგვარი შრომა უშედეგო იქნება.

ზნაურის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში (ნულა,  
ველები, ძვილეთი) ნიადაგის უხარისხოდ დამუშავების შე-  
დეგად ჭანგით, შალათითა და სხვა სარეველა ბალახებით ვე-  
ნახები იმდენად დასარეველიანდნენ, რომ მათი ერთბაშად  
მოსპობა შეუძლებელი გახდა, რაც დამლუპველად მოქმე-  
დობს ვაზის ნარგავებზე. მდგომარეობის გამოსწორების მიზ-  
ნით ამ კოლმეურნეობებმა ნიადაგის დამუშავების დროს  
სისტემატურად, გულდასმით უნდა შეაგრძოვონ სარეველე-  
ბის ფესურები და დასწავან.



იმისათვის, რომ მაქსიმალურად გავაღიდოთ ყურძნის მაკავეული საკუთრივი შესაბამისობა, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ვენახის მორწყვის. ამ ღონისძიებების გატარება სამხრეთ ოსეტის რელიეფური პირობების თავისებურების გამო მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება. ამ კოლმეურნეობებმა, რომლებსაც ვენახის მორწყვის საშუალებანი გააჩნიათ, ისე უნდა მოაწყონ რწყვის ორგანიზაცია, რომ იგი საკეთით შეეფარდებოდეს ნალექებისა და სითბოს რაოდენობას.

ვანათის, კეხვისა და ტირიფონის არხების აშენებამ დიდად გაზარდა ვენახების რწყვის შესაძლებლობანი. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ძალინისა და ძარწემის სარწყავი სისტემის მშენებლობანი, რომელთა განხორციელებაც უახლოეს წლებშია გათვალისწინებული, ამით 2001 ჰექტარამდე გაფართოვდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვის შესაძლებლობანი და მათ შორის ვენახისაც.

დიდ მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს სამხრეთ ოსეთში სარწყავი სისტემის მშენებლობა, რაც ადგილობრივ მცხოვრებთა საუკუნებრივ ოცნებას წარმოადგენდა. მისი განხორციელება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი.

უხსოვარი დროიდან შეტწილად უსარგებლო მდინარეებია ახლა უკვე უხვად აწვდიან სარწყავ წყალს საკოლმეურნეო მინდვრებს.

ახალი სარწყავი ფართობების ათვისებით დაბალი ზონის კოლმეურნეობების უმეტესობამ მოქლე ხნის განმავლობაში შეკვეთრად გააღიდა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მათ შორის, ვენახების მოსავლიანობაც.

მიუხედავად ამისა უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ რიგ შემთხვევაში კოლმეურნეობები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ დაეუფლნენ ახლად ათვისებული მიწების რწყვის ტექნიკას, ზოგიერთი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ არ აღევნს სარწყავი წყლით სარგებლობის გეგმებს, რწყვაზე ხშირ შემ-



თხვევაში იყენებს ამ საქმის უცოდინარ კოლმეურნეობებს ამის გამო ირლვევა მორწყვის წესები, და რაც ყველაზე მცირებული ურადღებოა, ადგილი აქვს ნიადაგის გადარეცხვისა და ჩახრამვის არც ისე მცირე შემთხვევებს.

სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციებისა და საოლქო წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოსაგან რწყვის საქმის მოწესრიგებაში სერიოზული დახმარება დასჭირდებათ კოლმეურნეობებს. ფართოდ უნდა დაინერგოს ვენახების გვიან შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე რწყვაც. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს ხევებში მიმღინარე წყლის ნაკადულები, რომლებიც მეტწილად შემოდგომა ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდში მოქმედებენ.

\* \* \*

როცა ლაპარაკია ოლქის მევენახეობის პერსპექტივებზე, არ შეიძლება მკითხველის ყურადღება არ შევაჩეროთ საძირე ვაზის სადედეების, ნამყენი ვაზის წარმოებაში არსებული მდგომარეობისა და მათი შემდგომი გაფართოვების ღონისძიებებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფილოქსერის გამანადგურებელი მოქმედებისაგან რომ ვენახები ყოველთვის დაცული იქნეს, მომავალშიც მისი ფართობების შემდგომი ზრდისათვის უნდა გამოვიყენოთ ნამყენი ვაზი.

ცნობილია, რომ მევენახეობის რაიონებში სანამყნე მასალად იყენებენ სასურველ დარაიონებულ ჯიშებს და მას ამყნობენ ფილოქსერა გამძლე ვაზის საძირეზე, ამიტომ ნამყენი ვაზის წარმოება რომ საძირე მასალით იქნეს უზრუნველყოფილი პირველ რიგში უნდა ტიზრუნოთ ფილოქსერა გამძლე ვაზის სადედეების გაშენებაზე.

ამჟამად, ოლქის კოლმეურნეობებში არსებული საძირე ვაზის სადედეების უმნიშვნელო ფართობი (5,5 ჰექტ.) ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რის გამოც ყო-



ველწლიურად, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან კუთხით გამოიყენება მიროვნების ხდება ლერწის შესყიდვა და შემოზიდვა. ამისაზეც მევენახეობის კოლმეურნეობები რამოდენიმე ასეულ ათას მანეთს ხარჯავენ. ამგვარი დანახარჯებიდან რომ კოლმეურნეობები ვიხსნათ, საჭიროა საძირე ვაზის სადედეების არსებული ფართობები გავზარდოთ არანაკლებ ხუთჯერ.

საძირე ვაზის სადედეების გასაშენებლად ოლქში რეკომენდებულია ბერლანდიერის სხვადასხვა პიბრიდები: ბერლანდიერი X რიპარია №5-ბ, ბერლანდიერი X რიპარია №420 „ა“ და სხვა. ძირითადად ოლქის პირობებში მიზანშეწონილად ითვლება სადედეების გაშენება ამ ორი ჯიშით და ისიც ვენახებიდან საქმაოდ დაცილებით, ვინაიდან მათ ფოთლებზე ხშირად ფილოქსერა ბინადრობს და მსხმოიარე ვენახებზედაც ადვილად გადაღის.

ოლქის კოლმეურნეობების შვიდწლიანი გეგმით ახალი ვენახები უნდა გაშენდეს 760 ჰექტარზე, გარდა ამისა კოლმეურნეები და სოფლად მომუშავე მუშა-მოსამსახურეები ვაზის სარგავ მასალაზე დიდ მოთხოვნილებებს აყენებენ. ამიტომ სამხრეთ ოსეთში ყოველწლიურად ნახევარ მილიონამდე ცალი ნამყენია საჭირო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ პერიოდში სახელმწიფო სანერგეებიდან მიღებული სარგავი მასალა ძირითადად საბჭოთა მეურნეობებში ვენახების გასაშენებლადაა განკუთვნილი, საჭირო ხდება ადგილობრივი მოთხოვნილებებისათვის ნამყენი ვაზის წარმოების შემდგომ განვითარებას ხელი მოვკიდოთ ოლქის დაბალი ზონის კოლმეურნეობებში.

ვაზის მყნობა პირველად სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა დაახლოვებით 25 წლის წინათ დაიწყეს და ამ საქმეს ცუდად არ დაეუფლენა სტალინირის რაიონში სოფ. თამარაშენის, აჩაბეთის, კეხვის, ძარწემის, ხეითის, არგვიცის, ერედვისა და ქსუისის მაცხოვრებლები, ლენინგრადის რაიონში სოფ. ლენინგრადის, იკოთის, ქურთის, წირქოლის, ყანჩავე-



თის, ბოლის, ახალდაბისა და ახმაგის, ზნაურის ორენტირებულ  
სოფ. ავნევის, თიღვის, ნულისა და არკნეთის კოლმეუზელმურა  
ბები.

ჩვენი კოლმეურნეობები სანერგეში ნამყენის გახარების  
განსაკუთრებით მაღალ პროცენტებს—აღწევდნენ ომის წინა  
წლებში. მის შემდეგაც იმდენად გაიზარდა გორული მწვა-  
ნით, ჩინურითა და სხვა ჭიშებით დამყნობილი ვაზის სარგა-  
ვი მასალის წარმოება, რომ ოლქიდან გატანილი ნამყენით  
დიდ ფართობებზე შენდებოდა ვენახები მეზობელი რაიონე-  
ბის კოლმეურნეობებშიც. 1939—1940 წლებში მარტო ახალ-  
ციხის რაიონის კოლმეურნეობებისათვის ოლქის კოლმეურ-  
ნეობებიდან შესყიდული იქნა 62000 ცალი პირველი ხარის-  
ხეს ვაზის ნამყენი.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ჩვენში მევენახეო-  
ბის შემდგომ განვითარებას საგრძნობლად შეუშალა ხელი  
საკუთარი პურით რესპუბლიკის უზრუნველყოფის არასწო-  
რად წამოყენებულმა პრობლემამ. ამ წლებში არა მარტო  
შეწყდა ახალი ვენახების გაშენება, პირიქით ხორბლის კულ-  
ტურის გაფართოვების მიზნით ზოგიერთ კოლმეურნეობაშია  
არსებული ვენახების გაჩეხვასაც კი მიყვეს ხელი.

მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის კვლავ გა-  
ჩაღდა მუშაობა სკკ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის  
სექტემბრის პლენურის შემდეგ. კოლმეურნეობების დიდი ნა-  
წილი ისევ შეუდგა სანერგეების მოწყობას და ახალი ვენა-  
ხების გაშენებას. თუ წლების განმავლობაში ვენახების გაშე-  
ნება თითქმის სრულიად შეწყდა, უკანასკნელი სამი წლის  
განმავლობაში (1957, 1958, 1959 წ. წ.) მიუხედავად სარ-  
გავი მასალის მკვეთრი ნაკლებობისა 300-მდე ჰექტარი ვი-  
ნახი მაინც გაშენდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნამყენი ვაზის ნაკლებობის  
გამო ვენახები უკანასკნელ წლებში ნაწილობრივ საკუთარ

ძირზე შენდებოდა, რის განმეორებაც დაუშეებლად მიერჩინით.

ცნობილია, რომ ვაზის მყნობა მეტად რთულ სამუშაოს წარმოადგენს. თუ მყნობის ყველა სამუშაოები თავის ღროჟე და ხარისხოვნად არ შესრულდა გახარების პროცენტი ხშირ შემთხვევაში ძალზე დაბალია. ნამყენის გახარებაზე მოქმედებს არა მარტო საძირისა და ნამყენის ურთიერთმოქმედების შინაგანი ფაქტორები, არამედ სხვა მრავალი გარეგანი პირობაც; ასეთებია მაგალითად ნამყენის ჭრილობის სიგრძე, საძირებზე კვირტის სათანადო შეტევა, სამუშაოთა სიზუსტე, შესრულების ვადების დაცვა და სხვა. რომელიმე მათგანის არაზუსტი შესრულებით ნამყენს შეიძლება დიდი ზიანი მივაყენოთ. ასე ხდება უკანასკნელ წლებში, მაგალითად სტალინირის სახელმწიფო ხეხილსანერგებში, საღაც ნამყენის გახარების მხოლოდ 20—22%-ს აღწევენ.

საქმე იმაშია, რომ როდესაც მყნობა და სანერგის მოვლა-დამუშავება გაპიროვნებულია ამ საქმის მცოდნე კვალიფიციურ პირებზე, ნამყენის გახარების პროცენტი საგრძნობლად მატულობს. სწორედ ამ საშუალებას მიმართავენ სოფ. ძარწემისა და ერედვის კოლმეურნეობებში და ისინი ხშირად გახარების 60—65%-საც აღწევენ.

ზემონათქვამიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც ვაზის ნამყენის გამოყვანას აწარმოებენ, მყნობის ყველა ოპერაცია და სანერგის მოვლა-დამუშავება მინდობილი უნდა პქონდეს ერთ-ერთ რგოლს. ამ დარგში გამოცდილი პირის მეთაურობით.

საჭიროა, რომ სადედის მოვლა-დამუშავებაც ამავე რგოლს დაევალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა პირები მისი დამუშავებით ნაკლებად დაინტერესდებიან და გამოსავლიანობაც ყოველთვის მცირე იქნება.

რგოლში მომუშავე თვითოულ პირზე შეგვიძლია გავაპიროვნოთ 15-დან 20 ათასამდე ცალი ვაზის დამყნობა და



სანერგეში მისი შემდგომი მოვლა-დამუშავება. ასე იმავე შემდგომი გა მაგალითად წლების განმავლობაში შ. ნასუაშვილის რგოლმა სოფ. თამარაშენში, შ. მეტრეველის რგოლმა სოფ. ძარწემის კოლმეურეობაში, გ. ტარიელაშვილის რგოლმა სოფ. ერდვის კოლმეურნეობაში და წლის ბოლოს კარგი შედეგებიც მიიღეს.

კარგია, როდესაც მყნობაზე გაპიროვნებული რგოლი ვა-ზის დარგვასა და შემდგომ მოვლა-პატრონობას თვითონ იწარმოებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე სამუ-შაო დაჩქარებით შესრულებას მოითხოვს დასაშვებია სხვა რომელიმე ბრიგადის ერთ-ერთი რგოლის დახმარებაც.

სამხრეთ ოსეთის რაიონებში მყნობის დაწყება კარგ შე-დეგს იძლევა 15-დან 25 მარტამდე. კოლმეურნეობებში ამ სამუშაოს მოწყობა ჩვეულებრივ ნათელ ოთახშიც შეიძლება, მყნობის დამთავრების შემდეგ ნამყენი შეგვიძლია გამოვიყვა-ნოთ როგორც უსათბუროთ, ასევე სათბურითაც.

სათბურით ნამყენის გამოყვანის უსათბუროსთან შეღარე-ბით შეტი უპირატესობა ეძლევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში გახარების პროცენტი საგრძნობლად მატულობს. ჩვენს კოლ-მეურნეობებს ნამყენი შეტწილად სათბურით გამოკყავთ და სათბურებათ დათბუნებულ სხვადასხვა დანიშნულების შე-ნობებსაც მოხერხებულად იყენებენ. (თუმცა უკეთესია ტი-პიური სათბურების აშენება თუ კი ამის შესაძლებლობანი გვექნება) სათბურად გამოყოფილ შენობას დროებით მოწ-ყობილი ღუმელით ათბობენ იმ ვარაუდით, რომ დღე და ღა-მის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა  $25-26^{\circ}$  აღწევდება. სათბურიდან ნამყენი 15—17 დღის შემდეგ გადააჭვთ უფრუ გრილ და სრულიად ნათელ ოთახში, ეგრეთწოდებულ საკაუ განყოფილებაში. აქ იგი 1 ან 2 დღეს რჩება, რის შემდეგაც პირდაპირ სანერგეში გაიზიდება დასარგავად.

უსათბუროთ გამოსაყვანი ნამყენი დამყნობისთანავე იმა-ვე დღეს ირგვება. დამყნობისას საძირისა და სანამყენს შეე-



როგორც ადგილზე 5—6 ზოლად რაფიას ან ძავს ახვევებულია მართვა

სანერგედ გამოყოფილ, წინასწარ დამუშავებულ და განიყიერებულ ნაკვეთში ნამყენებს სარგავი პალოების დახმარებით მწკრივში ათ-ათი სანტიმეტრის დაშორებით რგვევ. ნამყენებს, რგვევს ისე რომ მყნობის ადგილი ნიადაგის ზედაპირიდან 2—3 სანტიმეტრის მაღლა რჩება. მწკრივებს, რომელთა შორისაც 70—75 სანტიმეტრი მანძილი რჩება ზევიდან კოკოლების სახით 5—6 სანტიმეტრის სიმაღლით გაფხვერებული მიწა ეყრდნობა. კოკოლები სიგანით დაახლოებით 26—30 სანტიმეტრს უნდა იკავებდეს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ნამყენის გახარების დაბალ პროცენტის მთავარი მიზეზი, ის არის, რომ სანერგე წესიერად არ მუშავდება.

საჭიროა, რომ ყოველი წევის შემდეგ კოკოლები სათანადო სიფრთხილის დაცვის ხელით ფხვიერდებოდეს; მწკრივთაშორისები ყოველ 2 კვირაში ერთხელ თოხით უნდა დამუშავდეს, რათა სანერგე თუ სარწყავ ნაკვეთზეა / მოწყობილი, რამოდენიმეჯერ მოირწყოს, შეშრობისთანავე გაითოხენოს და კოკოლები გაფხვიერდეს.

ჩვენი საკოლმეურნეო სანერგების მუშაობის ძირითად ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მთელი ვეგეტაციის პერიოდში ნამყენი ბორდოს 1% ხსნარით მხოლოდ 2 ან 3-ჯერ იწამლება, რაც რა თქმა უნდა, არასაკმარისია. ეს სამუშაოების მიხედვით დაახლოვებით კვირაში ერთხელ შეინც უნდა ტარდებოდეს. სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე ივნისისა და ოქტომბრის თვეებში საძირიდან ამონაყარი ყლორტებისა და სანამყნედან გამოლებული ფესვების შეჭრას. რაზედაც ზოგიერთ კოლმეურნეობაში ნაკლებად ზრუნავენ.

\* \* \*

ისევე როგორც საერთოდ, ოლქის იმ კოლმეურნეობაშიც, სადაც ვენახების გაშენება იგეგმება, აუცილებლად გათვალისწინებული გადასახლება მომდევნობის მიზანით გამოიყენება.



ლისწინებული უნდა იქნეს სასუქის არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობანი. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ვაზი, რომელიც ერთდაიგივე ნაკვეთზე რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში საზრდოობს პერიოდულად სასუქის შეტანის გარეშე, ზრდა განვითარებისა და მოსავლის მოცემის უნარს თანდათან კარგავს, ბოლოს კი დაღუპვის პირამდე მიღის.

ცნობილია, რომ ვაზი მრავალი სხვადასხვა საკვები ელემენტებით საზრდოობს, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებენ ვაზის კვებაში და ერთმანეთს ვერ სცვლიან. ძირითადად იგი საზრდოობს აზოტით, ფოსფორით, კალიუმით, კალიუმით, მაგნიუმით, რკინით, გოგირდით და სხვა. იქედან მთავარ როლს აზოტი, ფოსფორი და კალიუმი ასრულებენ.

მევენახეობის დარგში მომუშავე კოლმეურნეობები, რომ კოველთვის მიზანშეწონილად იყენებდნენ სხვადასხვა სახის სასუქებს, საჭიროა საქმაოდ ერკვეოდნენ ვაზის მთავარი საკვები ელემენტების დანიშნულებაში.

ამ კულტურის ერთ-ერთ მთავარ და აუცილებელ საკვებ ელემენტს აზოტი წარმოადგენს, რომელიც საქმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ფოთლებში და მოზარდ ნაწილებში. აზოტით მდიდარ ნიადაგებში ვაზის ფოთოლი ინტენსიურად შეფერილი მწვანე ფერისაა და მისი საშუალებით მცენარე უფრო კარგად ითვისებს და გადაამუშავებს ნიადაგიდან მიღებულ საკვებ ნივთიერებას. კარგად ვითარდება ამ შემთხვევაში ნაყოფიც და იგი მუდამ ჩინებულად არის შეფერილი. აზოტის სიმცირის შემთხვევაში კი პირიქით, ფოთლები უფრო სუსტად ვითარდებიან და საგრძნობლად მომწვანო მოყვითალო ფერში გადადიან.

მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ იმ ნიადაგებში, სადაც აზოტი საჭირო რაოდენობაზე მეტი მოიპოვება, ვაზის სავეგეტაციო პერიოდი შესამჩნევად გრძელდება, რაც

აფერხებს ერთშემოანი რქის მომწიფებას და ამცირებს ვაჟაპეტრიანული გამძლეობას ყინვისაღმი.

სანაყოფე კვირტების ჩასახვისა და ყურძენში შაქრის და-  
გროვებისათვის ვაზის აუცილებელი საკვები ელემენტი ფოს-  
ფორია. იგი დიდ გავლენას ახდენს მოსახლიანობაზე და მის  
ხარისხზე. ფოსფორით მდიდარ ნიადაგებში მიღებული ლვი-  
ნოები მეტად ექსტრაქტიანი და ნაზი ბუკეტიანი არიან.

ვაზის კვებისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კა-  
ლიუმს, რომელიც ხელს უწყობს მკვრივი მერქნის შექმნას და  
ამით მის გამძლეობას ყინვისაღმი. იგი ხელსაყრელ პირობებს  
ჰქმნის, აგრეთვე, ყურძენში შაქრის დასაგროვებლად.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ვაზის კვებისათვის  
ბევრი კიდევ სხვა ელემენტია საჭირო, მაგრამ სასუქების სა-  
ხით იშვიათად შეგვაქვს ისინი ნიადაგში, რადგან მეტწილად  
ნიადაგი მათ საქმაო რაოდენობით შეიცავს.

მთავარი საკვები ელემენტების შეტანა ნიადაგში შეიძ-  
ლება როგორც ორგანულ, ასევე მინერალური სასუქების  
სახით.

ორგანული სასუქი, ნაკელის სახით, ჩვენი ოლქის თით-  
ქმის ყველა კოლმეურნეობაში ყოველწლიურად საკმაოდ  
დიდი რაოდენობით გროვდება, რაც მნიშვნელოვანი ოდენო-  
ბით შეგვიძლია შევიტანოთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურ-  
ნეო კულტურების ქვეშ და მათ შორის, ვენახებშიც.

მიუხედავად ამისა, ოლქის უმრავლეს კოლმეურნეობაში  
ნაკელის დამზადება და შენახვა მოწესრიგებული არ არის.  
მინდვრად და ბალ-ვენახებში მისი მხოლოდ ნაწილის გაზიდ-  
ვა ხდება და ხშირად ისიც ისეთი სახით, რომელსაც თავისი  
კვებითი ლირებულების დიდი ნაწილი უკვე დაკარგული  
აქვს.

ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ პირუტყვის სადგომ  
ბინებთან კოლმეურნეობებს ნაკელსაცავები არ გააჩნიათ. სა-  
დგომი ბინებიდან გამოტანილი ნაკელი წლიდან-წლამდე უწევ-



სრიგოდ არის გაბნეული მის გარშემო და თუ მინდვრებული  
ბალ-ვენახებში გააქვთ, იქაც ვიდრე ჩაიხვენებოდეს იშტრებული  
და უვარებისი ხდება.

ნაკელი რომ წესიერად ინახებოდეს და დაცული იქნებ  
ჩარეცხვისა და მზის სხივების მოქმედებით გამოწვეული ვა-  
მოფიტვისაგან, მისი დაგროვება უნდა ხდებოდეს პირუტ-  
ყვის სადგომებიდან დაახლოებით 50 მეტრამდე მანძილით და  
მოსახლეობიდან 200 მეტრამდე დაცილებით კეთილმოწყო-  
ბილ ნაკელ-საცავებში. ამ შემთხვევაში ნაკელში არსებული  
საკვები ელემენტები თითქმის მთლიანად ინახება და ჩვენი  
პირობებისათვის თითოეულ ჰექტარ ვენახში სრულიად საკ-  
მარისია მისი 50-დან 60 ტონამდე შეტანა 3—4 წელიწადში  
ერთხელ.

ოლქის კოლმეურნეობების ფერმებთან ნაკელსაცავების  
მოწყობა მეტად საჭირო ღონისძიებაა და ყველა საშუალება  
უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ თვითეულმა კოლმეურნეო-  
ბამ უახლოეს ხანში აუცილებლად იქონიოს ცოტად თუ ბევ-  
რად კეთილმოწყობილი ნაკელსაცავი. ნაკელსაცავიდან, როცა  
ნაკელი მინდვრად ან ბალ-ვენახში მიიჩიდება, იგი შტაბე-  
ლებად უნდა დაიყაროს და ორივე მხრიდან მიიტკეპნოს. ამ  
მდგრმარეობაში იგი დაიტოვება ვიდრე მის ჩახვნას ან ჩა-  
ბარვას არ დავაპირებთ, ამ ღონისძიებების გატარებით კოლ-  
მეურნეობებს საშუალება მიეცემათ ერთიორად გაზარდონ  
ნაკელის შეტანის ეფექტიანობა, მიაღწიონ ვენახის ნიადაგის  
ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებას და ყურძნის მოსავ-  
ლიანობის მკვეთრად გადიდებას.

ჩვენს კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ გამოუყენებელია  
პირუტყვის სადგომი ბინებიდან გამონადენი თხევადი მასა-  
წუნწუხი, რომლის შემადგენლობაც დამოკიდებულია მისი  
მიღებისა და შენახვის პირობებშე. ბოსლებიდან გამოსული  
წუნწუხი მეტ შემთხვევაში იქვე მიწაში იყონება და, მიუხე-



დავად უძვირფასესი კვებითი თვისებებისა უსარგებლობა უსამარტინო უსამარტინო იქარება.

ნიადაგის გაპონეირებისათვის წუნწუხის გამოყენების მიზნით პირუტყვის სადგომ ბინებთან უნდა მოვაწყოთ ცემენტით გალესილი საწუნწუხე ორმოები, რომლებიც თავისა მოცულობით უნდა იტევდეს ორი თვის განმავლობაში მიღებულ წუნწუხს. მისი სილრმე 2 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს და ჰქონდეს კარგად მორგებული სახურავი.

ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ თვითეული სულა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იძლევა 2—2,5 კუბ. მეტრ წუნწუხს რაც 10 კილოგრამ კალიუმსა და 5 კილოგრამ აზოტს უდრის.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული წუნწუხის შეტანა ვენახში გაზაფხულზე ან დამატებით კვების სახით ზაფხულის განმავლობაში 3-ჯერ, პირველად 15—20 დღით ადრე ყვავილობამდე, მეორედ ყვავილობის დასასრულს და მესამედ — ყურძნის სიმწიფის დაწყებამდე.

ორგანული სასუქებიდან ვენახის გასაპონეირებლად ფართოდ უნდა შემოვილოთ აგრეთვე კომპოსტის შეტანა, რაც წარმოადგენს ყოველგვარი ნარჩენების მიწასთან შენარევს. იგი თვეების განმავლობაში გროვებად დაყრილი იხრწება და შეიცავს იმ საკვებს, რომელიც მის შემცველ მასალაში იყო. ამგვარად მომზადებული კომპოსტის გამოყენება საუკეთესო საშუალებაა მეურნეობაში არსებული სასუქების დანაკლისის შესავსებად.

უკეთს შედეგს იძლევა აკადემიკოს ლისენკოს მიერ შემუშავებული მეთოდით მომზადებული ნაკელ-მიწიანი კომპოსტი, რაც შემდეგნაირად მზადდება:

გამოყოფენ კარგი ხარისხისა და დაკორდებული მიწის გარკვეულ ფართობს, რომელსაც მოხნავენ 13—15 სანტი-მეტრის სილრმეზე, ყოველ 1000 კვ. მეტრზე შეაჭვთ 40 ტონამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ახალი ნაკელი, მას-ვე უმატებენ 3—4 ტონა სუფერფოსფატს და ხნავენ ხელმე-



ორედ 2—3 სანტიმეტრით მეტი სილრმით. ამის შემდგავაულა  
ველი ერთი კვირის შემდეგ აწარმოებენ კულტივაციას და  
გამოშრობის შემთხვევაში რწყავენ სუფერფოსფატში შეზა-  
ვებული წუნწუხით. დაახლოვებით 40 ღლის შემდეგ კომ-  
პოსტი უკვე მზად არის და შეიძლება მისი შეტანა ენახის რიგ-  
შორისებში. ამგვარად შემზადებული კომპოსტის შეტანაზ  
ყურძნის მოსავალი 30—40%-ით იზრდება.

ყურძნის უხვი და მყარი მოსავლის მიღების მიზნით ოლ-  
ქის კოლმეურნეობებმა ხელი უნდა მოკიდონ ვენახებში ზა-  
ნერალური სასუქების შეტანასაც. ვენახისათვის საჭიროა  
აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის არსებული ყველა სახის  
სასუქი.

აზოტოვანი სასუქებიდან უმჯობესია მევენახეობაში გა-  
მოვიყენოთ ნატრიუმის და ამონიუმის გვარჩილები, აგრეთვე  
გოგირდმჟავა ამონიუმის (განსაკუთრებით ძირითადი შეტა-  
ნისას), ფოსფორივანი სასუქებიდან სუპერფოსფატი და პრე-  
ციპიტატი, კალიუმის სასუქებიდან კალიუმის მარილი, სილ-  
ვინიტი და ნაცარი. ეს უკანასკნელი ისევე როგორც ყველა  
სხვა სახის სასუქი, მშრალ ადგილას უნდა ინახებოდეს. ნა-  
ცარი როგორც სასუქი, ისევე როგორც სხვა მცენარეებისათვის  
ვაზისთვისაც დიდად გამოსადევია.

არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა ქარხნები-  
დან შემოზიდულ სასუქს ყოველთვის თან არ ახლავს პრო-  
ცენტული შემადგენლობისა და სხვა თვისებების მაჩვენებე-  
ლი ეთიკეტი. ასეთ შემთხვევაში მისი ნიმუშები უნდა გაი-  
სინჯოს ადგილობრივ აგროქიმიურ ლაბორატორიაში.

თუ გამოცდილება გვაქვს, სასუქების გამოცნობა და მისი  
თვისებების გაგება ლაბორატორიის გარეშეც შეიძლება. ასე  
მაგალითად, უნდა გვახსოვდეს, რომ ნატრიუმის გვარჩილი  
ხშირად ტენიანი, კრისტალური გამჭვირვალე მსხვილმარკ-  
ვლოვანი, თეთრი ან მუქი ყვითელი ფერისაა, წყალში კარ-



გად იხსნება და ცეცხლზე ადვილად ფეთქდება. კალციუმის გადამდებარების გვარჯილის თეთრი ფერისაა, შედგება ცალკეული გორონება—საგან, წყალში კარგად იხსნება, ცეცხლთან დნება და სტო-ვებს კირის თეთრ ფიფქს. მონიუმის გვარჯილი უმთავრესად გვხვდება მსხვილი კრისტალური თეთრი ფხვნილის სახით. ოდნავ ყვითელი შეფერვით. წყალში კარგად იხსნება და წვის დროს მკვეთრი თეთრი ფერის აღს იძლევა. სუფერ-ფოსფატი სხვადასხვა სიმსხოს მარცვლოვანი რბილი ფხვნა-ლია, გვხვდება სხვადასხვა ფერისა, თეთრიდან ლია ნაცრის ფერამდე, ხასიათდება მეავე სუნით. წყალში იხსნება და ცე-ცხლზე თითქმის არ იცვლება, იძლევა რეზინის სუნს. სილ-ვინიტი მარცვლოვანი მოვარდისფრო, მურაფერისაა, მისი ცალკეული კრისტალები შეფერადებულია წითლად. ცეცხლ-ში კრისტალები სკდება.

ასევე მკვეთრი განმასხვავებელი ჩიშნები ახასიათებს სხვა დანარჩენი სახის სასუქებსაც. თუმცა ზოგიერთ შემთხვე-ვებში, მათი შეფერვა, სტრუქტურა და სხვა თვისებები ნა-წილობრივად იცვლება შენახვის პირობების შესაბამისად.

ვაზის კულტურის ქვეშ მინერალური სასუქების გამოყე-ნების კარგი პრაქტიკა გააჩნიათ სოფ. წირქოლის, ყანჩავე-თის, იკოთის, თამარაშინის, ერთეულისა და არვიცის მშრომე-ლებს, რომლებსაც ამ საშუალებით ყურძნის მოსავალი გარ-კვეული ფართობების თვითეულ ჰექტარიდან 120—130 ცენტ-ნერამდე არა ერთხელ გაუდიდებიათ. კოლმეურნეობებში კარგი შედეგები მოგვცა მსხმოიარე ვენახების ურწყავ ნაკ-ვეთებში ჰექტარზე 100—130 კგ. აზოტის, 60-დან 100 კგ. ფოსფორისა და 60-დან 100 კგ. კალიუმის შეტანამ, სარწყავ ნაკვეთებში, როგორც ეს დაკვირვებამ დაგვანახვა, მათი ნორ-მების 10—15 %-ით გადიდებაც საკმაო ეფექტს იძლევა. მო-სავლის მნიშვნელოვნად გადიდების ეს ლონისძიება ჩვენი კოლმეურნეობებისათვის არც თუ ისე ძნელი ხელმისაწვდო-მია და საჭიროა მისი ფართოდ დანერგვა.

ისევე, როგორც საქართველოს მევენახეობის ყველა რაიონში, ოლქის საქოლმეურნეო ვენახებს მავნებლები და სოკოვანი დაავადებანი იმდენად საგრძნობ ზიანს აენებენ, რომ მევენახებს მათთან საბრძოლველად სერიოზული ლონისძიებების გატარება სჭირდებათ.

ფილოქსერა, ვაზის აბლაბუდის მქეობელი ტკიბა, ამიერკავკასიის მარმარილოს ლრაჭა, ჭრაჭი (მილდიუმი) და ნაცარი (ოიდიუმი) დღემდე ითვლებიან ყველაზე საშიშ მავნებელ-ავადმყოფობებად, რომლებსაც დიდი ზიანის შოტანა შეუძლიათ. ფესვის ფილოქსერა ოლქის ტერიტორიაზე 1893 წელს ცხინვალის მიღამოებში იქნა აღმოჩენილი და, როგორც ზეცით იყო აღნიშნული, სწრაფად იწყო გავრცელება ყველა რაიონში.

თავის დროზე, სათანადო ზომების მიუღებლობის გამო, ფილოქსერამ მუსრი გაავლო მაშინდელ მევენახეობას და ჩვენს ვენახებში იმდენად დამკვიდრდა, რომ ამჟამად აჩსებული ვენახების თითქმის ყველა ფართობებში გვხვდება. ფესვის ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე რაღიალური საშუალება არის ადგილობრივი, ჩვენთვის მისაღები ჯიშების დამყნობა სპეციალურად შერჩეულ ფილოქსერა გამდლე ვაზის საძირებე. საძირე ვაზეს სადედების გაფართოვების დროს უნდა გვახსოვდეს ფოთლის ფილოქსერისაგან მათი დაზიანების დიდი შესაძლებლობა.

სადედები, რომ ფოთლის ფილოქსერის დაზიანებისაგან დავიცვათ საჭიროა შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე ვაზებს თავზე შემოვაყაროთ მიწა 12—15 სმ სიმაღლით კონუსების სახით. ამ ლონისძიებით ყლორტების განვითარებას ვაგვიანებთ. ფოთლის ფილოქსერის გამოჩეკის პერიოდში ფოთლები ჯერ კიდევ განუვითარებელია, მავნებელ მწერს არ გააჩნია რა საკვები განვითარებული ფოთლების სახით.



შუსტლება, და იღუპება. ამ ლონისძიებას ჩვენი კოლმეურნეობით მიზურნებული იმისა, რომ 1940 წლამდე სტალინის, ლენინგრადისა და ზნაურის რაიონების კოლმეურნეობებში გაშენებული სადედებების უმეტესობა დაიღუპა. მომავალში სადედებებისადმი ასეთი უდარცელი დამოკიდებულება აღარ უნდა განმეორდეს.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ვენახებში შესამჩნევად გავრცელდა ვაზის აბლაბუდის მკეთებელი ტკიპა. ამ ხუთი წლის წინათ იგი მასიურად აღმოჩნდა სოფელ თამარაშენში, აჩაბეთსა და ხეითში. შემდეგ იგი სხვა კოლმეურნეობებშიც გავრცელდა. ტკიპა იმდენად სწრაფად მრავლდება, რომ წელიწადში 9 თაობას იძლევა და აზიანებს ვაზის ახალ გამოსულ ნაზ ყლორტებსა და ფოთლებს. შემდეგში კი მარტო ფოთლებს. მის წინააღმდეგ გამოყენებულია ბრძოლის მექანიკური და ქიმიური მეთოდები. ბრძოლის მექანიკურ საშუალებას წარმოადგენს ტკიპით დასახლებული ვაზის შტამბების გაფეხყა-გასუფთავება, ჩამონაფეხყის გარეთ გატანა და დაწვა, რადგან ტკიპა ვეგეტაციის პირველ პერიოდში ვაზის პირველ სამ ფოთოლზე სახლდება, საიდანაც მასიურად ვრცელდება, საჭიროა მათი მოცილება გამოჩენისთანავე. ფოთლები უნდა შეგროვდეს ვეღროებში, გატანილი იქნას ვენახიდან და დაიწვას.

ამ მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად კვირტების დაბერვამდე კარგ შედეგს იძლევა 3 პროცენტიანი ნავთობის ზეთის ემულსია-კონცენტრატით ვაზის მთლიანად გაბანვა. ვეგეტაციის პერიოდში რეკომენდირებულია ვაზის შესხურება-გაბანვა ფიოფოსის კონცენტრატით ორჯერ. შემდეგ ვადებში: პირველი წამლობა ყლორტებზე პირველი სამი ფოთლის შემჩნევიდან 5 დღის შემდეგ; მეორე წამლობა პირველი შესხურებიდან 7 დღის შემდეგ; წამლობისთვის მზადდება 0,15 პროცენტიანი ემულსია, რისთვისაც ყოველ ლიტრ



წყალზე აიღება 1,5 გრამი კონცენტრატი. ეს პრეპარატის ჩვენს პირობებში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული, სადაც კი ტკიპებია გავრცელებული.

ვენახებში ცალკეული ვაზების სერიოზულ დაზიანებას იწვევს აგრეთვე მარმარილოს ლრაჭა.

ხშირად მნახველთა გაკვირვებას იწვევს ის, რომ სრულიად ნორმალურად განვითარებული მსხმოიარე ან ახალგაზრდა ვაზი რამდენიმე დღის განმავლობაში სუსტდება, ფოთლები დაუჭინება და ხმება.

გარეგნული შეხედულებით ვაზი თითქოს ძლიერი და სალი იყო, მაგრამ რატომღაც უეცრად დაიღუპა, როდესაც ასეთ ვაზს ფესვიანად მიწიდან ფრთხილად ამოვთხრით, დავინახვათ, რომ ვაზი მარმარილოს ლრაჭას მატლისაგან დაზიანების გამო გამხმარა. მავნებელი ნიადაგში წლების განმავლობაში მატლის სტადიაში ცხოვრობს და დიდი რაოდენობით აზიანებს, როგორც მსხმოიარე ვაზებს, ასევე სანერგეში დარგულ ნამყენ ვაზებაც.

მარმარილოს ლრაჭას წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ნიადაგის დამუშავებისას მისი ხელით შეგროვებითა და დაწვით. ბრძოლა შეიძლება აგრეთვე ქიმიური შხამებითაც (ჰექსაქლორანი, დუსტი).

არის შემთხვევები, როდესაც სანერგებს საგრძნობზიანს აყენებს აგრეთვე ბოსტანა ანუ მახრა, ჩვენს კოლმეურნეობებში იგი ბოსტანას სახელწოდებით არის ცნობილ და ძირითადად ფხვიერ, ღრმა, ნოკიერ და თანაც თბილ და ოდნავ ნესტიან ნიადაგებში ბინადრობს.

ზნაურის რაიონის სოფ. ავნევის, სტალინირის რაიონის სოფ. კეხვის კოლმეურნეობებში ბოსტანას წინააღმდეგ საბრძოლველ ღონისძიებებს შორის ბაზოებისა და კოკოლების ქვეშ მიწაში ჰექსაქლორანის, ფხვნილის შეტანამ კარგი შედეგი მოგვცა. ამ საშუალებით მის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით შეგვიძლია ვაწარმოოთ ყველა კოლმეურნეობაში.



ოლქის ვენახებში სოკოვანი დაავადებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი უფრო მეტი ზიანის მომტანს კრაქი და ნაცარი წარმოადგენ ნენ. ისინი ვაზის ყველა მწვანე ნაწილს აზიანებენ და ძლიერად დაავადების შემთხვევაში მათ მიმართ თუ სათანადო ღონისძიება არ გატარდა, მოსავალი შეიძლება მთლიანად დაიკარგოს. ვაზის ამ დაავადებასთან ბრძოლას შედარებით კარგად არიან დაუფლებული ის კოლმეურნეობები, რომელთა მოსახლეობასაც უკანასკნელ ხანაშე ტრადიციულად შემორჩათ ვაზის კულტურის წარმოება, მისი მოვლა-დამუშავების ჩვევა; იმ კოლმეურნეობებში კი, სადაც შევენახეობის ალორძინებას ამ ბოლო ხანებში შეუდგნენ (ლენინგრძის რაიონის სოფ. წინაგარი, ძუკათყაუ, ორჭოსანი, აბრევი, სტალინინირის რაიონის სოფ. ხეთაგუროვი, ტბეთი, ზნაურის რაიონის: სოფ. მუგუთი, ველები, ზნაური, თიღვა, ოქონა, სუნისი და სხვა), კრაქთან და ნაცართან ბრძოლას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ეუფლებიან, რის გამოც მათი ვენახები ხშირად მცირე მოსავალს იძლევიან.

კრაქით დაავადების შემთხვევაში ფოთლის ზედა მხარეზე მოყვითალო ფერის ლაქები ჩნდება, ქვედა მხრიდან ისინი დაფარული არიან თეთრი ფიტქით და პაერის ტენიანობისა და მაღალი ტემპერატურის გავლენით სწრაფად ხმებიან. თეთრი ფიტქით მთლიანად იფარება ავრეთვე ყვავილებიც, რომლის მოქმედებით უვავილი ცვივა და რჩება მხოლოდ კლერტი.

როგორც ცნობილია, კრაქის წინააღმდევ ბრძოლის რადიკალურ საშუალებას ბორდოს ერთ პროცენტიანი ხსნარით შესხურება წარმოადგენს. ამ ხსნარის შემზადება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს და ჩვენი კოლმეურნეობები კარგად ახერხებენ კიდეც, მაგრამ კრაქით ვენახების დაზიანება ბევრჯერ გამოწვეულია წამლობის ვადების უხეში დარღვევით; ზოგჯერ კი ისეთ უყურადღებმაც აქვს ადგილი, რომ წამლობას იშევათ შემთხვევებში ატარებენ.

ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ სირთულეს ის წარ-  
მოადგენს, რომ თითქმის ყოველი წვიმის შემდეგ და აუცხოებული  
ტენიანობის საგრძნობლად გადიდებისთანავე წიმლობას მა-  
შინვე უნდა ვატარებდეთ, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე.  
ჭრაქთან ბრძოლის ეს პრინციპი გამოუცდელი ას დაუდევარი  
მევენახეების მიერ ძალიან ხშირად უხეშად ირლვევა და  
ბორდოს სითხით შესხურებას მაშინ აწარმოებენ, როცა ჭრაქ-  
მა ვაზის დაზიანება უკვე მოასწრო. ამიტომ საჭიროა საფუძ-  
ვლიანად განვუმარტოთ მევენახეობის დარგის მუშაკებს, რომ  
ბევრჯერ ას ლონისძიების გამოსაყენებლად დაკარგული თვი-  
თეული საათი ძვირად გვიჯდება და დიდი ზიანი აღგება მე-  
ურნეობას.

საგრძნობი ზიანი შეიძლება მივაყენოთ ჰენას, თუ ხსნა-  
რიც არა წესიერად იქნა შემზადებული.

ნაცარიც ჩვენი ვენახების დიდ ნაწილს საგრძნობ ზიანს  
აყენებს და მასთნ ბრძოლა დიდ სიურთხილესა და ამ საქმი-  
საღმი სიყვარულს მოითხოვს. ამ სოკოვანი დაავადებით გა-  
მოწვეული ზიანი რომ თავიდან იქნეს აცილებული საჭიროა  
ყოველთვის მზად ვიქონიოთ მშრალ პირობებში შენახული  
გოგირდი, რის შეფრქვევაც აუცილებელ საჭირო ლონისძიე-  
ბას წარმოადგენს.

\* \* \*

ვაჩის ჯიშების შერჩევისა და აგროტექნიკურ ლონისძიება-  
თა სისტემის დადგენისას საჭიროა იმის ცოდნა თუ რა ელე-  
მენტებისაგან შედგებიან ისინი და ამ ელემენტებზე მოქმე-  
დი რა საშუალებანი არსებობენ, რომელიც უზრუნველყო-  
ფენ ვენახების ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც მიი-  
ღება ყურძნის მაღალი მოსავალი.

ცხადია, რომ რაც უფრო დიდია ვენახის თვითეულ პექ-  
ტარზე ნაყოფის მომცემი ყლორტების რაოდენობა, მით უფ-  
რო მეტია მტევანთა რაოდენობა და მაშასადამე მაღალია მო-

სავლიანობაც. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ნაყოფის მომცემი  
ყლორტებზე ხშირად სხვადასხვა რაოდენობით არაერთსამართო  
რი სიდიდის მტევნები ვითარდებიან, რასაც უდაოდ დიდი  
მნიშვნელობა აქვს მოსავლის განსაზღვრისათვის. ამგვარად,  
მსხმოიარობისა და მოსავლიანობის პირველ მაჩვენებლად ვე-  
ნახის ფართობის გარკვეულ ერთეულზე, მსხმოიარე ყლორ-  
ტების რაოდენობა უნდა იქნეს მიწნეული.

ნაყოფის მომცემი ყლორტების პროცენტული რაოდენო-  
ბა დიდად არის დამოკიდებული უშუალოდ ამ კულტურის  
წარმოების ადგილობრივ პირობებზე. ასე მაგალითად, ჩვენ-  
თან გავრცელებულ საშამბანურე და სასუფრე ღვინის ვაზის  
ჯიშებს ყოველთვის ნაყოფის მომცემი ყლორტების გაცილე-  
ბით მეტი პროცენტი ახასიათებთ, ვიდრე მკაცრი ზამთრის  
პირობებისათვის განკუთვნილ ვაზის ჯიშებს. გარდა ამისა  
უფრო ხშირად ცენტრალური გაადგილების კვირტებიდან  
განვითარებულ ნაზარდებში ნაყოფის მომცემი ყლორტები  
უფრო მეტია, ვიდრე დანარჩენ ნაზარდებში. ვაზის თითო-  
ეულ ჯიშის მცენარეთა განვითარების პროცესში, სათანადო  
აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით შეგვიძლია დი-  
დად შევუწყოთ ხელი სანაყოფე კვირტების რაოდენობის  
მნიშვნელოვნად გადიდებას. ყვავილედის პირველი გამოჩე-  
ნისა და ყვავილობის წინა პერიოდში მინერალური სასუქე-  
ბით ვაზის გამოკვება (ჰექტარზე 30—30 კგ. აზოტი, ფოს-  
ფორი და კალიუმი) სანაყოფე კვირტების ჩასახვაზე მომდევ-  
ნო წლისათვის ყლორტებზე მტევნათა რაოდენობის გადიდე-  
ბისათვის საქმაოდ დიდ ეფექტს იძლევა. ნაყოფის მომცემი  
კვირტების რაოდენობა შესამჩნევად იცვლება აგრეთვე მა-  
შინ, როდესაც იცვლება მცენარეთა კვების პირობები ვაზის  
გასხვლით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც. რომ ადრე გაზაფხულზე  
კვირტების დაბერვამდე ვენახის მორწყევა მეტად უწყობს  
ხელს მსხმოიარობას, ვიდრე ზაფხულის რწყევა.



მსხმოიარე ყლორტების რაოდენობის გადიდება შეკვეთულიან  
ლიან გამოვიწვიოთ აგრეთვე სხვლის დროს კვირტებიში შემომავა  
დენობის გაზრდით თუ კი მწვანე ოპერაციის დროს უნაყო-  
ფო ყლორტებს მთლიანად შევაცლით.

მსხმოიარობის მეორე მაჩვენებლად მიჩნეულია ნაყოფის-  
მომცემ ყლორტებზე არსებული ყვავილედის რაოდენობა, რაც  
ძირითადად დამოკიდებულია როგორც ჯიშის თავისებურე-  
ბაზე, ასევე სანაყოფე კვირტების ჩასახვის პირობებზე. მსხმო-  
იარე ყლორტებზე ყვავილედის საშუალო რაოდენობა მერყე-  
ობს ერთიდან 2,5-მდე, ეს მაჩვენებელი ყოველთვის შეგვიძლია  
გავზარდოთ სანაყოფე კვირტების ჩასახვისა და განვითარე-  
ბის პერიოდში სათანადო პირობების შექმნით. როგორც  
მსხმოიარე ყლორტების ასევე მასზე არსებული ყვავილედის  
რაოდენობა ბევრად არის დამოკიდებული მცენარის კვების  
პირობებზე, სხვლაზე, მწვანე ოპერაციებზე და სხვა.

ყლორტებზე მტევანთა რიცხვის გასაღიდებლად მწვანე  
ოპერაციების დროს ვაზს შეეცლება არა მარტო უნაყოფო  
ყლორტები, არამედ ისეთებიც, რომლებზეც მხოლოდ თითო  
ყვავილედია განვითარებული. ამით მნიშვნელოვნად უმჯო-  
ბესდება ვაზზე დატოვებული მტევნების განვითარება. რი-  
თაც შეგვიძლია საგრძნობლად გავაღიდოთ ვენახის მსხმოია-  
რობა.

ვაზის მსხმოიარობის მესამე და მნიშვნელოვან მაჩვენე-  
ბლად მიღებულია მტევნის საშუალო სიმსხო, რაც საფუძ-  
ვლად ედება მსხმოიარე ყლორტებისა და მტევანთა რაოდე-  
ნობის დანორმებს. მასზე ბევრადა დამოკიდებული ამა თუ  
იმ ჯიშის მსხმოიარობა.

მტევნის საშუალო წონა რომ განისაზღვროს უნდა აიწო-  
ნოს მტევნების საქმაოდ დიდი რაოდენობა (დაახლოებით  
1000 ცალამდე) ყოველგვარი შერჩევის გარეშე და გაიყოს  
დათვლის შედეგად გამორკვეულ საერთო რაოდენობაზე. ეს  
მონაცემები რამდენადმე იცვლება წლების მიხედვით. მოსავ-

ლის წინასწარ განსაზღვრისას სარგებლობენ რამდენიმე საშუალო მონაცემებით.

მტევნის საშუალო წონა ყურძნის ჭიშების მიხედვით 50 გრამიდან 0,75 კილოგრამამდე მეტყეობს. გვალვიან წლებში იგი შედარებით ნაკლებია და რამდენადაც მეტია წლიური ნალექები, მტევნის წონა იმდენად მატულობს.

მტევნის სიმსხოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვარეგანი ფაქტორები, განსაკუთრებით კა მორწყვა და მცენარის კვების პირობების გაუმჯობესება. საერთოდ, მსხმოიარობის მაჩვენებლებზე დიდი გავლენა შეგვიძლია მოვახდინოთ აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენებით.

მსხმოიარობის მაჩვენებელთა ალტიცხვას აწარმოებენ აგრეთვე სხვადასხვა ნაკვეთებში, სხვადასხვა ჭიშებზე მოსავლიანობისა და აგროტექნიკური ღონისძიებების დაგევმვის მიზნით. ალტიცხვა წარმოებს ნაკვეთის დაგონალის მიმართულებით გარკვეული რაოდენობა ვაზის ძირებზე. უნდა განისაზღვროს თვითოული ძირზე არსებული ყვავილების რაოდენობა, რაც გადამრავლდება მტევნის საშუალო წონაზე და ძირთა რაოდენობაზე.

ყურძნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საჭირო ღონისძიებების დადგენისათვის საქმიანდ დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ჭიშებისა და ნაკვეთების, მსხმოიარობის მახვიდვით წესიერ ალტიცხვას. ამისათვის საჭიროა ვიუოდეთ თითოეულ ძირზე და ჰექტარზე არსებული ყლორტების რაოდენობა, მათ შორის მსხმოიარეთა რაოდენობა, მსხმოიარე ყლორტებზე მტევნითა საშუალო რაოდენობა, ერთ, ორ და სამ მტევნიან ყლორტების რაოდენობა ცალცალკე. ძირების შემოწმებისას მათზე არსებული თითოეული ყლორტის შესახებ აწარმოებენ ჩანაწერს შემდეგ კი საჭიროა ყველა ამ მაჩვენებლების დაჯამება და შეტანა სპეციალურ წიგნში.

როცა შევენახემ იცის თითოეულ ძირზე და ჰექტარზე ყლორტების რაოდენობა, იგი უფრო უკეთესადაა ორიენტი-

四三六八



რებული გარკვეული ფორმირებისას ყლორტებით ვაზის უძველესი განვითარებისა და მოდერნიზაციის საქითხში. მსხმიარე ყლორტების პროცენტი კი ამ უკანასკნელთა რიცხვის გადიდების ხარჯზე მოსავლიანობის ამაღლების შესაძლებლობათა განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

მტევანთა სხვადასხვა რაოდენობის მიხედვით ნაყოფის მომცემ ყლორტების პროცენტის განსაზღვრა, 2 და 3 მტევანიან ყლორტების ხარჯზე, მოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობათა განსაზღვრის საფუძველია.

თუ მოსავლის განსაზღვრიდან ყურძნის სიმწიფემდე მოსავლის შემცირების რაიმე მიზეზებს (სეტყვა, სოკოვანი დაავადებანი და სხვა) არ ექნა აღვილი, მოსავლის განსაზღვრის ზემოთ მოყვანილი წესით დამუშავებული მონაცემები ყოველთვის უახლოვდება ფაქტიურ მოსავალს.

როგორც ზემოდ აღნიშნეთ სამხრეთ ოსეთის მევენახეობა ჭერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება, რომელთა გამოსწორება საქმის ცოდნით და დადგენილ აკროწესებზე დაყრდნობით შრომის ორგანიზაციის გაღაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რიგი კოლმეურნეობები მოწინავე გამოცდილების კარგ მაგალითს იძლევიან, ყურძნის წარმოების მნიშვნელოვნად ამაღლებით მკეთრად ადიდებენ წლიურ შემოსავალს და ამით ხელს უწყობენ მეზობელ კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის ამ უძვირფასესი დარგის მტკიცედ დანერგვას. უმეტეს შემთხვევებში, ისინი მოხერხებულად იყენებენ ვენახის კულტურის წარმოებაში მრავალი წლის მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას, რაც ეშირად მისაბაძი ხდება მეზობელი კოლმეურნეობებისათვის.

მოწინავე მევენახეთა წარმატებებმა სტიმული მისცა ეკონომიკურად ჩამორჩენილ მეურნეობებს ხელი მოეკიდათ ვა-



ზის კულტურის წარმოებისათვის. თუ 1936 წლამდე გენერაციული კოლექტორნებებში ვენახების ფართობი მხოლოდ რამოდენიმე ათეული ჰქექტარით განისაზღვრებოდა ამჟამად იგი დაახლოვებით 12-ჯერ არის გაზრდილი.

გაიზარდა, აგრეთვე, ამ დარგში მოწინავე კოლმეურნეობების რიცხვი. თუ ამ 10—15 წლის წინათ მევენახეობას დარგის წარმატებებით მხოლოდ სტალინის რაიონის სოფ. ერედვის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას შეეძლო ეამაყნა, ამჟამად მას უკვე არ ჩამოუვარდებიან სტალინის რაიონის სოფელ ძარწემის, ქემერტის, კეხვის, აჩაბეთის, ლენინგრადის რაიონის სოფ. ბოლის, ყანჩავეთის, წირჭოლისა და წინაგრის კოლმეურნეობები. უმოკლეს ხანში ამ კოლმეურნეობებმა მევენახეობა თავიანთი შემოსავლის ერთერთ ძირითად წყაროდ გადააქციეს და გასავარევი არ არის, რომ ყოველწლიურად მას ახალ-ახალ ფართობებს უთმობენ. ლენინგრადის რაიონის სოფ. ბოლის კოლმეურნეობას 1936 წლამდე არც ერთი ჰქექტარი ვენახი არ გააჩნდა. ახლა კი აქ,— ქსნის მარჯვენა მხარეს, ლამაზი კომპოზიციით შეხამებულ საქმაოდ შემაღლებულ ფერდობზე ამ ხეობის დამამშვენებელი ზვარი ადამიანის გულის გასახარად გადაჭიმულა 19 ჰქექტარ ფართობზე. აქ მოყვანილმა ყურძენმა შორს გაითქა სახელი როგორც შამპანური და სუფრის ღვინის საუკეთესო ხარისხის პროდუქტმა. ვისაც სურს, რომ წარმოდგენა იქნიოს იმაზე. თუ რაოდენ სილამაზითა და სიუხვითაა შემცული რთველი ქსნის ხეობაში, მან პირველ რიგში საკუთარი თვალით უნდა ნახოს ბოლელ და წირქოლელ კოლმეურნეობის კეთილშობილური შრომა. ამ პერიოდში მნახველის ყურადღებას იპყრობენ ქართული წესით ორმხრივად შპალერზე ფორმირებული უხვი მტევნებით დახუნდლული გორული მწვანის, რქაწითელის, ჩინურისა და თავკერის ჯიშის. გაზები, რომლებიც ნაყოფისა და ფოთლის შემოდგომისათვის დამახასიათებელი ფერების კომბინირებული შეთანწყობით, კი-



დევ უფრო თვალწარმტაცი იერით მოსავენ ისედაც უმშედებელი  
ნიერესი ხეობის ამ მიღამოს.

დიდებულად შეჰვებია ადგილობრივ პირობებს კახეთის  
სიამაყე რქაწითელი, რომელიც აქაც საქმაოდ უხვად მსხმო-  
არობს, მისი შესამჩნევად დაგრძელებული და ოქროსფერ  
მარცვლებიანი მტევნები საამურ შთაბეჭდილებას ტოვებს  
მნახველზე.

ბოლელი მევენახეები მუხტარ პავლიაშვილი, თელო მცე-  
დლიშვილი, ილო ბერიძე, პავლე მორბედაძე და სხვები, რო-  
მელნიც მუდმივად მევენახეობის ბრიგადაში მუშაობენ, ზედ-  
მიწევნით არიან დაუფლებულნი ვაზის მოვლა-პატრონობას  
და მთელ ხეობაში ყურძნის მოსავლის სახელმოხვეჭილ ოს-  
ტატებად ითვლებიან. მათზე მიჩენილ ნაკვეთებში თითოე-  
ული ვაზის ძირს მომვლელის მზრუნველი ხელი ატყვია. სა-  
მუშაოები ტარდება დროისა და ამინდების შესაბამისად,  
აგროტექნიკური წესების ზუსტად დაცვით. 1958 წელს მ-  
პავლიაშვილმა საშუალოდ ჰექტარზე 115 ცენტნერი ყურძენი  
მიიღო, ა. ზოზიროვმა 110 ცენტნერი, ი. ბერიძემ 105 ცენტ-  
ნერი და სხვა. კოლმეურნეობამ ამ წელს სახელმწიფოს 1350  
ცენტნერი ყურძენი ჩააბარა და 675000 მანეთამდე ფულადი  
შემოსავალი მიიღო.

ბოლელ მევენახეებს წარმატებით ეჯიბრებიან წირქოლის,  
ყანჩავეთის, იკოთისა და სხვა კოლმეურნეობები. ოლქის  
მშრომელებისათვის კარგად არიან ცნობილნი აგრეთვე წირ-  
ქოლელი შიო მორბედების. ილიკო ჯაბაურის, ვასილ ხრიუ-  
ლის, ყანჩავეთელ მიშა ტატუნაშვილის, გიორგი ტატუნაშვი-  
ლის და ტატე ქესაურის, ლენინგორელ. ვანო ხოცუაშვილი-  
სა და სხვათა სახელები, რომლებმაც წარმატებით ითვისეს  
ვაზის კულტურა და რაიონში ყურძნის მაღალი მოსავლის  
სახელმოხვეჭილ ოსტატებად ითვლებიან.

ლენინგორის რაიონში მომუშავე აგრონომებისა და სასო-  
ფლო სამეურნეო არტელის ვამგეობის ინიციატივით საქმაოდ



მთიან სოფელ საძიგურის კოლმეურნეობაში, ზღვის დან 955 მ. სიმაღლეზე, საცდელად, ერთ ჰექტარიან მიწას ფართობზე ადგილობრივი ჯიშებით 1954 წელს გაშენებული იქნა ვენახი, რომელიც კარგად განვითარდა და მოსავალსაც იძლევა.

ამ კოლმეურნეობაში ვენახის გაშენება და ადგილობრივ პირობებისადმი მისი კარგი შეგუება იმას მოწმობს, რომ საჭიროა მეტი გაბედულობით მოვკიდოთ ხელი მთიან კოლმეურნეობაში ვენახის ფართობების გადიდების საჭმეს.

შესანიშნავი შედეგები მოგვცა სოფელ წინაგრის ფალინინის სახელობის კოლმეურნეობის მიერ გორული მწვანის, ჩინურისა და სხვა ქართული ჯიშებით ვენახების გაშენებაშ ტირიფონის ველზე, რომელიც ამჟამად უკვე 40-მდე ჰექტარს ითვლის. მიუხედავად საგრძნობი მეჩხერიანობისა ყურძნის საშუალო მოსავალი კარგი დამუშავებით 70—75 ცენტნერს აღწევს და მაღალმოსავლიან ნაკვეთებში ჰექტარზე 88-მდე ცენტნერ მოსავალსაც ღებულობენ (1958 წ.). ამჟამად წინაგრელები სათანადო მუშაობას ეწევიან ვენახის მეჩხერიანობის სრული ლიკვიდაციისათვის.

იქ, სადაც სოფელ კეხვთან კლდეების სივიწროვიდან გამომდინარე დიდი ლიახვი თავისებური ხმაურით საკმაოდ გაფართოებულ ხეობაში სტალინირისაკენ მიემართება, მდინარის მარცხენა მხარეს დასავლეთით დაქანებულ ფერდობებზე განლაგებულია სოფ. ქემერტის, ძარწემისა და ხეითის კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობებში ვენახებს 55-მდე აჟეტარი ურწყავი მიწის ფართობი უკავია. მიუხედავად ამისა ვაზი აქ საუკეთესოდ ვითარდება და საკმაოდ უხვი მოსავლის გადამუშავებით მაღალხარისხოვანი ღვინოები დგება. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფ. კეხვისა და აჩაბეთის კოლმეურნეობის, აგრეთვე თამარაშენის საბჭოთა მეურნეო-



შის ვენახები 35 ჰექტარამდე აღწევენ. ეს ნაკვეთები უკიდურესად მთლიანად ირწყვის და მაღალხარისხოვანი ყურძნის შრა-  
საცლიანობით ხასიათდება.

უკანასკნელ ხანს ზღვის დონიდან 1100 მეტრის სიმაღ-  
ლეზე ვენახის გაშენებას ხელი მოკიდა სოფ. ჯავის კოლმე-  
ურნეობამ და, წინასწარ არსებული მონაცემების თანახმად,  
აյ აულტურის განვითარების აშკარა შესაძლებლობა არ-  
სებობს.

დიდი ლიახვის ხეობაში ყურძნის მოსაცლიანობის ყველა-  
ზე უფრო მაღალ მაჩვენებლებს ძარწემელი და თამარაშნელა  
მევენახეები იძლევიან. აქაური მოსახლეობა სოფლის მეურ-  
ნეობის ამ დარგს უხსოესი დროიდან მისდევდა და ცალ-  
კეული ფართობებიდან საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 80  
--95 ცენტნერამდე ყურძნის მოსავალს ღებულობენ. აյ მო-  
ლეაწეობენ ყურძნის უნვი მოსავლის ოსტატები დავით დათა-  
შვილი, ვასო დათაშვილი და სოსო გოგიძე — თამარაშნის  
საბჭოთა მეურნეობიდან, მიშა მეტრეველი და სონკა ჭოვე-  
ლიძე — ძარწემის კოლმეურნეობიდან და სხვა.

მრავალი მოწინავე წევენახეებია აგრეთვე სტალინირის  
რაიონის სოფელ ერედვის, დმენისის და ქსუისის, ზნაურის  
რაიონის სოფ. ავნევისა და მუგუთის კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობებში მომუშავე აგრონომებმა სასოფლო-  
სამეურნეო არტელების გამგეობებთან ერთად ყველა ღონის-  
ძიებანი უნდა გაატარონ მოწინავე მევენახეთა რიცხვის შემ-  
დგომი გაზრდისათვის. სერიოზული მუშაობაა საჭირო იმ  
კოლმეურნეობებში, სადაც მევენახეობას დიდი ისტორია არა  
აქვს და მათ გაშენებას მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიყვეს  
ხელი.

მევენახეობის განვითარების პერსპექტივების განხილვი-  
სას არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ შრომის ნაყოფიერების  
ზრდისა და ყურძნის, როგორც სასოფლო-სამეურნეო პრო-  
დუქტის თვითღირებულების შემცირების საკითხებს.



ცნობილია, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა და კულტურულ-სამეურნეო პროდუქციის თვითლირებულების შესტილება საკოლმეურნეო წარმოების თითოეულ დარგში დამოკიდებულია კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებასა და გატარებაზე. აქედან ყველაზე მთავარია: საკოლმეურნეო წარმოების სწორი ორგანიზაცია და ანაზღაურების საკითხის მოწესრიგება, შრომის სწორი ნორმირება და ილრიცხვიანობის გოვარება, საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციის ღონის ამაღლება და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდება, დარგების და კულტურების სწორი შეთანწყობა სწორი დაგეგმა და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შრომისა და ფულად მატერიალურ საშუალებათა ხარჯვაში ეკონომიკის მტკიცერებიმის გატარება.

რა თქმა უნდა საკოლმეურნეო წარმოების პროდუქციის თვითლირებულების შემცირების გზები და მეთოდები ერთნაირად არ ვრცელდება საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგზე. ამიტომ ჩვენ აქ შევჩერდებით თითოეულ მათგანზე მევენახეობის დარგში და დაესახავთ მათი შემცირების კონკრეტულ გზებს და მეთოდებს ლენინგრადის რაიონის სოფელ ბოლის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითზე.

1958 წელს ამ კოლმეურნეობაში ერთ ცენტრერ ყურძნის წარმოებაზე (თითოეული შრომადღის 19 მანეთად შეფასებისას) 219 მანეთი დაიხარჯა. ამ დანახარჯებში საქმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს შრომითი დანახარჯებს, ყურძნის წარმოებაზე გაწეული შრომის დანახარჯების ეკონომიკისათვის გადამწყვეტი იერიში ნიადაგის დამუშავებაზე უნდა იქნეს მიტანილი, რადგან შრომითი დანახარჯი ხშირად 65 პროცენტამდე აღწევს.

ცნობილია რომ ამჟამად დიდი მუშაობა წარმოებს ვენა-



ზის რიგშორისების ხვნის და კულტივაციის მექანიზებულებების შემთხვევაში მოწყობისათვის. ამ ღონისძიების ფართოდ დანერგვა დიდ სარგებლობას მოუტანს მევენახეობის კოლმეურნეობებს და მინიმუმამდე დაიყვანს ნიადაგის დამუშავებაზე გაწეულ შრომით დანახარჯებს. მიუხედავად ფართო პროპაგანდისა ეს საკითხი ჯერ კიდევ დადებითად არ არის გადაჭრილი. ვენახშა ნიადაგის დამუშავება აქ მეტწილად ისევ ხელით ხდება. როგორც ოლქის სხვა კოლმეურნეობებში მუშა-ხელის ეკონომისა და შრომითი დანახარჯების შემცირების მიზნით უკანასკნელ წლებში ბოლის კოლმეურნეობაში შემოღებულია რიგშორისების დამუშავება ტრაქტორებით და მეტწილად კი ამ სამუშაოს ეწევიან მოკლე ულელში შებმული ჩარებით. ამ უკანასკნელი ღონისძიების გატარება მართალია, ძალზეა დაშორებული სამუშაოთა შესრულების მაქსიმალური მექანიზაციისაგან, მაგრამ მიზნის ნაწილობრივად მისაღწევად გარკვეულ ეფექტს მაინც იძლევა.

უახლოეს წლებში მტკიცედ უნდა გადაიდგას ნაბიჯები მევენახეობის სამუშაოთა სრული მექანიზაციისაკენ. დროა გამოვეთხოვთ ვენახების დამუშავების პრიმიტიულ მეთოდებს. შრომის ორგანიზაცია კი ისე უნდა მოწყოს, რომ ამომწურავად უპასუხოს დასმულ ამოცანას.

წლების განმავლობაში ჩატარებული მუშაობის პრაქტიკა კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს, რომ შრომის ორგანიზაციის ძირითად და მთავარ ფორმას ისევე როგორც სხვა დარგებში მევენახეობაშიც წარმოადგენენ მუდმივი საწარმო ბრიგადები, რომლებიც საკოლმეურნეო წარმოებაში იძლევიან მეცნიერების უახლოესი მიღწევების დანერგვისა და საზოგადოებრივი საწარმოო საშუალებების მაქსიმალური გამოყენების დიდ შესაძლებლობას.

საწარმოო ბრიგადების სწორად მოწყობას, მათში მუშა-ხელის დაკომპლექტებას და საწარმოო საშუალებათა სწორად

განაწილებას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მათ შემცირების მის ორგანიზაციის მოწესრიგების, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ამიტომ მევენახეობის საწარმოო ბრიგადების დაკომპლექტების დროს კოლმეურნეობის გამგეობა მხედველობაში ღებულობს მეურნეობის სიდიდეს, მიწათ სარგებლობის თავისებურებას, ბრიგადებზე მიცემულ საწარმოო დავალებას, მექანიზაციის დონესა და კოლმეურნეობის უზრუნველყოფას. სამუშაო ძალითა და საწარმოო საშუალებებით.

მევენახეობის ბრიგადის მოწყობისათვის გამოყოფილია ვენახის ერთიანი მასივი, მიმაგრებულია იგი ბრიგადებზე, მას უწესდება საწარმოო დავალება და ამ დავალების შესაბამისად, ზემოდ აღნიშნული მომენტის გათვალისწინებით განსაზღვრავენ ბრიგადაში მუშა-ხელის რაოდენობას და ვენახის დასამუშავებლად არსებულ ინვენტარს.

მუშა-ხელის დაკომპლექტების დროს საჭირო ხდება, ბრიგადებზე მიმაგრებული ვენახის ნაკვეთების მდგომარეობის მხედველობაში მიღება, რადგან ერთნაირი სიდიდის ვენახებში თავისი განვითარების მიხედვით ვაზის სხვადასხვა მდგომარეობა განსხვავებული რაოდენობის მუშა-ხელს საჭიროებს.

იმის გამო, რომ ვენახი თავისი დამუშავების ამჟამად არსებულ პირობებში შრომის დანახარჯების 70%-მდე მოითხოვს გვიან შემოდგომით და ადრე გაზაფხულზე, მევენახეობის მუდმივ საწარმოო ბრიგადებს მიემაგრება მინდვრის კულტურები, რომლებიც ხელს უწყობენ წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით მუშა-ხელის შედარებით თანაბარ დატვირთვას.

მომავალში კონკრეტული ღონისძიებების გატარებაა საჭირო იმისათვის, რომ შრომის დისკიპლინის მკვეთრი გაუ-



მეობესებით საწარმოო პროცესებზე მაქსიმალურად გამოიყენება ნონ სამუშაო დრო. ამით გადიდება მათი შრომის ნაყოფის მიუღიარება და საერთო ჯამში მივიღებთ პროდუქციის თვითლირებულების მნიშვნელოვნად შემცირებას.

კოლმეურნეები უკვე საკმაოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გამომუშავების ნორმების ხელოვნური გადიდება ან შემცირება ამასინჯებს შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტურ პრინციპს და ამცირებს კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას.

გამომუშავების ნორმის ხელოვნურად გადიდების შემთხვევაში კოლმეურნეთა უმრავლესობა მას ვერ ასრულებს და მოკლებულია ყოველგვარ დაინტერესებას, დაბალია შრომის ნაყოფიერება და ძნელდება საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა. დაბალი გამომუშავების ნორმის შემთხვევაში კი გამომუშავების ნორმას ყველა კოლმეურნე გადაჭარბებით ასრულებს და კოლმეურნეობაში დიდი რაოდენობით დაირიცხება შრომადლები. ეს იწვევს შრომადლის გაუფასურებას და პროდუქციის თვითლირებულების ხელოვნურად გადიდებას. ამიტომ საჭირო ხდება, რომ კოლმეურნეობაში ყოველთვის იქნიონ საშუალო პროგრესული ნორმები, რომლითაც ჩამორჩენილი კოლმეურნეები თავიანთი მუშაობის მონაცემებით მოწინავეებს უსწორდებიან და კვლავ უფრო მტკიცდება სანარდო სისტემა. გამომუშავების ასეთი ნორმები სტიმულს აძლევენ კოლმეურნეებს სისტემატურად იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის და საფუძვლად ედება შრომის სწორ ორგანიზაციას, აღრიცხვასა და ანაზღაურებას.

ყურძნის წარმოებაზე გაწეულ ფულად—მატერიალურ საშუალებათა დანახარჯებში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უკავია ვაზის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ წამლობისათვის საჭირო ქიმიკატების შეძენაზე გაწეულ ხარჯებს, მაგრამ ეს ისეთი დანახარჯებია, რომლებიც შეძენილი ქიმიკატების მიზანშეწონილად გამოყენების შემთხვევაში



საკმაოდ იცავს მოსავალს დანაკარგებისაგან და ხელს უწყვეტობა  
მისი თვითლირებულების შემცირებას. მოსავლიანობის გადა-  
კარბებით შესრულებისას კარგ შედეგებს იძლევა მევენახეებ-  
ზე შრომის დამატებითი ანაზღაურება და სისტემატური ავან-  
სირება. მიზანშეწონილია აგრეთვე, რომ მევენახეობის სა-  
წარმოო ბრიგადები გადაყვანილი იქნენ სამეურნეო ანგა-  
რიშე, რაც მაქსიმალურად დააინტერესებს თითოეულ კოლ-  
მეურნეს მის ბრიგადაში მიღწეული სამეურნეო შედეგებით.

ყურძნის თვითლირებულებაში დიდი ხელირითი წონა უკა-  
ვია აგრეთვე ფულად-მატერიალურ საშუალებათა არა პირ-  
დაპირი, კერძოდ საერთო სამეურნეო ანუ საერთო საკოლ-  
მეურნეო დანახარჯებს. ამ სახის დანახარჯებმა ყურძნის  
თვითლირებულებაში 1958 წელს 53 მან. და 40 კაპიკი შეად-  
გინა.

ამ დანახარჯებიდან დიდ ყურადღებას იპყრობს ავტო-  
ტრანსპორტის დანახარჯები. რაიონის ხელმძღვანელი ორგა-  
ნოების რჩევით ბოლის კოლმეურნეობას განხრახული იქვე-  
სის მოაწყოს მომავალში მათი აღრიცხვა, რომ მანქანის ყო-  
ველ საგზურში ზუსტად იქნას აღნიშნული, რა სახის სამუ-  
შაო შესრულდა და კერძოდ, რომელ დარგს, კულტურს, ან-  
ბრიგადას მიეკუთვნება იგი. ცხადია, რომ ავტოტრანსპორტის  
ბუშაობის ასეთი აღრიცხვა დიდად შეუწყობს ხელს გაწეული-  
დანახარჯების თითოეული სახის. პროდუქციაზე, (კერძოდ კი  
ამ შემთხვევაში ყურძნის მოყვანაზე) ზუსტად მიკუთვნებას  
და მათ შესამცირებლად გასატარებელ ღონისძიებათა შემუ-  
შვებას:

ყურძნის თვითლირებულების შემცირებაში გადამწყვეტი  
როლი მაინც ვენახის მოსავლიანობის გადიდებას ენიჭება.  
ბოლელი მევენახეები ამ გზით კოლმეურნეობის საშუალო  
მონაცემებთან შედარებით რამდენჯერმე ამცირებენ მიღე-  
ბული პროდუქციის თვითლირებულებას.

მოწინავე მევენახეს მუხტარ პავლიაშვილს მიმაგრებული

აქც 0,9 ჰექტარი ვენახი. აგროტექნიკურ ღონისძიებათა წესებულ ვადებში გატარებით და ყურძნის მოსავლის უდანა-კარგოდ აღებით 1958 წელს აღნიშნული ფართობიდან 103 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა და ჩაბარა სახელმწიფოს. ყურძნის ამ მოსავლის მისაღებად მან დახარჯა 605 შრომა-დღე და 515 მანეთის ფულად-მატერიალური საშუალებანი, თუ დახარჯულ ერთ შრომადღეს 19 მანეთად შევაფასებთ (თანახმად სოფლის მეურნეობის სამინისტროს რჩევისა) მა-შინ 103,5 ცენტნერი ყურძნის წარმოებაზე ამ მოწინავე მე-ვენახის მიერ დახარჯულია სულ 12200 მანეთის შრომითი და ფულად-მატერიალური საშუალებანი. აქედან ერთი ცენტ-ნერი ყურძნის თვითორებულება შეადგენს 21 მანეთსა და 55 კაპიკს, თითქმის 10-ჯერ ნაკლებს, ვიდრე საშუალოდ კოლმეურნეობაში.

ასეთივე კარგ მაჩვენებლებს აღწევენ ლენინგრადის რაი-ონის სოფ. წირქოლისა და ახალდაბის, სტალინირის რაიონის სოფ. ერელვის, ძარწემის, აჩაბეთისა და სხვა კოლმეურნეო-ბების მოწინავე მევენახენი. ფართო პროპაგანდა წარმოებს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის სხვა მეზობელ კოლმეურნეობებშიც. ამ საფუძველზე 1958 წელთან შედარე-ბით ოლქის კოლმეურნეობებმა 1965 წლისათვის 2-ჯერ უნდა გაადიდონ ყურძნის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა, რაც მკვეთრად შეამცირებს თვითეული ცენტნერი ყურძნის თვითორებულებას. ამით კიდევ უფრო მეტად გაიზრდება მე-ვენახეობის შემოსავალი და ამაღლდება მათი ეკონომიკური ეფექტიანობა.

\* \* \*

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მევენახეობას ჯერ კიდევ დიდი სამრეწველო ხასიათი არ მიუღია, მაგრამ ყვე-ლა პირობა არსებობს უახლოეს წლებში ამ საინტერესო და შე-მოსავლიანი დარგის მნიშვნელოვნად განვითარებისათვის. ამ



მხრივ ინტერესს მოქლებული არ არის აქვე ჩამოვაყალიბებისა  
იმ აუცილებელ ღონისძიებათა სისტემა, რომლის ცხოვრე-  
ბაში გატარება უშუალოდ არის დაკავშირებული ოლქის მე-  
ვენახეობის განვითარების პერსპექტივებთან.

მევენახეობა სამხრეთ ოსეთში სოფლის მეურნეობის ერთ-  
ერთი უძველესი დარგია. რომელსაც მრავალი საუკუნის ის-  
ტორია აქვს. დაბალი ზონის ბევრი კოლმეურნეობისათვის.  
მეხილეობასთან ერთად, იგი ერთ-ერთი წამყვანი და საზო-  
გადოებრივი ეკონომიკის დასაყრდენი დარგია.

ოლქის ტერიტორიაზე ცენტრალური კავკასიონის ქედებს  
შორის მოქცეული, მეტწილად სამხრეთისაკენ დაშვებული  
ფერდობები და მდინარეთა ხანგრძლივი დინებით შექმნილი  
მრავალი ტერასები, მევენახეობის შემდგომი განვითარების  
დიდ შესაძლებლობებს იძლევა. შამპანური და სუფრის  
ღვინოებისათვის საჭირო ნედლეულის ბაზის გაფართოებისა  
და მღალხარისხოვანი სუფრის ყურძნით მთიანი რაიონების  
მოსახლეობის მომარავების საჭიროება გვიკარნახებს, რომ  
ჯველა შესაძლებლობები გამოვიყენოთ ვაზის კულტურის  
მაქსიმალურად წარმოებისათვის.

უდაბოა, რომ მეხილეობასთან ერთად მევენახეობის გან-  
ვითარება მნიშვნელოვნად აამაღლებს ოლქის კოლმეურნეო-  
ბების ეკონომიკის, რაც სადღეისოდ ჯერ კიდევ უმნიშვნე-  
ლოვანესი ამოცანაა. ყველაზე მიზანშეწონილად უნდა ჩაი-  
თვალოს ოლქის შედარებით დაბალი ზონის კოლმეურნეო-  
ბებში ვენახების გაშენება ისეთი ჯიშებით, როგორიცაა გო-  
რული მწვანე, შავკაპიტო, ჩინური, ალიგოტე და სხვა. (ბუდე-  
შური კი როგორც ადგილობრივი მოხმარების სუფრის ყურ-  
ძენი). შედარებით მაღალი ზონის კოლმეურნეობებს შეგვიძ-  
ლია ვურჩიოთ ალიგოტე, შასლა თეთრი, პინო შავი, მუხრა-  
ნული რქაწითელი და სხვა.

შამპანური ღვინის მასალების წარმოების საგრძნობი

ზრდის დიდი შესაძლებლობები ისახება სტალინის,  
ნინგორისა და ზნაურის რაიონებში.

რაც შეეხება ჯავის რაიონს, აქ მევენახეობის განვითარება რელიეფის თავისებურებისა და საქმაოდ მყაცრი ქლიმატის გამო ყველაზე უფრო მეტადაა შეზღუდული, მაგრამ სოფ. გუფთის, მსხლების, ჯავის, სინაგურისა და რიგ სხვა კოლმეურნეობებში სუფრის ყურძნით ადგილობრივი მოსახლეობისა და ჯავის კურორტის მომარაგებისათვის ზღვის დონიდან 1100 მეტრის სიმაღლემდე ვენახების გაშენების აშკარა შესაძლებლობანი არსებობს. ეს შესაძლებლობანი ჯერ კიდევ ოდნავადაც არ არის გამოყენებული და დიდი მუშაობაა საჭირო მათი მოქმედებაში მოყვანისათვის.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ზღვის დონიდან რაც უფრო მაღალ პირობებში უხდება ვაზს ზრდა-განვითარება, მისი გრძელი სავეგეტაციო პერიოდის გამო ნაყოფის მომწიფება გვიან პერიოდს ემთხვევა, რის გამოც ყოველთვის ვერ აღწევს იგი სრულ სიმწიფეს. ამის შესაბამისად მცირდება ყურძნის შაქრიანობა და იზრდება სიმუავე, უარესდება ქიმიური შემადგენლობა და კვებითი ლირებულება. სწორედ აქ გვჭირდება დიდი სიფრთხილის გამოჩენა, რათა შევარჩიოთ და გავაშენოთ აღრეული სიმწიფის მაღალმოსავლიანი, წარმოებაში უკვე გამოცდილი და არა შემთხვევითი ჯიშები.

ოლქის დაბალი ზონის კოლმეურნეობების უმეტესობას ყურძნის მოყვანის მდიდარი გამოცდილებანი გააჩნია, საჭიროა ფართოდ დავნერგოთ ეს გამოცდილებანი იმ კოლმეურნეობებშიც, სადაც ამ დარგის განვითარებას უკანასკნელ ხანებში მიჰყვეს ხელი და, მაღალი აგროტექნიკური წესების ოხერხებულად გამოყენებით უზრუნველვყოთ მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდება.

ყურძნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების ამოცანები გვიკარნახებენ უახლოეს დროში ისე წარვმართოთ საჭმე, რომ დღეს არსებული სარჩე დაყენებული ვენახის ნარ-



გაობები ჩავაყენოთ შპალერული სისტემის მაღალ ონლაინ-გადამზადებელი სამუშაოებისათვის მაღალ რენტაბილური და განხორციელებით უზრუნველვყოთ ვაზის მაღალი დატვირთვით ფორმირება.

იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა შესძლონ დიდ ფართობებში გაშენებული ვენახების მაღალ ხარისხოვნად დამუშავება და მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდება, ამჟიროა სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ დანერგვა. ამ ლონისძიების გატარებას ყველა კოლმეურნეობაში განსაკუთრებული მონდომებითა და შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით უნდა მოეკიდნენ.

სერიოზული ლონისძიებების გატარებაა საჭირო ოლქის კოლმეურნეობებში ყურძნის მოსავლის თვითღირებულების საგრძნობლად შემცირებისათვის, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს კოლმეურნეობას შემოსავლიანობას და კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას.

სავენახე ნაკვეთების გამოყოფისას კოლმეურნეობისადმი საჭიროა აგრონომების ჯეროვანი დახმარება. არ უნდა დაუშვათ ვაზის გაშენება ნაკვეთის მდებარეობისა და ნიადაგის წინასწარი შესწავლის გარეშე.

ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ვენახების გასაშენებლად გამოყოფილ ფართობებზე ტერიტორიის ორგანიზაციისა და ნიადაგის გაკულტურებას, როგორც წინასწარი დამუშავებისა და საჭირო ოდენობით სათანადო სასუქის შეტანის, ასევე მოსწორება—გასწორების გზით.

ვაზის კულტურის წარმოება საკმაო შრომა-ტევადი სამუშაოა. ამიტომ იმ კოლმეურნეობებში, საღაც ეს დარგი ჯერ კიდევ საკმაოდ ათვისებული არ არის ვაზის გაშენებას ზოგჯერ სათანადო ხალისითა და მონდომებით არ ეკიდებიან. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ვენახი შენდებოდეს მაღალ აგროტექნიკურ დონეზე.

ვენახი გავაშენოთ მხოლოდ პირველი ხარისხის ნამყენით.



მეორე ხარისხის ნამყენით ვენახის გაშენებას უნდა ვერიდოს კულტურული კულტურული მემკვიდრეობით გაშენებას საგრძნობლად უშლის ხელს ნიაღავის პლატფაზად დამუშავებისათვის საჭირო მექანიზმების სიმცირე, საჭიროა, რომ სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა მეტი წარმადობით გამოიყენონ კოლმეურნეობებში „ს-80“ მარკის ტრაქტორებისა და მისაბმელი საპლანტაციო გუთნების არსებული რაოდენობა და უახლოეს ხანში უზრუნველყონ ამ საშუალებებით კოლმეურნეობების სრული დაქმაყოფილება.

დაბალი ზონის კოლმეურნეობებში მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს ვაზის სადედებისა და ნამყენი ვაზის წარმოება. ამ საპასუხისმგებლო უბანზე ჩამორჩენა აშეარად იგრძნობა და მევენახეობის განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება.

ნამყენი ვაზის წარმოების გაფართოებასთან ერთად გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ვაზის სანერგის მოვლა-დამუშავების ხარისხი და მნიშვნელოვნად გატიდდეს თითოეული პექტარიდან სტანდარტული სარგავი მასალის გამოსავალი. ეს ხელს შეუწყობს მისი თვითოლირებულების შემცირებას და უზრუნველყოფს ახალი ვენახის გაშენების დავალებათა ხარისხოვნად შესრულებას.

ოლქის მევენახეობის განვითარების ასპექტში აქტუალურ საკითხად რჩება ვაზის სამრეწველო, წამყვანი ჯიშების წმინდა სადედე ნარგაობათა შექმნა, რომელიც აამაღლებს ნამყენი ვაზის წარმოების კულტურას. ამის პარალელურად, საჭიროა გადაჭრით ამაღლდეს ვაზის სელექციის დარგში სამუშაოთა ჩატარების დონე, რათა თავიდან ავიცილოთ ის უარყოფითი შედეგები, რომელიც თან სდევს შეუმოწმებელ, ნაკლებმსხმოიარე ვაზებიდან სამყნობად საკვირტე მასალა დამზადებას.

## ლ 0 ტ 0 რ ა ტ უ რ ა

1. Проф. А. М. Негруль — виноградарство. Москва 1952 год.
2. პროფ. სოლომონ ჩოლოყაშვილი — მეცნიერების სახელმძღვანელო. თბილისი 1952 წ.
3. Д. А. Тобидзе «продвижение промышленной культуры винограда в новые горные районы Грузинской ССР.» Москва 1957 год.
  4. აკად. ალ. ჯავახიშვილი — საქართველოს გეოგრაფია ტ. I. თბილისი 1926 წ.
  5. გამუშტი ბაგრატიონი — საქართველოს სამეცნიერო აკადემია. თბილისი 1941 წ.
6. А. М. Негруль, В. Н. Чичрин, Н. Я. Кузьмин — Культура винограда. Москва 1955 год.
7. მეცნიერების აგროწესები. თბილისი 1953 წ.
8. А. С. Мерджанян — о мероприятиях по уходу за виноградниками, поврежденными морозами. «Виноделие и виноградарство СССР» № 11—12 1940 год.
9. პროფ. ს. ჩოლოყაშვილი — თანამედროვე მეცნიერება. თბილისი 1935 წ.
10. ი. რცხილაძე — საქართველოს მეცნიერება და მეოცნება. თბილისი 1956 წ.
11. ი. ლ. ჯაში — სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაცია. თბილისი 1957 წ.

Редактор А. Ф. Алибегашвили

Техредактор Н. С. Сиукаев

Корректоры И. Н. Зангаладзе и В. И. Гелдиашвили

Сдано в набор 13. VI. 1960 г. Подписано к печати 4.IX.  
1960 г. Заказ № 847. Формат бумаги 84x108 1/32 см. Изд. листов

4. Печатных листов 5. ЭТ 00372. Тираж 1000 экз.

Цена 1 руб. 80 коп. с 1. I. 61 г. 18 коп.

Сталинирская типография Грузгавздата,  
г. Сталинир, ул. Исаака, 2.

КОНСТАНТИН ГЕОРГИЕВИЧ ТВАЛАШВИЛИ  
ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ВИНОГРАДАРСТВА  
В ЮГО-ОСЕТИИ

(на грузинском языке)  
Госиздат Юго-Осетии  
Сталинир — 1960

---

ქონისტანტინი გიორგიშვილის ძე თვალაშვილი  
გეგმისამაღალი განვითარების  
კურსების დამსახურების  
სამსახურის მსამართი  
სამხრეთ თხევდო  
სამხრეთ თხევდო — 1960

